



# SEU & Science

International Student Scientific Conference Papers

**საერთაშორისო  
სტუდენტური  
სამეცნიერო კონფერენციის  
მომხსენებელთა კრებუდი**

**საქართველოს  
ეროვნული  
უნივერსიტეტი სეუ**

**SEU ISOC S-2022**

**2022**



საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს საერთაშორისო სტუდენტური  
კონფერენციის მოხსენებათა აბსტრაქტები

Abstracts of the International Student Conference Proceedings of Georgian National University SEU

International Student Online Conference

SEU ISOC S-2022

საერთაშორისო სტუდენტური ონლაინ კონფერენცია

თბილისი 2022

## სარედაქციო კომიტეტი

## Editorial Board

**თავმჯდომარე:** ანა ფირცხალაშვილი

Editor-in-Chief: Anna Phirtskhalashvili

საკონფერენციო საბჭო:

Conference Board:

ანა ფირცხალაშვილი

Anna Phirtskhalashvili

ვალერი მოსიაშვილი

Valeri Mosiashvili

ხათუნა გაბიტინაშვილი

Khatuna Gabitsinashvili

თეა ჯუღელი

Thea Jugeli

მაკა ადვაძე

Maka Advadze

მირანდა გოგილაშვილი

Miranda Gogilashvili

სერგო ჭელიძე

Sergo Tchelidze

თამარ ავალიანი

Tamar Avaliani

ელისო კერესელიძე

Eliso Kereselidze

ინა შანავა

Ina Shanava

თინათინ ზაქარაშვილი

Tinatin Zaqarashvili

ლამზირა ხიდეშელი

Lamzira Khidesheli

ქრისტინე მაჭარაშვილი

Kristine Macharashvili

გიორგი გურგენიძე

Giorgi Gurgenidze

**ტექნიკური რედაქტორი:**

**Technical Editor:**

ანა ცეცხლაძე

Ana Tsetskhladze

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ Georgian National University SEU

რედაქციის აზრი შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორისას. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

**Editor's position may not coincide with that of authors. Authors are responsible for the facts and data in the article.**

**სარჩევი**

**ბიზნესი და ეკონომიკა..... - 5 -**

საქართველოს "საბროკერო ბაზრის" შეფასება და ანალიზი ..... - 6 -

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ემპირიული ანალიზი და მისი განვითარების პრობლემები პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში..... - 7 -

Managing Individuals in Organizations ინდივიდების მართვა ორგანიზაციებში..... - 9 -

ინვესტიციები როგორც სიღარიბის დაძლევის აქტორი ..... - 10 -

მომხმარებელთან ურთიერთობის ეთიკა ..... - 12 -

ლურჯი ეკონომიკა - წყლის რესურსების მდგრადი მართვა..... - 13 -

NFT-ის არსი და შექმნის ისტორია ..... - 15 -

მოგების გადასახდის ესტონური მოდელი-რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები- 16 -

ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია ..... - 17 -

საგადასახადო პოლიტიკის ადმინისტრირების გაუმჯობესების მიმართულებები..... - 20 -

ელექტრონული თანამონაწილეობა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში- 22 -

უსდ-ს დაფინანსების სისტემა (საქართველო / დანია)..... - 23 -

ეკოლოგიური რისკის არსი და ძირითადი გამომწვევი მიზეზები ტურიზმში..... - 25 -

**სოციალური მეცნიერებები.....27**

რუსეთის პოლიტიკური ინტერესი საქართველოში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მაგალითზე .....28

რუსეთის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში.....30

„3+3“ ფორმატი - საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები .....31

დეგლობალიზაციის საშიშროება კოვიდ-19 პანდემიის პირობებში .....33

რუსული დეზინფორმაციული გზავნილები: საქართველოს ნეიტრალური სტატუსი .....35

რუსეთის დანაშაულებრივი ქმედებები უკრაინაში: გენოციდი და ეთნოციდი .....36

რუსეთის გავლენა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე .....38

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ფუნქციონირების გამოწვევები, რუსეთ უკრაინის ომის ფონზე" .....40

დარფურის კონფლიქტის ისტორიული და სამართლებრივი ანალიზი.....42

საქართველოში რუსეთის აგრესიის (1991-1992 და 2008 წლებში) შედეგად, გაჩენილი იძულებით გადაადგილებული პირების თბილისის ურბანულ სივრცეებთან ინტეგრაციის სირთულებები .....47

პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე.....	49
შრომითი მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში .....	52
დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	54
მაღალკურსელთა დამოკიდებულება დისტანციური სწავლებისადმი .....	56
ქართველი სტუდენტების ცხოვრების წესის ცვლილება Covid-19 პანდემიის პირობებში .....	57
პოსტ-კოვიდური სინდრომით გამოწვეული კოგნიტური დისფუნქციები .....	59
პოლიციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოს მაგალითზე.....	61
ემოციური სიტყვების ზეგავლენა რიგში ადგილმდებარეობის ეფექტზე.....	63
კომპლექსების გავლენა პიროვნების ქცევაზე.....	64
მოდალადისა და მსხვერპლის პიროვნული მახასიათებლები .....	66
აღზრდის სტილსა და თვითშეფასებას შორის კავშირის კვლევა ქართველ სტუდენტებთან.....	69
განწყობის ცვლილება სქესობრივ ჭრილში .....	71
განწყობა კატებთან.....	73
პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა .....	75
რუსეთ უკრაინის-ომის გაშუქება ქართულ ტელემედიაში.....	76
კრიზისებისა და საგანგებო სიტუაციების გაშუქება ტელემედიაში.....	77
დანაშაულის გაშუქებისას ადამიანის უფლებების დაცვა .....	79
კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ ტელემედიაში .....	80
მედიაეთიკა კოვიდ 19-ის ფონზე .....	82
აქცია-პერფორმანსების გაშუქება ქართულ და უცხოურ ტელემედიაში.....	84
ლოკალური ონლაინმედიის როლი მუნიციპალური თვითმმართველობის საქმიანობების გაშუქებისას .....	86
გენდერული სტერეოტიპები რეკლამაში .....	88
დანაშაულებრივ ახალი ამბებში ბავშვთა საკითხები.....	90
<b>სამართალი .....</b>	<b>92</b>
საპროცესო შეთანხმება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.....	93
ფემინიციდის როგორც გენდერული დისკრიმინაციით მოტივირებული დანაშაულის თავისებურებანი.....	95
ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევა.....	96
მოწმის დაკითხვის ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი სიხლის სამართლის პროცესში .....	97
კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის როლი დანაშაულის გახსნაში.....	99
ქმედების ოჯახში ძალადობად კვალიფიკაციის პრობლემური ასპექტები.....	100

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა - პრობლემური ასპექტები და მათი გადაჭრის გზები .....	101
სახელმწიფოებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი .....	103
დავალების გარეშე „ასევე“ სხვისი საქმის შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგო შესრულება .....	104
აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საკუთრების ჩამორთმევის მართლზომიერებასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები.....	105
ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა - თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი).....	106
საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის როლი უძრავ ნივთზე საკუთრების კეთილსინდისიერი შექმნისას (შედარებით-სამართლებრივი კვლევა).....	109
ქირავნობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რისკები გამქირავებლის პერსპექტივიდან.....	111
საარსებო მინიმუმისა და სოციალურ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ქონების ხელშეუხებლობა .....	112
საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდის დინამიკა საქართველოში: ტერიტორიული განაწილებისა და ასაკობრივი ჯგუფების შესწავლის მაგალითზე.....	114
სამართლიანობა, როგორც მრავალასპექტიანი მოვლენა და სამართლის ერთგვარი ფუნდამენტი.....	116
კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო სავალდებულო ვაქცინაციის ლეგიტიმურობა საერთაშორისო სამართლის მიხედვით.....	118
სამართლიანობა სამართლის ფილოსოფიაში .....	120
გადაწყვეტილების გამოტანის ვადის პრობლემატიკა საკონსტიტუციო სასამართლოში.....	121
სამართლიანობა, როგორც სამართლის ღირებულებითი მასშტაბი .....	123
სასამართლო პროცესის გაშუქების ეროვნული და საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტი და მოსამართლის, როგორც ადამიანური ბუნების მატარებელი სუბიექტის, გამოხატვის თავისუფლების ფარგლები სოციალური მედიის გამოყენების ჭრილში.....	125
საერთაშორისო ურთიერთდახმარება- ექსტრადაციის ინსტიტუტი .....	127
მომხმარებლის უფლებების დაცვის ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების ხარვეზები და გზა ევროინტეგრაციისკენ .....	128
<b>მედიცინა.....</b>	<b>131</b>
Nanotechnology shaping stem cell therapy .....	132
Euthanasia and assisted suicide: a comprehensive approach.....	134
emotion regulation.....	135

# ბიზნესი და ეკონომიკა

## საქართველოს "საბროკერო ბაზრის" შეფასება და ანალიზი

თამუნა მჭედლიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

საბროკერო კომპანიების მიმართ მოთხოვნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად იზრდება, თუმცა საქართველო ნამდვილად არ მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც სხვადასხვა ფასიანი ქაღალდით ვაჭრობა ძალზედ პოპულარულია. ქვეყანაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, სულ 8 ლიცენზირებული საბროკერო კომპანია არის რეგისტრირებული.

საკონფერენციო ნაშრომის შესრულებისას განხორციელებულ კვლევას საფუძვლად უდევს საბროკერო ბაზრის სიღრმისეული შესწავლა, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს გაიგოს ზოგადად რას წარმოადგენენ ბროკერები ან რა სარგებლის მიღება შეუძლიათ მათთან თანამშრომლობით. ნაშრომში დეტალურად არის აღწერილი თითოეული ლიცენზირებული საბროკერო ფირმის ძირითადი მახასიათებლები, ამასთან შესწავლილია ის მნიშვნელოვანი ფინანსური მახასიათებლები, რომელთა ცოდნის შემთხვევაშიც მომხმარებელი შეძლებს არჩევანის გაკეთებას საბროკერო კომპანიებს შორის.

ნაშრომი ზედმიწევნით პასუხობს თითოეულ საკვლევ კითხვას და შესაბამისად დასაბუთებული პასუხი არის გაცემული თითოეული გამოთქმული ჰიპოთეზის ჭეშმარიტებასა თუ მცდარობასთან მიმართებით.

ნაშრომი შექმნილია თვისებრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ შესრულებულია სამაგიდე კვლევა. დამუშავებულია მეორადი მონაცემები და მათ საფუძველზე გამოკვლეულია სხვადასხვა საკითხები საქართველოში არსებულ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები, ვაჭრობა ფორექსზე, ძირითადი ფინანსური მახასიათებლები, ფასიანი ქაღალდები.

### Abstract

Demand for brokerage firms is growing every year around the world, although Georgia is not really one of the countries where trading in various securities is very popular. According to the National Bank of Georgia, a total of 8 licensed brokerage companies are registered in the country.

The research conducted during the conference paper is based on an in-depth study of the brokerage market, which will allow the reader to understand in general what brokers are or what benefits they can get from working with them. The paper describes in detail the main characteristics of each licensed



brokerage firm, as well as the important financial characteristics, the knowledge of which the user will be able to choose between brokerage companies.

The paper answers each research question thoroughly and a reasoned answer is given to the truth or falsity of each hypothesis expressed.

The paper is created by the method of qualitative research, in particular, desk research is performed. Secondary data are processed and based on them, various issues related to licensed brokerage companies in Georgia are investigated.

Keywords: licensed brokerage companies, Forex trading, Key financial characteristics, Securities.

## საქართველოს სადაზღვევო ბაზრის ემპირიული ანალიზი და მისი განვითარების პრობლემები პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში

ნიკო ლეონიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

მსოფლიოს განვითარებამ და გლობალიზაციის ზრდის პროცესმა მნიშვნელოვანი გახადა მდგრადი სადაზღვევო ბაზრის არსებობა. თანამედროვე მსოფლიოში მოსახლეობის ზრდისა და განვითარების ტემპის აჩქარებასთან ერთად მნიშვნელოვანი გახდა მათი პირადი ქონების, შემოსავლების, ჯანმრთელობის, ავტომობილების, სიცოცხლის დაცვა გაუთვალისწინებელი შემთხვევებისგან, სწორედ ამიტომ შეიქმნა და მალევე გაძლიერდა სადაზღვევო ბაზარი.

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ზრდისა და განვითარების ტემპი ეკონომიკურ-ფინანსური და სოციალური გარემოს თვალსაზრისით სპეციფიკურ თავისებურებებს აყალიბებს. სადაზღვევო ბაზარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში და ახდენს ქვეყნის განვითარებას სოციალურ-ეკონომიკური კუთხით. მოცემულის განვითარება და გაძლიერება ბოლო წლებში დაიწყო, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის განვითარების ზრდით და სხვა შიდა და გარე ფაქტორებით, როგორებიცაა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, კოვიდ პანდემია, სახელმწიფო რეგულაციები და სხვა.

გარდა ამისა, მიუხედავად იმას, რომ ყოველწლიურად ძლიერდება სადაზღვევო ბაზარი და იზრდება მისი წილი, არსებობს სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორები, რომელიც აფერხებენ დაზღვევის განვითარებას და ზრდას, როგორებიცაა: მოსახლეობის განათლების დაბალი დონე, ნდობის დაბალი მაჩვენებელი, ეკონომიკური რყევები და სხვა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც რომ სადაზღვევო ბაზარი იყო ერთ-ერთი მდგრადი და ძლიერი

კოვიდ პანდემიის პირობებში, რადგან მოცემულის დროს არ შემცირებულა სადაზღვევო კომპანიების ფინანსური რესურსები და პირიქით გაიზარდა მათი წილი ბაზარზე.

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის უკეთ შესწავლისთვის მნიშვნელოვანია ობიექტურად და ძირფესვიანად იქნას შესწავლილი ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე არსებული მდგომარეობა, რომელშიც მოიაზრება სადაზღვევო პროდუქტების რაოდენობა, სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგომარეობა და მათი წილი ბაზარზე, მოზიდული პრემიების რაოდენობა და მათი დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში.

საკვანძო სიტყვები: სადაზღვევო ბაზარი, დაზღვევა, მოზიდული პრემიები, სადაზღვევო პროდუქტები.

## **Abstract**

The development of the world and the growth of globalization have made important the existence of a sustainable insurance market. In the modern world, with the population growth and accelerated pace of development, it has become important to protect their personal property, income, health, cars, and life from unforeseen events, which is why the insurance market was created and soon strengthened.

The growth and development rate of the insurance market in Georgia has specific peculiarities in terms of the economic-financial and social environment. The insurance market plays an important role in ensuring the social welfare of the population and contributes to the socio-economic development of the country. The development and strengthening of it have started in recent years, which was caused by the development of the country and other internal and external factors such as the improvement of the economic situation, the Covid pandemic, state regulations, etc.

In addition, even though the insurance market is growing stronger and its share is growing every year, various obstacles hinder the development and growth of insurance, such as low level of education in the population, low level of trust, economic fluctuations, etc. But we must also take into account that the insurance market was one of the most stable and strong in the conditions of the pavilion, because at the given time the financial resources of insurance companies were not reduced and, conversely, their market share was increased.

To better study the insurance market in Georgia, it's important to study objectively and thoroughly the current situation in the country's insurance market, which considers the number of insurance products, the financial position of insurance companies and their market share, the number of premiums attracted and their dynamics over the past 5 years.

Keywords: insurance market, insurance, premiums attracted, insurance products.

## ინდივიდების მართვა ორგანიზაციებში

სანდრო ცოტნიაშვილი,

საბა ცოტნიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

დღევანდელ ორგანიზაციებში მენეჯმენტის მხოლოდ ერთი მიდგომა აღარ მუშაობს. დროებითი მენეჯერები იერარქიის და ნომინალური მოვალეობების მიხედვით ვეღარ მართავენ ხალხს. ამ სტატიაში განხილულია რა ადგილი უკავია ფსიქოლოგიას ორგანიზაციაში.

ამ სტატიაში ასევე განხილულია აღქმისა და გაგების იდეა და თუ როგორ შეუძლია ამან იმოქმედოს შრომის ინტენსიურობაზე. გამოკვეთილია თუ როგორაა ინდივიდების ქმედებები წამოსული მათი ღირებულებებიდან. ხშირ შემთხვევაში, ღირებულებები შეგვიძლია კულტურის მამოძრავებელ ძალად მივიჩნიოთ. თუმცა, ღირებულებები ხალხის მართვის შემთხვევაშიც შეგვიძლია განვიხილოთ. რომ ჩამოვყალიბოთ, შევინარჩუნოთ და გავაუმჯობესოთ ხალხთან ურთიერთობა, მოტივაცია რომ მივცეთ მათ, უნდა გვესმოდეს რა არის მათთვის მნიშვნელოვანი. ღირებულებები არა მარტო ჩვენი ქმედებების მამოძრავებელი ძალაა, ის ასევე დიდ როლს თამაშობს იმაში, თუ როგორ აღვიქვამთ სამყაროს. მკითხველი გაიგებს ინდივიდუალური თავისებურებების, ინდივიდუალიზმის შესახებ სამუშაო ადგილას, როგორია შეგეძლოს გაუგო და მართო სხვადასხვა ინდივიდები. თუმცა, მცირეოდენი ცოდნა ინდივიდუალური თავისებურებების შესახებ იმას არ ნიშნავს რომ მენეჯერი საკმარისად კვალიფიციურია მათ სამართავად ან მათ კატეგორიებად დაყოფად. სტატიის ბოლოს განხილულია როგორ შეიძლება დადებითმა ფსიქოლოგიამ გააუმჯობესოს სამუშაო ადგილი და მართვის უნარები, რომელშიც მომუშავეების გამხნეება, მოსმენა, კონფლიქტების ერთად გადაჭრა, მოქნილობა, მოთმინება, ღია კომუნიკაცია, ნდობა და ორგანიზებულობა შედის.

საკვანძო სიტყვები: მენეჯმენტი, ინდივიდები, ფსიქოლოგია, ორგანიზაცია, ღირებულებები, ინდივიდუალური თავისებურებები, მენეჯერი.

### Abstract

In organizations today a 'one size fits all' management approach will not work anymore. Contemporary managers can no longer rely on hierarchy and nominal roles to manage people.

In an article it's discussed how psychology contributes to organizational behaviour. You can also read the description of the process of perception and get the idea of how it can affect performance at work. It's outlined in the article how values drive individual behaviour. In many cases, values can be thought of as the building blocks of culture. However, values can also be understood within the context of people management; to form, sustain, and improve relationships with people, or to motivate people, we must understand what is and what is not important to them. Values not only drive behaviour but also affect, and are affected by, how we perceive and make sense of our world. The reader can get the idea of

personality in the workplace, what it is to have the ability of understanding and managing different personalities. However, having at least some understanding of personality does not mean that a manager is qualified of managing personalities or even categorizing and labelling people as certain types. In the end it's also explained how positive psychology can improve people's workplaces and essential people management skills which cover empowering employees, active listening, conflict-resolution, flexibility, patience, clear communication, trust and organization.

Key words: management, individuals, psychology, organization, values, personality, manager.

## ინვესტიციები როგორც სიღარიბის დაძლევის აქტორი

სალომე ღუმბაძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

გლობალურ სამყაროში უმნიშვნელოვანესი საფინანსო-ეკონომიკური გამოწვევები არსებობს როგორებიცაა: სიღარიბის მაღალი დონე, საბიუჯეტო სახსრების ნაკლებობა, ეკონომიკური რეცესია და ა.შ, რაც იწვევს მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია საინვესტიციო სფეროს ფორმირება-განვითარება და მისი პოპულარიზაცია საერთაშორისო დონეზე. ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, სთეიქჰოლდერებს ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნიათ საინვესტიციო პოლიტიკასთან მიმართებაში, რადგანაც არსებული კონკურენციის პირობებში რთულია მომგებიანი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება. განვითარებული ქვეყნები ორიენტირებულნი არიან თავიანთი ფინანსური რესურსები დააბანდონ ისეთ ქვეყნებსა და ეკონომიკურ საქმიანობებში, რომლებსაც მნიშვნელოვანი პერსპექტივა გააჩნიათ. საინვესტიციო სფეროზე საუბრისას, აუცილებლად განიხილება, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას, ახალი საწარმოო ძალების მეწარმეობის განვითარებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის ეფექტიანობის ამაღლებას, ეს კი უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის განვითარებას.

ნაშრომის განხილვისას იკვეთება ძირითადი, საკვანძო საკითხები როგორიცაა: ინვესტიციების მნიშვნელობა, რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია აღნიშნულს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში, რა სირთულეები არსებობს მოცემულთან მიმართებაში და რა უნდა განხორციელდეს ასახული სირთულეების გადასაჭრელად. ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემოს შეფასება, განხილვა თუ რამდენად სრულყოფილია აღნიშნული სფერო და რა უნდა განხორციელდეს სამომავლოდ ინვესტიციების რაოდენობის ზრდისთვის.

ინვესტიციებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია კომერციული საქმიანობის ეფექტურ ფუნქციონირებასა და დინამიკურ განვითარებაში. აღნიშნული ხელს უწყობს საწარმოო,

ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობს წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

აღსანიშნავია რომ საქართველოში არ შეინიშნება ინვესტიციების მოზიდვის მაღალი მაჩვენებელი, მაგრამ აქვს სამომავლო პერსპექტივა მოიზიდოს ინვესტიციები და ქვეყანა განავითაროს შემდეგი მაჩვენებლებით: ცხოვრების დონის ხარისხით, ეკონომიკური მდგომარეობით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით და ა.შ.

საკვანძო სიტყვები: საინვესტიციო კლიმატი, ღია ეკონომიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური რეცესია.

## **Abstract**

The most important financial and economic challenges in the global world are: high levels of poverty, lack of budget funds, economic recession and so on, which leads to a deterioration in the living standards of the population. Therefore, the formation and development of the investment sector and its promotion at the international level is important for the socio-economic perfection of the country. In countries with open economies, stakeholders have a negative attitude towards investment policy, as it is difficult to carry out profitable economic activities in the current competitive environment. Developed countries are focused on investing their financial resources in countries and economic activities that have significant prospects. When talking about investment, the importance of both local and foreign investment, which will create jobs, develop new productive enterprises, which helps to increase the efficiency of various sectors of the economy, this ensures the development of the social status of the population.

When discussing the paper, the key issues are the importance of investment and how important it is in the development of the socio-economic situation of the country, what are the difficulties in relation to this and what should be done to solve the problems. The main purpose of this paper is to assess the current investment climate in Georgia, to discuss how perfect this field is and what should be done to increase the number of investments in the future.

Investments play an important role in the effective functioning and dynamic development of commercial activities. They promote the implementation of industrial, innovative and social projects, participates in increasing the volume of production and further improving the efficiency of public production.

It should be noted that Georgia does not currently have a high rate of investment attraction, but has a future perspective to attract investment and develop the country with the following indicators: quality of life, economic situation, job creation, etc.

keywords: investment climate, open economy, investment environment, economic recession.

## მომხმარებელთან ურთიერთობის ეთიკა

მარიამ თოფურია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

მომხმარებლის კეთილგანწყობა ბიზნესის გავითარების სტიმულატორია, იგი ძირითადად განაპირობებს წარმოების მოცულობასა და ტემპებს. ცნობილია, რომ როცა ადამიანები ყიდულობენ მნიშვნელობა ენიჭება წვრილმანებსაც, მომხმარებელი უნდა გრძნობდეს, რომ თქვენ მას აფასებთ და პატივს სცემთ, აქედან გამომდინარე, არ უნდა დაკარგოთ მომხმარებელი უბრძოლველად, მომხმარებლის ნდობა ამა თუ იმ ნაწარმზე და ზოგადად ბრენდზე, მისი სტაბილური განვითარების გარანტიაა, რადგან საზოგადოების კეთილგანწყობა ბიზნესის განვითარების სტიმულატორია. როგორც მეწარმეობა, ისე ბიზნესის ნებისმიერი დარგის ეფექტურობა უშუალოდ უკავშირდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ღირებულებით ორიენტაციებს, რომელთაც სწავლობს კომუნიკაციური ტექნოლოგიების ერთ-ერთი თანამედროვე და სწრაფად განვითარებადი დარგი - საზოგადოებასთან ურთიერთობა. პიარის ძირითადი მიმართულებებიდან უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მომხმარებელთან ურთიერთობას. საზოგადოებასთან ურთიერთობის თეორია და პრაქტიკა ანუ პიარი გვასწავლის როგორ მივაღწიოთ ურთიერთგაგებას, როგორ გადავჭრათ წინააღმდეგობა კონფლიქტები ხალხსა და ხელისუფლებას, მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის. არსებობს საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვადასხვა ფორმები, ესენია: პრომოუშენი, ფაბლისიტი და რეკლამა, ინდივიდებსა და საზოგადოებაზე პირდაპირი და ირიბი კომინკაციური ტექნოლოგიაა, ამიტომ მათი გამოყენებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პიარის ეთიკური პრინციპებისა და ზნეობრივი კოდექსის მოთხოვნათა დაცვას. ბიზნესში არსებობს ასევე არაკეთილსინდისიერი რეკლამა. აშშ-ში სათამაშოების ფაბრიკის მარკეტინგის სამსახურმა გაავრცელა რეკლამა საბავშვო რკინიგზის შესახებ, რომელშიც ფიგურირებდა ორთქლმავალი, ლიანდაგი, ხიდები და მთელი სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. რეალურად გასაყიდ პაკეტში მხოლოდ ლიანდაგი შედიოდა. ასეთმა რეკლამამ შეცდომაში შეიყვანა ბავშვებიც და მათი მშობლებიც. მომხმარებლის გადაბირების მიზნით ზოგიერთი მეწარმე და ბიზნესმენი მიმართავს კონკურენტების სუსტი მხარეების წარმოჩენას, რაც საკუთარი ნაწარმის განდიდებას ემსახურება. ბიზნესმენები ხშირად აწყდებიან ზნეობრივ პრობლემებს. ის, თუ რა საუკეთესო გამოსავალი ამა თუ იმ სიტუაციიდან ძნელი მოსაძებნია იმის გამო, რომ ზოგიერთ მენეჯერს არ აქვს სათანადო მორალური პრინციპები. კომპანიები კორპორაციული მარკეტინგული ეთიკის პოლიტიკის განვითარებას საჭიროებენ. საუკეთესო წესებსაც კი არ შეუზღია ყველა იმ რთული ეთიკური სიტუაციიდან გამოყვანა, რომლებშიც შეიძლება მეწარმე აღმოჩნდეს; თუ მაგალითად, მარკეტოლოგები ეთიკის წესების გვერდის ავლით შეეცდებიან გაყიდვის პროცესის დაჩქარებას, მათი მარკეტინგული საქმიანობა შესაძლოა არაეთიკურად შეფასდეს, უფრო მეტიც, ამორალურად; ხოლო, თუ ამ კურსის გაგრძელებაზე უარს იტყვიან, ისინი არაეფექტურ მუშაკებად იქცევიან. ბიზნესის გრძელვადიანი ეფექტურობა ეფუძნება

საზოგადოების კეთილგანწყობას რასაც სპეციალისტები უწოდებენ გაცნობიერებულ მარკეტინგს, რომელიც ისეთი მარკეტინგული ფილოსოფიაა, რომლის თანახმად, კომპანის სტრატეგიამ მარკეტინგული სისტემის გრძელვადიანი ეფექტიანობა უზრუნველყოს.

## Abstract

Customer kindness stimulates business, it mainly controls the pace and quantity of the production. It is known that when people buy things details are prioritized, customers must feel that you appreciate and respect them. So in conclusion you should not let go of the customer without trying to offer your product. Trust of the customer is a guarantee of the stable development. Because of the kindness of the customers is the stimulator for the business, as entrepreneurship as well as other other fields are important, which is studied by the common and fast developing field – PUBLIC RELATIONS (PR). PR's one of the main branch is relations with customers/public. PR – Public Relations theories and studies teach us how to overcome ups and downs in business, how to deal with the problems between people and providers. There are different forms of relations of the public, for example: promotion, publicity, and advertisement. For individuals and the public, its crucial to obey PR ethics. In business there also exists unscrupulous advertisements. For example, the toy factory marketing service in the USA has released an advertisement for children's railroad featuring steam locomotives, rails, bridges and the entire rail infrastructure and in fact, only the rails were included in the package for sale. Such advertisements misled both children and their parents. Businessmen/businesswomen often face the moral problems issue. Sometimes there is a manager who does not have mental strength and skills to overcome problems quickly and in time. So that means that even strictest rules can not take you out from the ethical problems. Long term success in business is depended on consumer's satisfaction, which is the marketing philosophy that says that the company's strategies must ensure long term success of the business.

## ლურჯი ეკონომიკა - წყლის რესურსების მდგრადი მართვა

ნესტან ვარშანიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

მოცემული კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მხარდაჭერით [გრანტის ნომერი MR-21-1059]. წინამდებარე ნაშრომში განხილულია ლურჯი ეკონომიკა, რომელიც ეხმიანება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (მიზანი 1; 8; 14; 15; 17). მდგრადი ეკონომიკური გადაწყვეტილებები და მართვის სისტემები თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევაა. მსოფლიო ოკეანეები, ზღვები და წყლის რესურსი სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია, მილიარდობით ადამიანისათვის საცხოვრებელი და საარსებო

საკვებით უზრუნველყოფის წყაროა და ჩართულია სხვადასხვა ეკონომიკურ საქმიანობაში. გრძელვადიან პერიოდში არსებული რესურსები ანთროპოგენური ზეწოლის ქვეშ ექცევა. მნიშვნელოვანია რომ საქართველომ, როგორც საზღვაო და მტკნარი წყლით გამორჩეულმა ქვეყანამ, შეძლოს აღნიშნული პროცესების გაცნობიერება.

რა არის ლურჯი ეკონომიკა? ეს კითხვა 10 სხვადასხვა ადამიანს რომ დაუსვათ 10 განსხვავებულ პასუხს მიიღებთ. ლურჯ ეკონომიკას მსოფლიო ბანკი შემდეგნაირად განმარტავს: „ლურჯი ეკონომიკა არის საზღვაო რესურსების მდგრადი გამოყენება ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის, საცხოვრებელი პირობების და სამუშაო ადგილების გაუმჯობესებისა და ოკეანის ეკოსისტემის სიჯანსაღისთვის.“

ნაშრომის მთავარი მიზანია ლურჯი ეკონომიკის ფარგლებში არსებული მდგომარეობისა და პოტენციალის შესწავლა, პრობლემური საკითხების გაანალიზება მსოფლიოსა და საქართველოში. ლურჯი ეკონომიკა აერთიანებს ისეთ სექტორებს როგორებიცაა: სანაპირო ტურიზმი, აქვაკულტურა, ლურჯი ენერჯია, ლურჯი ბიოტექნოლოგიები და მოპოვება ზღვის ფსკერზე. საქართველოსთვის, როგორც ჰიდრორესურსებით მდიდარი შავიზღვისპირეთის ქვეყნისთვის, ლურჯი ეკონომიკის პრინციპების გატარება და დანერგვა იძლევა განვითარების შესაძლებლობას. ნაშრომის პირველ ნაწილში წამოჭრილია ლურჯი ეკონომიკის არსი, პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები. მეორე ნაწილში კი აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები. წინარე მასალის ანალიზის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები. მოცემულია ავტორისეული ხედვები/პოზიცია და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ლურჯი ეკონომიკა; მდგრადი მართვა; წყლის რესურსები; საქართველო.

## Abstract

This work was supported by Shota Rustaveli National Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number MR-21-1059]. This paper discusses the Blue Economy, which responds to the UN Sustainable Development Goals (Goal 1; 8; 14:15; 17). Modern world faces many challenges related to sustainable economic solutions and management systems. The world's oceans, seas and water resources are of vital importance. It is a source of livelihood for billions of people. It is all involved in various economic activities. In the long run, resources are under anthropogenic pressure. It is critical for Georgia, as a country distinguished by its maritime and freshwater, be able to comprehend these processes.

What is the Blue Economy, and how does it work? You'll get ten different answers if you ask this question to ten different people. According to the World Bank, the Blue Economy is the "sustainable use of ocean resources for economic growth, improved livelihoods, and jobs while preserving the health of ocean ecosystem."

The main goal of the paper is to study the current situation and potential within the blue economy and to analyze problematic issues in the world and in Georgia. The Blue Economy combines sectors such as coastal tourism, aquaculture, blue energy, blue biotechnology and seabed mining. For Georgia, as a Black



Sea country rich in hydro resources, the implementation and introduction of the principles of the Blue Economy provides an opportunity for development. The first part of the paper raises a number of problems related to the conduct of Blue Economy policy. The second part describes the experiences of various countries and the challenges facing in Georgia. Conclusions are made based on the analysis of the previous material. The Author's views / position and recommendations are given.

Key words: Blue Economy, Sustainability, Water resources, Georgia.

## NFT-ის არსი და შექმნის ისტორია

მარიამ ლურჯაია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების შესახებ ყველასთვის ცხადია. ყოველდღიურად ვიგებთ სიახლეებს ახალი სისტემების, პლატფორმების, ხელოვნური ინტელექტის, ბლოკჩეინის, კრიპტოვალუტების და ა.შ შესახებ. ვირტუალური სამყარო ნამდვილად გახდა 21-ე საუკუნის განუყრელი ნაწილი. განსაკუთრებით, ბოლო 2 წლის განმავლობაში პოპულარობა ჰპოვა NFT-იმ, რომელზეც ყველა საუბრობს, თუმცა დაზუსტებული ინფორმაცია მის შესახებ ბევრს არ აქვს, რაც დეზინფორმაციების წყარო ხდება.

სწორედ ამიტომაც, მოცემულ ნაშრომში განხილულია თუ რა არის ზოგადად კრიპტოვალუტა, თუმცა უფრო კონკრეტულად ჩავუღრმავდებით მის კერძო სახეობას NFT-ის. ნაშრომში განხილულია NFT-ის არსი და მისი წარმოშობის ისტორია. აგრეთვე, შევხებით მისი შექმნის ეტაპებს, გავიგებთ რითია იგი განსაკუთრებული და გავეცნობით 2022 წლის საუკეთესო 5 NFT პროექტს.

ნაშრომის გაცნობის შედეგად მკითხველს შესაძლებლობა ექნება NFT-ის ისტორიის შეთვისებასთან ერთად ფეხი აუწყოს თანამედროვე ციფრულ სამყაროს და ჩაერთოს მასში, ამავდროულად თანადროულად გახდეს იმ სამყაროს ნაწილი, რომელსაც დღევანდელი ციფრული სამყარო გვიქადის.

საკვანძო სიტყვები: ბლოკჩეინი, კრიპტოვალუტა, NFT.

### Abstract

The rapid development of digital technologies is obvious to everyone. Every day we read news about new systems, platforms, artificial intelligence, blockchain, cryptocurrencies, etc. The virtual world has

truly become an integral part of the 21st century. Especially, NFT has become popular in the last 2 years and is being discussed everywhere, although not many have accurate information about it, which is becoming a source of misinformation.

So, this paper discusses what cryptocurrency is in general, though we will delve more specifically into its particular type which is NFT. The paper discusses the essence of NFT and its history. We will also touch on the stages of its creation, find out what makes it special and get acquainted with the best 5 NFT projects of 2022.

As a result of getting acquainted with the work, the reader will have the opportunity to get acquainted with the modern digital world and become a part of it, too.

keywords: Blockchain, Cryptocurrency, NFT.

## მოგების გადასახდის ესტონური მოდელი - რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები

მარიამ კირვალიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

გადასახადები, ნებისმიერ სახელმწიფოში, ბიუჯეტის შევსების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ყოველთვის აქტუალურია მათი საპროცენტო განაკვეთის განხილვა, ის თუ, რამდენად მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას და როგორ შეიძლება შემსუბუქდეს ისე, რომ არავინ დარჩეს დაზარალებული.

გადასახადების შეფასება მისი ანალიზის ის ეტაპია, როცა აუცილებელია გადაიხედოს, რომელს რა სარგებელი მოაქვს ქვეყნისა და ბიუჯეტისთვის. სწორედ, ამ განხილვის საფუძველზე გადაწყდა, რომ საქართველოში შეცვლილიყო მოგების გადასახადის დაბეგვრის რეჟიმი, მთლიანად მორგებოდა ესტონურ მოდელს და გამხდარიყო მისი იდენტური. მოსალოდნელი შედეგი კი იყო ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, უმუშევრობის შემცირება, ბიზნესის გაფართოება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა.

ესტონურმა მოდელმა ნამდვილად გაამარტივა გადასახადების აღრიცხვის სისტემა, რის შედეგადაც მივიღეთ უფრო სწრაფი, ეფექტური საგადასახადო გარემო. თუმცა, მეორე მხრივ, არსებობს ბევრი კითხვის ნიშანი იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეძლებს ესტონური მოდელი დამოუკიდებლად ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვნად წახალისებას მაშინ, როცა შემოთავაზებული მოდელი მხოლოდ ერთი ქვეყნის გამოცდილებას ეფუძნება.

აღნიშნულ საკითხს ჩვენ საკვლევ თემაში განვიხილავთ მოკლედ, ზოგადად და კონკრეტულად საქართველოს მაგალითზე. ვისაუბრებთ აღნიშნული რეფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ, შევაფასებთ პროგნოზს და რეალურ შედეგებს აღნიშნული მოდელის.

საკვანძო სიტყვები: მოგების გადასახადი, საგადასახადო შეღავათი, ესტონური მოდელი, საგადასახადო სისტემა.

## Abstract

Taxes, in any state, are the most important source of budget replenishment. It is always relevant to discuss their interest rates, how heavy a burden they place on society, and how can it be mitigated so that no one is left affected.

Tax assessment is the stage of its analysis when it is necessary to reconsider what benefits brings to the country and the budget. It was on the basis of this discussion that it was decided to change the profit tax regime in Georgia, to fully adapt it to the Estonian model and to make it identical. The expected result was to accelerate economic growth, reduce unemployment, expand business and create additional jobs.

The Estonian model has really simplified the tax accounting system, resulting in a faster, more efficient tax environment. However, on the other hand, there are many question marks as to whether the Estonian model will be able to significantly encourage independent economic growth while the proposed model is based on the experience of only one country.

We will discuss this issue in the research topic briefly, in general and specifically on the example of Georgia. We will talk about the pros and cons of this reform, evaluate the forecast and the real results of this model.

Key words: Income tax, Tax relief, Estonian model, tax system.

## ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაცია

გიორგი აბაშიძე

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი MR-21-224]

ეკონომიკას, რომელიც ეფუძნება ციფრულ ტექნოლოგიებს, ციფრული ეკონომიკა ეწოდება. დღეს შეუძლებელია გამოვყოთ მიმართულება, რომელიც არ ეფუძნება ციფრულ ტექნოლოგიებს. ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკის ყველა სფერომ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ციფრული ტექნოლოგიების ათვისებამ და ციფრულმა ტრანსფორმაციამ სრულიად შეცვალა საწარმოო პროცესები, ორგანიზაციული ურთიერთობები, მომხმარებელთან კომუნიკაციის ფორმები და ის, თუ როგორ იღებს მომხმარებელი პროდუქციასა და მომსახურებას. Covid – 19 - პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი, შედეგად კიდევ უფრო აქტიურად დადგა საკითხი ქვეყნების წინაშე, მცირე დროში უზრუნველყონ მომზადება და ადაპტაცია.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელობა აღნიშნული გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებშიც, რომლის მიხედვითაც ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ციფრული ტექნოლოგიების ათვისება, ციფრული უთანაბრობის აღმოფხვრა ერთ - ერთი მთავარი ფაქტორია მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ცალკეული ქვეყნების უნარი ეფექტიანად მართონ ჩვენი დროის ყველაზე სტრატეგიული აქტივი - ინფორმაცია არის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ძირითადი გამოწვევა. მონაცემები მრავალგანზომილებიანია და მათი სწორი გამოყენება გავლენას ახდენს არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებაზე, არამედ ადამიანის უფლებების დაცვაზე, უსაფრთხოებაზე, გარემოს დაცვასა და მშვიდობაზე.

ციფრული ტექნოლოგიები დიდ როლს თამაშობს შრომის ბაზარებზეც. დღეს შეუძლებელია წარმოვიდგინოთ დასაქმების ონლაინ პლატფორმების გარეშე, დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის ურთიერთობა. ციფრული ტექნოლოგიები აჩქარებს და ამარტივებს სამუშაოს ძიების პროცესს, რაც სასარგებლოა ორივე მხარისთვის. გარდა დასაქმების პროცესის გამარტივებისა, ციფრული ტექნოლოგიები თავად ქმნის დასაქმების შესაძლებლობას სრულიად ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, რომელიც ანაცვლებს უკვე არსებულ სამუშაო ადგილებს. შესაბამისად, მშრომელთა წინაშე აყენებს მოთხოვნას განსხვავებულ ცოდნასა და უნარებზე. დელოიტის კვლევის მიხედვით, გასული 15 წლის განმავლობაში, ინგლისში, ავტომატიზაციისა და რობოტების მეშვეობით გაქრა 800 ათასი არსებული სამუშაო ადგილი, მაგრამ იგივე პერიოდში შეიქმნა 3.5 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, რომელთა ანაზღაურება გაცილებით მაღალია [Deloitte, 2015: 3].

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გვიჩვენებს, რომ ციფრული ტექნოლოგიები ინტეგრირებულია წარმოებისა და მომსახურების ყველა სფეროში და ქმნის ციფრულ ეკონომიკას, რომელიც ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება 21-ე საუკუნეში მის გარეშე წარმოუდგენელია.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ინდუსტრია 4.0, საზოგადოება 5.0.

## Abstract

This work was supported by Shota Rustaveli National Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number MR-21-224].

A digital economy is an economy based on digital technologies. It has become impossible to identify a direction that is not based on digital technologies. All sectors of the economy have undergone significant changes in recent years. Adoption of digital technologies and digital transformation have fundamentally changed manufacturing processes, organizational relationships, forms of customer communication, and how consumers receive products and services. The COVID-19 pandemic has further accelerated the process of digital transformation, making it an even more pressing issue for countries to ensure rapid preparation and adaptation.

The importance of digital technology development is also mentioned in the United Nations Sustainable Development Goals, which state that access to information and communication technologies, adoption of digital technologies, and the elimination of digital inequality are key factors in ensuring sustainable development. Individual countries' ability to effectively manage information, the most strategic asset of our time, is a major challenge in achieving the goals of sustainable development, because data is multidimensional and its proper use affects not only economic development but also human rights, security, the environment, and peace.

This report brings together what we should know about Digital Economy. The essence and theoretical foundations of digital economics are discussed. In the digital economy, the mechanism of value formation has been defined. The impact of the digital economy's development on the country's economy is presented. The level of digital readiness of Georgia is assessed based on available data, allowing us to determine the current state of development of the digital economy in Georgia and future development prospects.

According to the research, Georgia has a medium level of development in the digital economy and digital readiness in comparison to the other countries in the region, but it has a high growth potential. The activities of the Data Exchange Agency, the development of the draft e-commerce law, and the e-Georgia strategy can all be assessed positively. It is also worth mentioning that the implementation and adaptation of information and communication technologies in education is currently underway. The use of the European model of telecommunications regulations, as well as the improvement of electronic customs procedures, is a step forward. Public services are also being successfully digitized. The creation of platforms by the Public Service Development and Data Exchange Agency, where it is possible to receive a variety of services in all directions online, and the creation of a unified portal of electronic services [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge), is a positive step.

Keywords: Digital Economy, Industry 4.0, Society 5.0.

## საგადასახადო პოლიტიკის ადმინისტრირების გაუმჯობესების მიმართულებები

თამარ კვინიკაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ჩვენს წინამდებარე საკონფერენციო მოხსენებაში - „საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებები“ - განხილულია ჩვენი ქვეყნის ზოგადად საგადასახადო სისტემის, კონკრეტულად კი დაბეგვრის სრულყოფა-გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც საქართველოში საგადასახადო სისტემის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის შედეგად იქნა გამოვლენილი. მათ შორის: დაბეგვრის მექანიზმის მოუქნელობა (არასათანადო ეფექტურობა), საგადასახადო სანქციების სიმკაცრე (მაღალი ტარიფები), გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო კულტურის დაბალი ან უკეთეს შემთხვევასი არასათანადო დონე, საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლილებები.

კვლევის მიზანია განვითარებულ სახელმწიფოთა საგადასახადო სისტემების გამოცდილებათა საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება, იმ ცვლილებების განხილვა, რაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელდა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ავტორისეული არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება.

როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული/განხორციელებული კვლევიდან ირკვევა, მიღწევების მიუხედავად საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა მოითხოვს რეფორმების განხორციელებას, ვინაიდან სხვაგვარად ვერ შეიქმნება სრულყოფილი საგადასახადო სისტემა. სწორედ ამიტომ, ნაშრომში ასახული თეორიული დებულებების და პრაქტიკული წინადადებების რეალიზება ვფიქრობ, რომ ხელს შეუწყობს ბიზნეს სექტორში საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის სრულყოფას, გადასახადის გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას და ჯანსაღი საგადასახადო გარემოს შექმნას. ამასთან ერთად, კვლევის შედეგად შემოთავაზებული წინადადებები და რეკომენდაციები მიმაჩნია რომ, შეამცირებს საგადასახადო ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და შესაბამისად, უზრუნველყოფს ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის შემდგომ გაუმჯობესებასა და საგადასახადო ბაზის დახვეწასა და გაფართოებას.

---

## Abstract

In our present conference report - "Directions for Improving Georgia's Tax Policy" - discusses issues related to the improvement of our country's tax system in general, and taxation in particular, which were identified as a result of the analysis of the current state of the tax system in Georgia. Among them: inflexibility of the tax mechanism (inefficient efficiency), strictness of tax sanctions (high tariffs), low or better case level of taxpayer tax culture, inadequate level, frequent changes in tax legislation.

The aim of the research is to develop recommendations and proposals related to the improvement of the tax system of Georgia, taking into account the experience of the tax systems of developed countries, to discuss the changes made in the tax legislation of Georgia and to make authoritative reasoned conclusions based on critical analysis.

As it is clear from our research / implemented, despite the achievements, the tax policy of Georgia requires the implementation of reforms, as otherwise a complete tax system cannot be created. That is why the implementation of the theoretical provisions and practical proposals outlined in the paper, I think, will help to improve the tax administration process in the business sector, normalize relations between taxpayers and tax authorities and create a healthy tax environment. In addition, the research proposals and recommendations proposed by the study, I believe, will reduce the costs associated with tax administration and, consequently, provide further improvement of the country's fiscal policy and refinement and expansion of the tax base.

## ელექტრონული თანამონაწილეობა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში

ნიკა გოგატიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

What are the peculiarities of the Russian-Ukrainian war on the Baku-Tbilisi-Ceyhan oil pipeline and the transit operation of Georgia within it? - We gave a comprehensive answer. Given the current major developments in international politics, the fact that the United States and almost every country in Europe has begun to look for alternative ways of supplying oil, the Baku - Tbilisi - Ceyhan oil pipeline is gaining, even more, load and importance. Therefore, based on the current events, taking into account the historical context and focusing on the strategic location, we will try to assess the prospects of this pipeline, which we think is a very interesting topic.

## დარფურის კონფლიქტის ისტორიული და სამართლებრივი ანალიზი

მარიამ მეყანწიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

აბსტრაქტის მთავარი მიზანია დარფურის სამოქალაქო ომების გაანალიზება სამი მიმართულებით: ისტორიული, სამართლებრივი და ჰუმანიტარული კუთხით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს რომ აბსტრაქტი არ ასახავს 2019-ის და შემდეგ 2021 წლის სამხედრო გადატრიალების ფაქტებს.

დარფურის სასულთნო დაარსდა XVI საუკუნეში რომელიც 1899წელს შეუერთდა სუდანს. სასულთნო თავდაპირველად შექმნეს დაჟუებმა და ტუნჯურებმა მარას მთიანეთში. სასულთნოს მმართველი იყო დალი (Dali-1603–1874 დედის მხრიდან იყო ფურების ტომის შთამომავალი), რომელმაც სასულთნო დაყო პროვინციებად და შემოიღო ყურანზე დამყარებული სამართალი. ქრონოლოგიურად სასულთნოს შემდეგი მმართველი მისი შვილიშვილი გახდა სულიმანი-სოლონი, რომელიც გამორჩეული მეზრძოლი იყო. იგი კირას დინასტიას მიიჩნევდა დარფურის სასულთნოს დამაარსებლად.

I მსოფლიო ომის პერიოდში დარფურის სასულთნოში ოსმალების მხარდაჭერის მიზნით 1916 წელს შეიჭრნენ დიდი ბრიტანელები, ბრძოლაში მოკლეს სასულთნოს ბოლო სულთანი ალი დინარი, (Ali Dinari-1898–1916) შედეგად კი დარფური მოექცა ანგლო-ეგვიპტური სუდანის შემადგენლობაში.

დარფურის კონფლიქტი ეს არის ეთნიკური კონფლიქტი, რომლის დაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენენ: რეგიონის არაფორმალური პროსახელისუფლებო არაბული შეიარაღებული დანაყოფები-„ჯანჯავიდები“ (Janjaweed - ჯინი ცხენზე) (რომელსაც აფინანსებს სუდანის მთავრობა, რათა სამხრეთ სუდანის ტერიტორია გაწმინდონ შავი აფრიკელებისაგან) და ადგილობრივი ნეგროიდული რასის აჯანყებულთა დაჯგუფებები. ყველაფერი დაიწყო 2003 წლის 25 თებერვალში მას შემდეგ რაც სუდანის განმათავისუფლებელმა არმიამ (Sudan Liberation Movement/Army; SLM) და „სამართლიანობისა და თანასწორობის“ მოძრაობამ (Justice and Equality Movement) დაიწყო შეიარაღებული შეტევები მთავრობის წინააღმდეგ. ისინი მთავრობას ადანაშაულებდნენ სუდანის „შავ-აფრიკელ“ მოსახლეობაზე ზეწოლასა და სუდანელი არაბების მხარდაჭერაში. დარფურში წარმოებულმა სამმა სამოქალაქო(2003; 2005;2011) ომმა ჰუმანიტარული კუთხით ვითარება დაამძიმა, თუმცა სანამ უშუალოდ ჰუმანიტარულ შედეგებზე ვისაუბრებდეთ აუცილებელია ვახსენოთ 2005წლის სამშვიდობო შეთანხმება რომლითაც სუდანის მე-2 სამოქალაქო ომი დასრულდა, ამ პერიოდისთვის სიტუაცია, შედარებით დაბალანსდა, თუმცა 2011 წელს კვლავ დაიწყო კონფლიქტის ახალი ტალღა და ამავე წლის 9 ივლისს სუდანი ორ ქვეყანად-სუდანად და სამხრეთ სუდანად გაიყო. გაყოფის შემდეგ, სუდანის სახალხო განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩრდილოეთით დაიწყო შეიარაღებული წინააღმდეგობა. ისინი აპროტესტებდნენ სამხრეთ კორდოფანისა და „ლურჯი ნილოსის“ შტატების სუდანისთვის მიკუთვნებას, რადგან მათი მტკიცებით არანაირი კონსულტაცია მოსახლეობასთან არ გამართულა. კონფლიქტი მალევე გადაიზარდა „დარფურის რიგით მესამე ომში“ , მას შემდეგ რაც სახალხო მოძრაობამ ალიანსი შეკრა დარფურელ ამბოხებულებთან, რომლებიც თავს „სუდანის რევოლუციურ ფრონტს“ უწოდებდნენ. 2003 წლიდან მოყოლებული კონფლიქტებმა მძიმე ჰუმანიტარული მდგომარეობა შექმნეს: კონფლიქტის მსხვერპლთა რიცხვი დაახლოებით 400 ათას ადამიანს შეადგენს. კიდევ 2 მილიონი უსახლკაროდ დარჩა. ICRC-ი, ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვანი ჰუმანიტარული ორგანიზაციებიდან, რომელიც მოქმედებდა რეგიონში და დახმარებას უწევდა ნახევარ მილიონზე მეტ მოსახლეობას. ICRC-ის ოპერაცია ამ ქვეყანაში რჩება სიდიდით მეორე ჰუმანიტარულ ოპერაციად მსოფლიოში.

საერთაშორისო საზოგადოების უმეტესი ნაწილი ამ მოვლენებში დამნაშავედ სუდანის პრეზიდენტ უმარ-ალ-ბაშირს(Omar Hassan Ahmad Al-Bashir.დაბ-1944/01/01 პრეზ-1989-2019) მიიჩნევს, რომელიც ფარულ მხარდაჭერას უწევდა „ჯანჯავიდების“ არმიას. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ 2009 წელს გამოსცა დაკავების ორდერი სამხედრო და ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში მონაწილე პირების წინააღმდეგ. სუდანში მომხდარი დანაშაულებები 2005 წლიდან მოექცა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს დაკვირვების ქვეშ და აქვე აღვნიშნავ, რომ აღნიშნული საქმე სასამართლოს პოტენციური ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოსაძიებლად გაეროს უშიშროების საბჭომ გადასცა 1593 რეზოლუციით. ალ-ბაშირი

საერთაშორისო სისხლის სასამართლოს რადარში 2009 წლის 1-ლი მარტიდან მოექცა. ბაშირის ორდერი რამდენიმე ასპექტის გამო გახლდათ საერთაშორისო სამართლისთვის საინტერესო : ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოქმედ პრეზიდენტზე გამოიცა ორდერი და პირველი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ გენოციდის ბრალდებაზე დაიწყო მსჯელობა.(გენოციდის ბრალდების დამატების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა). რომის წესდება ადგენს (რომელიც საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სადამფუძნებლო დოკუმენტია ) საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციას: ხელმომწერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან ხელმომწერი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულზე. ალ-ბაშირისა და ზოგადად დარფურის სიტუაცია არცერთ სამართლებრივ საფუძველში არ ჯდება, ვინაიდან სუდანში რომის წესდების ხელმომწერი მხარე არ ყოფილა. გამომდინარე აქედან გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება და თავად თავისი რეზოლუციით გადასცა დარფურის საქმე სასამართლოს გამოსამიებლად. (აღნიშნული მექანიზმი გაწერილია რომის სტატუტის მე-4 მუხლში) საქმის აღსრულება გააძნელა რამდენიმე ფაქტორმა: ერთი გახლდათ ის რომ გენოციდის მუხლის დამატება ვერ მოხდა გამომდინარე იქიდან რომ უშიშროების საბჭომ ერთ-ერთი მუდმივი წევრი სარგებლობდა ვეტოს უფლებით და ბლოკავდა გადაწყვეტილებას და ეს იყო ჩინეთი, რომელსაც თავისი გეოპოლიტიკური მიზნები ჰქონდა სუდანში და ეს დაკავშირებული იყო ნავთობთან. მეორე ფაქტორი კი ეს იყო 27-ე და 98-ე მუხლების დაპირისპირება, რამაც განაპირობა ის რომ დაკავების ორდერის გამოცემის შემდგომ, ალ ბაშირმა არაერთხელ იმოგზაურა ქვეყნებში, რომლებიც არ არიან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წევრები (საუდის არაბეთი, ეთიოპია, ყატარი), თუმცა ალ ბაშირი არ მორიდებია წესდების ხელმომწერ სახელმწიფოებში ვიზიტსაც, რაც, სამწუხაროდ, დაკავების ორდერის იგნორირებით დასრულდა. სამხრეთ აფრიკა, იორდანია, უგანდა-ეს არასრული ჩამონათვალია სახელმწიფოებისა, რომლებსაც რომის წესდებით აღებული ჰქონდათ ვალდებულება, ეთანამშრომლათ სასამართლოსთან ძებნაში მყოფი პირის დაკავების მიზნით, თუმცა ამაოდ. ამას მოჰყვა კიდევ რეაგირება სასამართლოს მხრიდან: 2011 წელს მალავის და ჩადის დაუდგინდა დარღვევა, 2014 წელს – კონგოს, 2017 და 2018 წლებში – სამხრეთ აფრიკასა და იორდანიას. სასამართლო სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი არ ცნობდა სახელმწიფოს მეთაურებისთვის აბსოლუტურ უნიტეტს, შესაბამისად იორდანიას არაფერი აბრკოლებდა ალ ბაშირის დაკავების და სასამართლოსთვის გადაცემისგან. უნდა აღინიშნოს, რომ წინა მსგავს შემთხვევებში (მაგალითად, პირველმა ინსტანციამ იორდანიის მიმართ და სამხრეთ აფრიკის მიმართ), მართალია, ასევე დაადგინა სახელმწიფოების მიერ რომის წესდების ე.წ თანამშრომლობის მუხლის დარღვევა, თუმცა იქ მოტივაციას წარმოადგენდა გაეროს უშიშროების საბჭო და ის ფაქტი, რომ დარფურის სიტუაცია სწორედ უშიშროების საბჭოს რეზოლუციით გადაეცა სასამართლოს გამოსამიებლად; შესაბამისად, ამ რეზოლუციიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება არამარტო საერთაშორისო სისხლის სასამართლოს წევრ სახელმწიფოებს, არამედ გაეროს წევრ ყველა სახელმწიფოს ეკისრებოდა.

ასევე არსებობს 103-ე მუხლი გაეროსი რომელიც მიუთითებს რომ იმ შემთხვევაში, თუ გაეროს წევრების ვალდებულებები წინააღმდეგობაში მოდის მათ სხვა რომელიმე შეთანხმებიდან

გამომდინარე ვალდებულებებთან, უპირატესი ძალა სწორედ გაეროს წესდებიდან გამომდინარე ვალდებულებებს აქვთ. შესაბამისად, თეორიულად ისევ არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ აღ ბაშირის საერთაშორისო სისხლის სასამართლოსთვის გადაცემა გამართლდეს არა სახელმწიფოს ლიდერების იმუნიტეტის არარსებობით, არამედ გაეროს წესდებიდან მომდინარე ვალდებულებებით.; ამ ფაქტების ფონზე 2020 წლის 11 თებერვალს სუდანის მთავრობამ განაცხადა, რომ პრეზიდენტ ალ-ბაშირს გადასცემდნენ სისხლის საერთაშორისო სამართლის სასამართლოს. ბოლოს შეგვიძლია ვთქვათ, რომ სუდანისა და მისი ექს-პრეზიდენტის ომარ-ალ ბაშირის საქმემ შექმნა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც შეუძლია იხელმძღვანელოს საკონსულტაციო სახით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ მესამე სახელმწიფოებისა და მათი მოქალაქეების მიმართ სავარაუდო საერთაშორისო დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში.

## Abstract

The main purpose of the abstract is to analyse the civil wars of Darfur in three directions: in historical, legal, and humanitarian terms, but it should also be noted that the abstract does not reflect the facts of the 2021 military coup.

Darfur Sultan was founded in the XVI century, Sasultno was created by dazhous and injury in the Mara Highlands. The ruler of the sultan was Dali (a descendant of the furry tribe on the part of his mother), who divided the sultanate into provinces and introduced the „Quran“-based law. Chronologically, the next ruler of the sultan, his grandson became Suleiman-Solon, who was an outstanding fighter. He considered the Kira dynasty to be the founder of the Darfur Sultan.

To support the Ottomans in Darfur during World War I, the great British invaded Darfur in 1916. The last sultan Ali Dinar was killed in the battle. As a result, Darfur became the composition of the Anglo-Egyptian Sudanese.

The Darfur conflict is an ethnic conflict that confronts the opposing sides represent: the region's informal pro-governmental Arab armed units - the "gingerbreads" (sponsored by the Sudanese government to clean up the territory of South Sudan from black Africans) and rebel groups of the local Negroid race.

It all started in February 2003 after the Sudanese Liberation Army (SLA) and the "Justice and Equality" movement launched armed attacks against the government. They accused the government of putting pressure on Sudan's "black-African" population and supporting Sudanese Arabs.

The three civilians produced in Darfur (2003; 2005;2011) war aggravated the humanitarian situation, but before talking directly about the humanitarian consequences, it is necessary to mention the 2005 peace agreement by which Sudan's second civil war ended, For this period, the situation was relatively balanced, although in 2011 a new wave of the conflict began again, and on July 9 of the same year, Sudan was divided into two countries - Sudan and South Sudan.

After the split, the Sudanese People's Liberation Movement began armed resistance to the north.

They protested the attribution of South Kordofan and the "Blue Nile" states to Sudan because they claimed no consultations were held with the population.

The conflict soon evolved into a "third war in Darfur," after the People's Movement erupted with Darfur rebels, calling themselves the "Sudanese Revolutionary Front."

Since 2003, the conflicts have created a dire humanitarian situation: more than 2 million people have become internally displaced persons, and more than 300,000 people have died in the civilian confrontation.

Most of the international community is to blame for these events by Sudanese President Omar-al-Bashir, who provided secret support to the Army of "Gingerbread."

In 2009, the International Criminal Court issued an arrest warrant against those involved in military and human crimes.

The crimes in Sudan have come under the observation of the International Criminal Court since 2005, and I note that the case was handed over by the UN Security Council to investigate the facts of potential humanitarian law and human rights violations by the UN Security Council to investigate the facts of potential humanitarian law and human rights violations.

Al-Bashir has been on the radar of the International Criminal Court since March 1, 2009.

Bashir's order was of interest to international law for several aspects: this was the first time a warrant has been issued to the incumbent president, and the first time the International Criminal Court has begun discussing genocide charges. (Attempts to add genocide charges unsuccessfully ended).

The Roman Charter establishes (which is the founding document of the International Criminal Court) jurisdiction of the International Criminal Court: a signatory on the territory of the state or an international crime committed by a citizen of the signatory state.

The situation between al-Bashir and Darfur in general did not fit on any legal basis, since Sudan was not a signatory to the Roman statute.

Therefore, the UN Security Council made an unprecedented decision and handed over the Darfur case to the court by its resolution itself. (This mechanism is outlined in Article 4 of the Status of Rome ) It was difficult to enforce the case of several factors: one was that the knee of the genocide could not be added because one of the permanent members of the Security Council

enjoyed the right to veto and blocked the decision, and it was China that had its geopolitical goals in Sudan and it was related to oil.

The second factor was the confrontation between Articles 27 and 98, which led to the fact that, after issuing an arrest warrant, Al Bashir has repeatedly traveled to countries that are not members of the International Criminal Court (Saudi Arabia, Ethiopia, Qatar), although Al Bashir did not avoid visiting states signing the statute, which unfortunately ended with ignorance of the arrest warrant.



South Africa, Jordan, Uganda – This is an incomplete list of states that had an obligation under the Roman charter to cooperate with the court to arrest the person seeking the court, unfortunately, they were not executed

This was followed by a backlash from the court: in 2011, Malawi and Chad were diagnosed with violations, in 2014, Congo, 2017, and 2018 - South Africa and Jordan were.

The Judicial Appeals Chamber indicated that international customary law did not recognize absolute immunity for heads of state, so Jordan did nothing to prevent Al Bashir from being detained and transferred to court.

should be noted that in previous similar cases (for example, the first instance towards Jordan and South Africa), although it was also determined by the states to violate the article of the so-called cooperation of the Rome statute, however, the motivation there was the UN Security Council and the fact that the situation in Darfur was passed on by a Security Council resolution to investigate the court; Consequently, the fulfillment of the obligations arising from this resolution was not only to the members of the International Criminal Court but also to all UN member states.

There is also Article 103 of the UNITED Nations, which indicates that if the obligations of UN members come against their obligations under any other agreement, the predominant force is the responsibilities coming from the UN statute.

Consequently, in theory, there is still the possibility that the transfer of Al Bashir to the International Blood Court will be justified not by the lack of immunity of the leaders of the state, but by obligations arising from the UN charter; In light of these facts, on February 11, 2020, the Sudanese government announced that it would hand over to President al-Bashir to the ICC. Finally, we can say that the case of Sudan and its ex-President Omar-Al Bashir has created a practice under which it can be guided by consultations against the third names of the ICC and their citizens.

## **საქართველოში რუსეთის აგრესიის (1991-1992 და 2008 წლებში) შედეგად, გაჩენილი იძულებით გადაადგილებული პირების თბილისის ურბანულ სივრცეებთან ინტეგრაციის სირთულეები**

**ნაზი მწარიაშვილი**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **აბსტრაქტი**

2021 წლის დეკემბრის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე 209 774 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს, აქედან ყველაზე მეტი, 80 732 დევნილი-

თბილისშია დასახლებული (სოციალური მომსახურების სააგენტო,2021). იძულებით გადაადგილებულ პირთა საზოგადოება დღეს ყველა იმ გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა წინაშეც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი იმყოფება. თუმცა, დევნილები სპეციფიკური თავისებურებებისა და გამოცდილების მქონე მოწყვლადი ჯგუფია, რომლის პრობლემათა მოგვარებას შესაბამისი პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება სჭირდება. დღეს დევნილთა ჯგუფი არ დგას ერთი ცალკეული პრობლემის წინაშე. მათი მდგომარეობის სიმძიმე კომპლექსურია. დროთა განმავლობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები ნელი ტემპით იცვლება, მაგრამ ჯერ კიდევ მოუგვარებელი რჩება მათი იმ ძირითადი საჭიროებებით უზრუნველყოფა, რომლებიც ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს შექმნიდა აღნიშნული სოციალური ჯგუფისთვის. მოცემული ნაშრომის ფარგლებში გამოკვლეულია ის ძირითადი საკითხები, რომელთა წინაშეც დევნილები დგანან თბილისის ურბანულ სივრცეში. ეს საკითხები ეხება დევნილობისა და დასაქმების გამოცდილებას; სოციალურ, ჯანდაცვისა და საგანმანათლებლო სერვისებისადმი წვდომას; პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას; საცხოვრებელ პირობებს; დემოგრაფიულ მახასიათებლებს; თბილისელ მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობას და დევნილთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას.

საკვლევი საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მონაცემთა მოპოვებისთვის გამოყენებულია ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუების მეთოდი, რადგან ამ უკანასკნელის მიზანია იმ პროცესებთან მიახლოება, რომლებმაც განაპირობეს ან კვლავაც განაპირობებენ გამოსაკვლევ სუბიექტთა ცხოვრებას. ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუების ანალიზი განხორციელდა 7 ეტაპად და გამოავლინა ის ძირითადი მიგნებები, რომლებიც თბილისში მცხოვრები დევნილების გამოცდილებისთვისაა დამახასიათებელი. ნაშრომში აგრეთვე წარმოდგენილია ის კავშირები, რომლებიც კვლევას, „საქართველოში რუსეთის აგრესიის (1991-1992 და 2008 წლებში) შედეგად, გაჩენილი იძულებით გადაადგილებული პირების თბილისის ურბანულ სივრცეებთან ინტეგრაციის სირთულები” და სხვა-საერთაშორისო თუ საქართველოში ჩატარებულ კვლევებს შორის გამოვლინდა.

## Abstract

Based on the statistical data for December 2021, there are 209 774 refugees in Georgia among whom the majority (80 732) have resided in Tbilisi (Social Service Agency, 2021). The society of refugees struggles with the same problems as the main part of the Georgian population. However, refugees are deemed to be a vulnerable group with very specific characteristics and experiences. And accordingly, proper policies are needed to be planned and implemented to eliminate such issues. Currently, refugees deal with not certain (easily-manageable) trouble but their conditions are even more complex. Time to time, the problems faced by refugees have changed a little bit, but providing them with basic needs still remains an unresolved problem. The pointed article basically explores the difficulties and challenges faced by refugees living in urban areas of Tbilisi. These are issues regarding the issues of being a refugee and employment experiences; availability of social, educational, and health services; engagement in

political processes; Their standard of living; demographic features; Relationships between inhabitants of Tbilisi and refugees and their psycho-emotional conditions.

Because of the specificity of the research- problem, the method of biographical-narrative interviews is used since it aims to be attached to the processes that have conditioned the lives of these individuals. The biographical-narrative interviews analysis which were conducted in 7 steps, demonstrated the basic features of the experiences of refugees. Moreover, the work encompasses some noticeable connections between the article - “Difficulties in integrating refugees with Tbilisi's urban areas, as a result of the Russian aggression in Georgia (1991-1992 and 2008)” and either international or Georgian-conducted research.

## პოლონეთ-რუსეთის ურთიერთობები რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

ანნა ოქროპირიძე,

დალი ადუაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ვერ ეგუება რიგითი სახელმწიფოს როლს. მას მსოფლიო ჰეგემონია იზიდავს და მიზანსაც სწორედ ამ უკანასკნელის მოპოვება წარმოადგენს. გავლენის სფეროების მოსაპოვებლად არ ერიდება მკაცრი პოლიტიკის გატარებას და რუსეთ-უკრაინის ომიც ამის ნათელი მაგალითია, რომელსაც „უკრაინის ფაშისტებისგან გამათავისუფლებელი ომი“ უწოდა. ომმა კიდევ უფრო გაამძაფრა უთანხმოება პოლონეთსა და რუსეთს შორისაც, რისი ერთ-ერთი მიზეზი პოლონელთა მწარე და მძიმე ისტორიული მეხსიერებაა, ამ სახელმწიფომ თავის თავზე არაერთხელ გამოსცადა რუსეთის ექსპანსია. ის უპრეცედენტო სოლიდარობა რასაც პოლონელთა მხრიდან ვხედავთ უკრაინის მიმართ არ გახლავთ საფუძველს მოკლებული. პოლონეთმა ყველაზე კარგად იცის თავისუფლების ფასი.

პოლონელი ერისთვის დამოუკიდებლობის გზაზე გეოპოლიტიკური ვითარების და დასავლეთის მხარდაჭერაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის ისტორიული მეხსიერება, რომელსაც ისინი „ტრავმებისა და დრამების ისტორიას“ უწოდებენ. დამოუკიდებლობის დაკარგვა, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი, მეორე მსოფლიო ომი და ჰოლოკოსტი - ეს მცირე ჩამონათვალიც საკმარისია იმ დადღასმული ისტორიის ნათელსაყოფად, რაც პოლონეთ-სსრკ-ს (პოლონეთ - რუსეთს) აკავშირებს. ევროპული ოჯახი კი პოლონეთისთვის ერთადერთ სანდო თავშესაფარს წარმოადგენს.

პოლონეთმა, რომელმაც ჯერკიდევ სამი ათეული წლის წინ საბჭოთა პოლიტიკის ნანგრევებზე დაიწყო ახალი სახელმწიფოს მშენებლობა, 1991წელს მოახერხა დამოუკიდებლობის მოპოვება,

შემდეგ გაატარა უძლიერესი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები, რის შედეგადაც ჩამოიცილა საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკურ-ეკონომიკური ნარჩენები და ყველა შესაძლებლობა გამოიყენა ევროპულ ოჯახში დასაბრუნებლად. სწორედ 1999 წელს ნატოში და 2004 წელს ევროკავშირში ინტეგრაცია იყო უდიდესი მიღწევა. ევროინტეგრაციის გზაზე ამ სახელმწიფომ ვიშეგრადის ჯგუფში დომინანტის ადგილი მოიპოვა. საბჭოთა რუსეთი პოლონეთს ყოველთვის თავის პოლიტიკურ ნაწილად თვლიდა. რუსეთის უღელისგან პოლონეთის განთავისუფლების შემდგომ ბოლო მეოთხედი საუკუნის მანძილზე პოლონეთს შესაძლებლობა მიეცა საგარეო პოლიტიკა დამოუკიდებლად ეწარმოებინა, ხოლო რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობები ახალ პოლიტიკურ ფაზაში გადასულიყო.

პოლონეთის ევროინტეგრაციულმა პოლიტიკამ გამოიწვია მისი სუვერენიტეტის გაძლიერება, რომლის მტკიცებულებას წარმოადგენს 2022 წლის 24 თებერვალს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ჩართვა. პოლონეთს შეეძლო დაეკავებინა ბუფერული და ნეიტრალური პოზიცია, რომელიც მსოფლიოს თვალში გამართლებულიც იქნებოდა. თუმცა უკრაინის მეზობელი სახელმწიფოს გვერდშიდგომა სამაგალითო აღმოჩნდა ევროპული და მსოფლიო პოლიტიკისთვის. პოლონეთი აღმოჩნდა პირველი სახელმწიფო, რომელმაც ომის დაწყების დღიდან შემზღვეველი სანქციები დაუწესა რუსეთს, დაწყებული რუსული თვითმფრინავებისთვის საჰაერო სივრცის ჩაკეტვით და დამთავრებული 30 წლიანი ენერგეტიკული თანამშრომლობის გაწყვეტით, რაც არცთუისე სახარბიელო მდგომარეობაში ამყოფებს თავად პოლონეთსაც. პრეზიდენტ არდუეი დუდას მხარდამჭერ განცხადებებში ნათელია რომ პოლონეთი მხარს უჭერს უკრაინას, უკრაინელ ხალს და ქვეყნის ევროპულ მომავალს. მან ფაქტობრივად თავისი ქვეყანა დააყენა პოლიტიკურად არამდგრადი და აგრესიული სახელმწიფოს პირისპირ. პოლონეთი კოორდინირებას უწევს მილიონობით უკრაინიდან ლტოლვილთა გადაადგილებას საკუთარ საზღვარსა და ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.

პოლონეთისათვის საფრთხე, რომ სახელმწიფო გახდეს რუსეთის აგრესიის ერთერთი ახალი სამიზნე ნამდვილად არსებობს. პოლონეთის ევროკავშირისა და ნატოს წევრობა რუსეთისთვის შეზღვევას წარმოადგენს მაგრამ ექსპანსიონისტი ქვეყნისთვის, რომლისთვისაც ომის მიზეზი არ არსებობს თავისუფლად არის შესაძლებელი პოლიტიკურად არაადეკვატური ქმედების განხორციელება. ამის თქმის საფუძველი გახლავთ ჩვენი ქვეყნის მაგალითი, რომლის თავისუფლების გზაზე რუსეთმა სამაჩაბლო და აფხაზეთის რეგიონების ოკუპაცია განახორციელა. ამიტომაც გვაქვს ვარაუდი რომ შესაძლებელია არა მასობრივი, არამედ ფრაგმენტული ფორმატით განახორციელოს პოლონეთის მიმართ მისთვის დამახასიათებელი უღირსი ქმედება.

საკვანძო სიტყვები: პოლონეთი, რუსეთ-უკრაინის ომი, სანქციები, მხარდაჭერა.

## Abstract

After the collapse of the Soviet Union, Russia could not get used to the role of an ordinary state. He is attracted to world hegemony and his goal is gain the latter. He does not shy away from pursuing a

tough policy to gain spheres of influence and Russian-Ukraine war is a clear example of his which called “the war to liberate Ukraine from the Fascists”. The war further intensified the disagreement between Poland and Russia one of the reasons for which is the bitter and heavy historical memory of the Poles, this state has repeatedly experienced Russian expansion on its own. The unprecedented solidarity we observe on the part of the Poles towards Ukraine is not unfounded, Poland knows best the price of freedom.

No less important to the Polish nation on the path to important was the geopolitical situation and the support of the West for the historical memory of the population which they call the “history of trauma and drama”. The loss of independence, The Molotov-Ribentrop pact, World War II and the Holocaust—even a small list is enough to shed light on the history of Poland-USSR. The European family is the only reliable refuge for Poland.

Poland which began building a new state on the ruins of Soviet politics three decades ago gained independence in 1991. Then it underwent strong economic and political reform, that removed the political-economic remnants of the Soviet regime and used every opportunity to return to the European family. In 1999 in NATO and in 2004 EU integration was a major achievement. On the path to European integration this country has gained a dominant position in the Visegrad Group.

Soviet Russia has always considered Poland as its political part. For the last quarter of a century since the liberation of Poland from the yoke of Russia Poland has been able to conduct its foreign policy independently and political relations with Russia have entered a new political phase.

Poland’s European integration policy has led to the strengthening of its sovereignty as evidenced by its involvement in the Russia – Ukraine conflict which began on February 24, 2022. Poland could have taken a buffer and neutral position, which would have been justified in the eyes of the world. However, the sideline of Ukraine’s neighbor turned out to be exemplary for European and world policies. Poland became the first country to impose restrictive sanctions on Russia since the start of the war, with the closure of airspace for Russian planes and ending 30 years of energy cooperation, which has left Poland in a state of disarray. The President of Poland Andrzej Duda stated that he supports Ukraine, the Ukrainian people and the country’s European future. He has in fact put his country in the face of a politically unstable and aggressive state. Poland coordinates the movement of millions of refugees from Ukraine across its own border and administrative territory.

The threat to Poland becoming a state is indeed one of the new targets of Russian aggression. Poland’s membership of the European Union and NATO is a constraint on Russia, but for an expansionist country for which there is no cause for war, it is freely possible to take politically inadequate action. The basis for this is the example of our country on the way to which Russia occupied the “Samachablo” and Abkhazia regions. That’s why we suggest that it is possible to carry out the unworthy intrusion toward Poland, not in a mass, but in a fragmented format.

Key word: Poland, Russia-Ukraine war, sanctions, support, relations.

## შრომითი მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებში

დეა კაკაბაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

დღეს, გლობალიზაციის პირობებში, მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია მსოფლიო განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. ის შრომის საერთაშორისო ბაზარს მოქნილს ხდის და შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებს აახლოებს ინდუსტრიულ ქვეყნებთან. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია მზარდ როლს თამაშობს საერთაშორისო მიგრაციულ ნაკადებში. თანამედროვე პერიოდში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური პროგრესი სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციის ტენდენციებზე.

მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია, მათ შორის შრომის სახელმწიფოთაშორისი მიგრაცია, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მოსახლეობის მიგრაციასა და ეკონომიკური გლობალიზაციის ურთიერთდამოკიდებულებას იმდენი მრავალეროვნული გამოვლინება აქვს, რომ დამოუკიდებელ თემად განხილვას იმსახურებს.

ნაშრომის საკვლევ კითხვა კი შემდეგნაირად ფორმულირდება: „რა ფაქტორების გავლენით იქცევა ევროკავშირის შრომითი ბაზარი განვითარებადი ქვეყნებისთვის მიზიდვის წერტილად და რა შედეგების მომტანია აღნიშნული პროცესი?“

ნაშრომი განიხილავს ევროკავშირის მიგრაციის პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტებს, ხაზს გაუსვამს იმ ქვეყნებს, რომლებიც განსაკუთრებით იზიდავს ევროკავშირის შრომის ბაზარს და გამოკვეთს შრომითი მიგრაციის რეალური მნიშვნელობას ევროკავშირში მსოფლიო შრომის ბაზარზე. ამასთანავე, კვლევა გამოავლენს ძირითად ფაქტორებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მიგრანტების მოზიდვის პროცესში. ასევე აღსანიშნავია ის რისკები, რომლებზეც ნაშრომი მნიშვნელოვნად მიუთითებს და რომლებიც დაკავშირებულია არალეგალურ მიგრაციასთან და მისი შინაარსიდან გამომდინარე შრომითი მიგრაციის საფრთხეებთან.

საკითხის ანალიზისთვის ნაშრომში გამოყენებული იქნება კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები. საკითხის სპეციფიკა აჩენს იმის აუცილებლობას, რომ მოვიშველიოთ სტატისტიკური მონაცემები და გავანალიზოთ ისინი. გარდა ამისა, ნაშრომი დაეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებსაც, მათ შორის, პირველადი, მეორეული და მესამეული წყაროების ანალიზს, ექსპერტთა პუბლიკაციებსა და მკვლევართა სტატიებს. ზემოხსენებულ კვლევის ტექნიკათა ერთობლიობა მოგვცემს საშუალებას, პასუხი გავცეთ დასაწყისშივე დასმულ საკვლევ შეკითხვას.

საკვანძო სიტყვები: ევროკავშირი, მიგრაცია, შრომითი მიგრაცია, შრომითი ბაზარი.

## **Abstract**

Today, in the context of globalization, the international migration of the population has become one of the important factors of world development. It makes the international labor market flexible and brings relatively backward countries closer to industrialized countries. International labor migration is playing an increasing role in international migration flows. In the modern period, the economic progress of individual countries is becoming more and more dependent on the current migration trends in the world. International migration of the population, including interstate migration of labor, is an important component of the ongoing globalization in the modern world. The interdependence of population migration and global economic globalization has so many multinational manifestations that it deserves to be considered as a separate topic.

The research question is formulated as follows: "Under what influence does the EU labor market become a point of attraction for developing countries and what are the consequences of this process?"

The paper discusses various aspects of EU migration policy, highlights countries that are particularly attracted to the EU labor market, and highlights the real importance of labor migration in the EU on the world labor market. In addition, the study will identify key factors that play an important role in the process of attracting migrants. Also noteworthy are the risks that the paper significantly points to and which are related to illegal migration and the risks of labor migration due to its content.

Qualitative and quantitative research methods will be used in the paper for issue analysis. The specificity of the topic highlights the need to use statistical data and analyze it. In addition, the paper will rely on qualitative research methods, including analysis of primary, secondary, and tertiary sources, expert publications, and scholarly articles. The combination of the above research techniques will allow us to answer the research question asked at the very beginning.

Keywords: EU, migration, labor migration, labor market

## დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები

მარიამ შენგელია,

ნინო ფრუიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

დისტანციური სწავლება გახლავთ სწავლების ფორმა, რომელიც შექმნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის ან სტუდენტთა ჯგუფისთვის, რომლებიც ტრადიციულ აუდიტორიაში ან კაბინეტში ფიზიკურად არ იმყოფებიან. ეს არის პროცესი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის სასწავლო პროცესს, როდესაც ინფორმაციის წყარო და მიმღები ერთმანეთისგან დროით, სივრცით ან ორივე შემთხვევაში დაშორებულნი არიან.

Covid-19-ის გავრცელების შემდეგ სოციალური დისტანცირების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობამ ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უმეტესობამ, გადაწყვიტა საგანმანათლებლო დაწესებულებებში შემოეღო დისტანციური სწავლება.

სწავლების ჩვეული აუდიტორიული ფორმიდან დისტანციური ფორმის სწავლებაზე უეცარმა და სწრაფმა გადასვლამ დიდი გავლენა მოახდინა სტუდენტების დამოკიდებულებაზე სწავლების პროცესის მიმართ.

ვფიქრობთ, რომ საკამათო არ უნდა იყოს საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენს სამყაროში არაფერია იდეალური, უნაკლო, სრულყოფილი. ნებისმიერ ადამიანში, ნებისმიერ მოვლენაში დადებითის გვერდით მეტ-ნაკლებად ყოველთვის გვხვდება უარყოფითიც. ძლიერი მხარეების გვერდით ვაფიქსირებთ სუსტ მხარეებსაც, რომელთა დაძლევით ჩვენი დაკვირვების ობიექტი უფრო მეტ მიმზიდველობას და მომხიბვლელობას იძენს.

გამონაკლისს ამ მხრივ არ წარმოადგენს არც დისტანციური სწავლება, რომლის ამა თუ იმ ფორმით გამოყენება ჩვენს განათლების სისტემაში დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს სტუდენტების დამოკიდებულების მახასიათებლების გამოვლენა დისტანციურ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით.

კვლევის ფორმად გამოვიყენეთ ჩვენს მიერ სპეციალურად შედგენილი კითხვარი. გამოკითხვა ჩატარდა Google forms ფორმატში.

მიღებულ იქნა საყურადღებო შედეგები, რომელიც ავლენენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ წარმართული დისტანციური სწავლების პროცესის როგორც ძლიერ მხარეებს, ასევე იმ



პრობლემურ მხარეებს რომლებიც, ვფიქრობთ გასათვალისწინებელი იქნება მომავალი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური, Covid-19, დისტანციურის სწავლების დადებითი მხარეები, დისტანციური სწავლების უარყოფითი მხარეები, ინტერნეტი.

## **Abstract**

Distance learning is a form of teaching designed for high school students or groups of students who are not physically present in a traditional auditorium or classroom. It is the process that makes the learning process accessible when the source of information and the recipient are distant from each other in time, space, or both.

Following the spread of Covid-19, the Georgian government, like most countries around the world, has decided to introduce distance learning in educational institutions.

The sudden and rapid transition from the usual form of teaching to distance learning has had a major impact on students' attitudes towards the teaching process.

We think that there should be no controversy over the fact that nothing in our world is ideal, flawless, perfect. In any person, in any event, besides the positive, we more or less always find the negative. Along with the strengths, we also point out the weaknesses, overcoming which our object of observation becomes more attractive and charming.

Distance learning is no exception, the use of which in one way or another has become vital in our education system today.

The aim of our research is to identify the characteristics of students' attitudes towards the distance learning process.

We used a questionnaire specially compiled by us as a form of research. The survey was conducted in Google forms format.

Remarkable results have been obtained, which reveal the strengths of the pagan distance learning process led by the university administration, as well as the problematic aspects that we think will be taken into account when planning the future learning process .

Keywords: Distant, Covid-19, Pros of distance learning, Disadvantages of distance learning, Internet.

## მაღალკურსელთა დამოკიდებულება დისტანციური სწავლებისადმი

თამარ ლილუაშვილი,

მარიამ მეტივიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ბოლო წლების განმავლობაში ძალიან გავრცელდა დისტანციური სწავლება. როგორც მოგეხსენებათ პანდემიური ვითარების გამო მთელს მსოფლიოში ლოქდაუნი და მკაცრი შეზღუდვები დაწესდა, სწორედ ამ ვითარებამ შეცვალა, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მთელი მსოფლიოს სწავლების მოდელი. ნებისმიერი ცვლილება თითოეულ ადამიანში აღძრავს რაღაც დამოკიდებულებას, ასევეა დისტანციური სწავლება ნებისმიერი სტუდენტისთვის, რადგან რადიკალურად იცვლება მათი ცხოვრების რიტმი, ყოველდღიურობა და სწავლების მოდელიც.

დისტანციური სწავლება გულისხმობს კომპიუტერული თუ ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით განათლების მიღებას, ისეთ რეჟიმში როცა პედაგოგი და მოსწავლე ერთმანეთისგან მოშორებით არიან. რაღატქმუნდა დისტანციურ სწავლებას აქვს ბევრი მინუსი თუ პლიუსი. მის სუსტ მხარეებში შეგვიძლია განვიხილოთ სწავლის ხარისხის გაუარესება, ნაკლები სოციალიზაცია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორცაა მაგალითად მხედველობის გაუარესება. რაც შეეხება მის დადებით მხარეებს დისტანციური სწავლებისას ხდება დიდი რაოდენობით დროისა თუ ხარჯების ეკონომია, სწავლა შესაძლებელია ნებისმიერ მოსახერხებელ გარემოში, ატვირთული მასალის გადახედვა ნებისმიერ დროსაა ხელმისაწვდომი.

უკანასკნელი წლების განმავლობაში უამრავი კვლევა ჩატარდა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ შედეგები არაერთგვაროვანია და ბევრ დეტალთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ გადაწყვეტეთ ამ თემის კვლევა მეტად უფრო გამოცდილ რესპოდენტებთან, მაღალკურსელებთან, რომლებსაც შეხება ჰქონდათ სწავლის როგორც აუდიტორიულ, ასევე დისტანციურ მოდელთან.

საკვანძო სიტყვები: დამოკიდებულება ,დისტანციური სწავლება, მაღალკურსელები.

### Abstract

During the last few years the e-learning has widespread a lot. As long as we all know due to the global pandemic, a lockdown and some restrictions had been lifted. That was the reason why the learning format has changed not only in our country but all over the world. In every living person some kind of attitude can be formed during any kind of changes. The reason of this attitude might be the e-

learning topic for any student because it completely changed their lifestyle, every day life and learning format.

The e-learning or distance learning is a method of studying in which lectures are broadcast or lessons are conducted by correspondence, without the student needing to attend a school or college. The teacher and the students are physically separated. Obviously, the online classes have a lot pros and cons. The first disadvantage may be the lack of socialization, health problems like eyesight, the quality of a general education may be worse. On the other hand there are quite huge advantages as well. First of all, e-learning costs less, it is time saving, online classes are more convenient and flexible, you can attend them in any situation and from any environment, learning resources are available at any moment.

During the last few years so many researchers have been done about that topic. According to them we can conclude that the results are heterogeneous and are related to a lot details. That is why we decided to research this topic among some students who have experienced as online as offline classes at their universities.

Keywords: Attitude, e-learning/distance learning, senior year university students.

## ქართული სტუდენტების ცხოვრების წესის ცვლილება Covid-19 პანდემიის პირობებში

ნინო ნაყოფია,

მარიამ სოხაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

2019 წლიდან მსოფლიო დღის წესრიგმა მნიშვნელოვანი ფორმაცია განიცადა Covid-19 ვირუსის პანდემიურობის გამო. ეს უკანასკნელი- გამოწვეული SARS-CoV-2-ით ახლაც მიმდინარეობს და პირველად 2019 წელს ჩინეთის ქალაქ უჰანში დაფიქსირდა. საქართველოში ვირუსის პირველი შემთხვევა 2020 წლის 27 თებერვალს დაფიქსირდა (Moh.gov.ge, 2018), ხოლო პირველი ლოქდაუნი 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა (Gov.ge, 2014). პანდემიის გავლენა ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე, ანუ ადამიანთა არსებობის ზოგად წესზე გავრცელდა. ამ თვალსაზრისით, არც ქართველი სტუდენტები ყოფილან და არიან გამონაკლისები, რადგან მათ უმეტეს ნაწილს- გამოკლებით ზოგიერთი კერძო უნივერსიტეტისა - 2019 წლიდან 2022 წლამდე არ მიეცათ შესაძლებლობა უნივერსიტეტში ფიზიკურად სწავლისა. სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობისთვის სწავლების პრაქტიკა არ შეცვლილა 2 წლის განმავლობაში და ამ პერიოდში განაგრძობდნენ ქსელური

საზოგადოებისთვის ნიშანდობლივ დიგიტალურ ცხოვრებას. რაც გამოიხატება სწავლის პროცესში ისეთი ტექნიკური რესურსების გამოყენებაში, როგორებიცაა ლეპტოპები, მობილური ტელეფონები, პლანშეტები და მსგავსი მოწყობილობები. ცხადია, სტუდენტები აქამდე იყვნენ ქსელურ ცხოვრებასთან ადაპტირებულნი და მისთვის დამახასიათებელი აქტივობების განმხორციელებლებიც, მაგრამ Covid-19 პანდემიამ ერთიორად - თუ მეტად არა - გაზარდა ცხოვრების დიგიტალიზაციის ხარისხი.

ყოველივე ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ისეთი პრობლემები, როგორებიცაა თვალის სიმშრალე, კისრისა და თავის ტკივილები, ძილის რეჟიმის დარღვევა, ემოციური არასტაბილურობა, მარტივად გაღიზიანებადობა, დეპრესია და სხვა.

სტუდენტებს ასევე შეეხოთ პანდემიისგან გამოწვეული ისეთი პრობლემები, როგორებიცაა სოციალური და ფიზიკური დისტანცირება და, მამასადამე, კომუნიკაციის ფუნდამენტური ცვლილება როგორც პირველად (მეგობრები, ოჯახის წევრები, ნათესავები), ასევე მეორეულ ჯგუფებთან (აქ: აკადემიური პერსონალი და სხვა).

მოცემულ ნაშრომში გამოვლენილია ძირითადი მიგნებები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებებში ჩარიცხული სტუდენტების ცხოვრების წესის ცვლილებების შესახებ. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებმა სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, ფაკულტეტიდან და სწავლების საფეხურებიდან. რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, კვლევის საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მონაცემების მოპოვებისთვის მიზნით ჩატარდა 3 ფოკუსჯგუფი 8-8 მონაწილით. ფოკუსჯგუფის მეთოდი ბენეფიტური იყო სტუდენტებისთვის, რადგან მათ კომუნიკაციისას ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და რჩევები, პანდემიისგან გამოწვეული სირთულეების შესამსუბუქებლად.

მოცემული კვლევის ფარგლებში ჩატარდა 3 ფოკუსჯგუფი 8-8 მონაწილით, რომლებიც შერჩევის თავისებურებიდან გამომდინარე წარმოდგენილნი იქნებიან სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

საკვანძო სიტყვები: Covid-19 პანდემია, ცხოვრების წესი, სოციალური ურთიერთობები, სწავლის თვითმენეჯმენტი, ფიზიკური აქტივობები, ემოციური დატვირთვა.

## Abstract

Since 2019, the world agenda has significantly changed due to the pandemic of the Covid-19 virus; that one is caused by SARS-CoV-2 and was first reported in 2019 in the Chinese city- of Wuhan. In Georgia, the first case of the Covid-19 was recorded on February 27, 2020 (Moh.gov.ge, 2018), And the first lockdown was announced on March 21, 2020 (Gov. ge, 2014). The pandemic affected almost every aspect of everyday life; it diffused the general rule of human existence. In this respect, students from Georgia haven't been an exception because most of them – except students of some private universities – hadn't had an opportunity to study physically at the university. For the majority of students, the teaching practice has not changed for two years, and during this period, they have continued to live a typical life of network society and digitality. Digitality has appeared in the use of technical resources

in the learning process, such as laptops, mobile phones, tablets, and other similar devices. Clearly, students have been able to adapt to digital life and were using it in everyday life, but the Covid-19 pandemic has twice - if not more - increased the quality of digitalization of life.

All of this led to severe problems such as dry eyes, neck and headaches, disturbances of sleep schedule, emotional instability, easy irritability, depression, and more.

Additionally, students have affected social and physical distancing issues and, therefore, fundamental change in communication with first and second groups.

In this report, the main findings are about the changes in the lifestyle of students who enrolled in Georgian higher education institutions during pandemic.

In this research, Students were involved from different universities, faculties, and courses. As for the research methodology, depending on the research specifics and in need for the data research, three focus groups with 8 participants in each of them took place. The method was beneficial for students because, during the communication, they shared their experiences and advice for minimizing hardships caused by the pandemic.

Keywords: Covid-19 pandemic, lifestyle, social relationships, learning self-management, physical activity, emotionality.

## პოსტ-კოვიდური სინდრომით გამოწვეული კოგნიტური დისფუნქციები

ნინო ბუზარიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

საქართველოსა და ზოგადად მსოფლიოსთვის პოსტ-კოვიდით გამოწვეული კოგნიტური დისფუნქციები ერთგვარ გამოცდად იქცა, რომელმაც განსაკუთრებული მასშტაბი შეიძინა და სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი.

იმის გათვალისწინებით, რომ პოსტ-კოვიდის სინდრომმა დიდი გავლენა იქონია თითქმის ყველა კოგნიტური თუ სენსორული არხის ფუნქციებზე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, მათ შორის ფსიქოლოგები, ნევროლოგები და ჯანდაცვის წარმომადგენლები მრავლად აქვეყნებენ საყურადღებო შეფასებებსა თუ განმარტებებს იმ ცვლილებების შესახებ, რომელიც თან ახლავს გახანგრძლივებულ კოვიდს.

ნაშრომში საუბარია ყველაზე გავრცელებულ პოსტ-კოვიდურ სიმტომებზე, როგორცაა ყნოსვის, გემოს, მხედველობის დაქვეითება და მეხსიერების მოშლა, რომელიც თავის მხივ

„ტვინის ნისლის“ გამომწვევია. აღნიშნული სიმპტომები შესაძლოა კომპლექსურად იქნას გამოვლენილი „ხანგრძლივ მგზავრებში“ ან ცალ-ცალკე იჩინოს თავი.

ყურადღება გამახვილებულია ყნოსვის სხვადასხვა სახის დარღვევებზე (ანოსმია, პაროსმია, ჰიპოსმია), კოგნიციის პროცესებსა და ნეიროკოგნიტურ მიდგომებზე, რომელიც ხსნის სუნისა და მეხსიერების დაკარგვის ან/და გაუარესების მიზეზებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ACE2 რეცეპტორების როლი SARS-CoV-2-ის ინფიცირებისას, რომლის არსებობაც გამოკვლეულ იქნა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის მიერ.

ამის გარდა, თანამედროვე კვლევები ცხადყოფს, რომ მამაკაცებში უფრო დაბალია გემოს დაკარგვის პრევალენტობა, ვიდრე ქალებში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გაზრდილი სენსორული შესაძლებლობებით.

ასევე დადგენილია, დასწავლისა და მეხსიერების საკვანძო როლის შემსრულებელი და ნეირონული კავშირის (სინაფსის) წარმოქმნაში ჩართული გლიური უჯრედების (ასტროციტების) დაზიანება ხანგრძლივი COVID-19-ის დროს.

ამრიგად, წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოვაჩინოთ კოგნიტური დისფუნქციების გავლენა პოსტ-კოვიდ პაციენტებზე, გამოვკვეთოთ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში კოგნიტურ დისფუნქციათა განსხვავებები, ხაზი გავუსვათ მისი წარმოშობის ნეიროკოგნიტურ მიზეზებსა და შედეგებს, სადაც ხშირია სენსორული არხებიდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების სირთულეების არსებობა.

ასევე შემოგთავაზებთ იმ ძირითად რეკომენდაციებს, რომლებიც „ხანგრძლივ მგზავრებში“ უზრუნველყოფენ კოგნიტურ დისფუნქციებთან ერთად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

საკვანძო სიტყვები: COVID-19, ანოსმია, ყნოსვის დაკარგვა, გემო, მეხსიერება, პრევალენტობა.

## Abstract

For Georgia and the world in general caused by Post-COVID cognitive dysfunctions have become a kind of test, which has got a special scale and finally changed the daily rhythm of our life.

Given that Post-COVID Syndrome has had a major impact on the functions of almost all cognitive or sensory channels, specialists in various fields including psychologists, neurologists, and health professionals publish numerous evaluations or explanations of the changes that accompany long-term COVID-19.

It is said that, the most common Post-COVID symptoms such as smell, taste, memory loss, and impaired vision which in turn cause “brain fog”. These symptoms may be complex in “long passengers” or may manifest themselves separately.

The focus is on different types of smell disorders (anosmia, parosmia, hyposmia), On cognition processes, and neuro-cognitive approaches, that explain the causes of odor and memory loss or deterioration.

The role of ACE2 receptors in SARS-CoV-2 infection is particularly important, the presence of which has been investigated by the John Hopkins University School of Medicine.

In addition, contemporary studies reveal that men have a lower chance of losing their taste than women, which can be caused by increased sensory capacity.

Damage to glial cells (astrocytes), plays a key role in learning and memory and is involved in the production of neural connection synapses during long-term COVID-19.

The aim of this article is to present the impact of cognitive dysfunction on Post-COVID patients, identify differences in cognitive dysfunction in different age groups-to highlight the neuro-cognitive causes and consequences of its origin, where there are often difficulties in processing information received from sensory channels.

We will also offer you the main recommendations that provide the quality of life with the cognitive dysfunctions in “long passengers”.

Keywords: COVID-19, anosmia, smell loss, taste, memory, prevalence.

## პოლიციის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება საქართველოს მაგალითზე

ელენე ნამორაძე,

თათია გურგენიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

1991 წლიდან 2003 წლამდე საქართველოში არ იყო შექმნილი მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემო, მომატებული იყო დანაშაულის რიცხვი და ნაკლებად ხდებოდა სამართლებრივი რეაგირება. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო პოლიციის რეფორმა. დაინერგა თანამედროვე ტექნოლოგიები, გადამზადდა კადრები და გააქტიურდა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. ქვეყანაში გაბატონებული იყო კანონის უპატივცემულობა და ხელისუფლებას სჭირდებოდა მკაცრი ზომების მიღება წესრიგის აღსადგენად. თუმცა, ასეთმა მკაცრმა პოლიტიკამ მოიტანა ნეგატიური შედეგებიც, რადგან პოლიციელი აღიქმებოდა საშიში ობიექტად, როდესაც საჭიროა, რომ მას საზოგადოება ხედავდეს, როგორც მაშველ

რგოლს გარკვეული პრობლემის წინაშე. ამავდროულად, საკმაოდ ნეგატიურად იმოქმედა მოსახლეობაზე იმ ფაქტმა, რომ პოლიციამ მრავალჯერ გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და უხეშად დაირღვა ადამიანთა უფლებები. 2012 წელს კვლავ შეიცვალა ხელისუფლება და დაიწყო რეფორმების ახალი ტალღა. ეს სტრუქტურა აღიჭურვა კიდევ უფრო თანამედროვე ტექნოლოგიებით და განხორციელდა საკადრო ცვლილებები. თუმცა, ამ პერიოდშიც გამოიკვეთა პოლიციის მხრიდან დანაშაულზე არასათანადო რეაგირების ფაქტები.

საქართველოში, საზოგადოების ნაწილი თავს არიდებს პოლიციასთან თანამშრომლობას. მნიშვნელოვანია ბიუროკრატის საკითხი, რადგან ადამიანებს არ სურთ იმ პროცედურების გავლა, რაც მათ მოუწევთ პოლიციაში დარეკვის შემდგომ. ასევე, მნიშვნელოვანია კულტურული ფაქტორები, რადგან დამკვიდრებულია მანკიერი შეხედულება, რომ პოლიციაში დარეკვა არის „დასმენა“. ადამიანებს არ სურთ, რომ გახდნენ სტერეოტიპების მსხვერპლნი, ამიტომ, გარკვეულწილად, იჩენენ გულგრილ დამოკიდებულებას. ასევე, რადგან პოლიცია არ აღიქმება, როგორც დამხმარე რგოლი, თვლიან, რომ პრობლემებს თავად გაუმკლავდებიან. ჩვენი კვლევის მიზანია, სწორედ, პოლიციის მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა, რაც ნამდვილად აქტუალური საკითხია. ანალიზის მეთოდად შეირჩა რაოდენობრივ მონაცემთა მეორადი ანალიზი. აღნიშნული მეთოდი არის ყველაზე ოპტიმალური, რადგან საშუალებას გვაძლევს, რომ გავანალიზოთ სხვადასხვა წლებში არსებული ვითარება პოლიციის მიმართ დამოკიდებულების კუთხით სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. მონაცემთა ინტერპრეტაციისთვის მნიშვნელოვანი იქნება ისეთი ინფორმაციის გამოყენება, როგორებიცაა მიმართვიანობა ოჯახში ძალადობისას, სოციო-კულტურული ასპექტები და წარსული გამოცდილების ანალიზი. დადგინდა, რომ პირადი პრობლემების დროს ქალბატონები უფრო ხშირად რეკავენ პოლიციაში, რადგან კულტურული ფაქტორების მიხედვით, ქალი მეტად ითხოვს დახმარებას, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში რთული სიტუაციებიდან დამოუკიდებლად გამოსვლა ერთგვარი სიმამაცის გამოხატულებაა. აღსანიშნავია სქესის ფაქტორი, რადგან კრიტიკულ სიტუაციაში შესაძლოა, რომ უფრო მეტად მამაკაცი იღებდეს თავის თავზე პასუხისმგებლობას, რომ გამოიძახოს პოლიცია, ვიდრე ქალბატონი, რაც ასევე კულტურულ-სოციალური ასპექტებით აიხსნება.

საკვანძო სიტყვები: პოლიციისადმი მიმართვიანობის სტატისტიკა, ქართული საზოგადოება, სტერეოტიპები, ბიუროკრატია.

## Abstract

From 1991 to 2003, Georgia did not have a safe environment for the population, the number of crimes were increased and there was less legal response. Police reform began after the 2003 Rose Revolution. Modern technologies were introduced, staff was trained and the fight against crime has been intensified ever since. Disrespect for the law prevailed in the country and the government was forced to take strict measures to restore order. However, such strict policy also had negative consequences. The police officer was perceived as a dangerous object when it was necessary for the public to see him as a lifeline to a certain problem. At the same time, the fact that the police had repeatedly exceeded their authority



and grossly violated human rights has had a rather negative impact on the population. In 2012, the government changed again and a new wave of reforms began. This structure was equipped with even more modern technologies and personnel changes took place. However, even during this period, there still were some cases of inappropriate response from the police to the crime.

In Georgia, part of the public avoids cooperating with the police. The issue of bureaucracy is very important. People avoid calling to the police because of the procedures they will have to go through. Cultural factors are also important, as there is this vicious view that calling the police is "informer." People do not want to fall victim to stereotypes, so they show a somewhat indifferent attitude. Also, since the police is not perceived as an auxiliary link, they believe they will deal with their problems themselves. The goal of our research is to study the attitude of the Georgian society towards the police, which definitely is a current issue. Secondary analysis of quantitative data was selected as the analysis method. This method is the most optimal because it allows us to analyse the situation in different years in terms of attitude towards the police based on the statistical data. It will be important for the interpretation of the data to use information such as referrals in cases of domestic violence, socio-cultural aspects and analysis of past experiences. It has been found that women are more likely to call the police in case of personal problems, because according to the cultural factors, women are more likely to ask for help, and in case of men, coming out of difficult situations independently is an expression of a kind of courage. The gender factor is noteworthy because in a critical situation men are more likely to take the responsibility of calling the police than women, which is also explained by the cultural-social factors.

Keywords: Statistic of the police referrals, Georgian Society, Stereotypes, Bureaucracy.

## ემოციური სიტყვების ზეგავლენა რიგში ადგილმდებარეობის ეფექტზე

ანა ბარამიძე,

ნინო ბოკუჩავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

მოცემული ექსპერიმენტის მიზანია, გავიგოთ შესაძლოა თუ არა ემოციური ტონალობის სიტყვებმა აღმოფხვრას რიგში ადგილმდებარეობის ეფექტი. ექსპერიმენტში მონაწილეობას იღებდა 19-დან 25 წლამდე 30 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, სხვადასხვა ფაკულტეტიდან. ექსპერიმენტის პირველ სერიაში კვლევის მონაწილეებს Microsoft Powerpoint-ის მეშვეობით წარედგინებოდათ 15 სიტყვა ერთმანეთის თანმიმდევრობით, თითოეული მათგანი 5 წამის განმავლობაში. პირველ სერიაში თხუთმეტივე სიტყვა იყო

ნეიტრალური ხასიათის. ექსპერიმენტის მეორე სერიაში, რომელიც 2 დღის შუალედით ჩატარდა, კვლევის მონაწილეებს წარედგინებოდათ ისევ 15 სიტყვა ანალოგიური პირობით. თუმცა, ამ შემთხვევაში მწკრივის შუაში არსებული 5 სიტყვა იყო ემოციური ტონალობის. მოცემული ექსპერიმენტის შედეგად ჰიპოთეზა, ადამიანებს მწკრივის შუა ნაწილში არსებული ემოციური სიტყვები უკეთ ამახსოვრდებათ, ვიდრე ნეიტრალური სიტყვები, დადასტურდა. შესაბამისად, ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა, რომ ემოციური ტონალობის სიტყვებს აქვთ გავლენა რიგში ადგილმდებარეობის ეფექტზე.

საკვანძო სიტყვები: ემოციური სიტყვები, ნეიტრალური სიტყვები, რიგში ადგილმდებარეობის ეფექტი.

### **Abstract**

The purpose of this experiment is to find out if the words of the emotional tone can eliminate the effect of Serial Position. The experiment involved 30 females aged 19 to 25 years from different faculties. In the first series of experiments, study participants were introduced to Microsoft Powerpoint in a sequence of 15 words, each lasting 5 seconds. In the first series, all fifteen words were neutral. In the second series of the experiment, which was conducted at intervals of 2 days, the study participants were again presented with 15 words with a similar condition. However, in this case, the 5 words in the middle of the line were of emotional tonality. As a result of the given experiment, the hypothesis that people will remember the emotional words in the middle of the line better than the neutral words has been proven. Consequently, the experiment revealed that words of emotional tone affect the effect of Serial Position.

Keywords: Emotional words, Neutral words, Serial Position Effect.

## **კომპლექსების გავლენა პიროვნების ქცევაზე**

**მარიამ ჯანჯღავა,**

**ეთო თანდილაშვილი**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

### **აბსტრაქტი**

კვლევის მიზანია დავადგინოთ თუ რა ზეგავლენას ახდენს კომპლექსები პიროვნების ქცევაზე. დღესდღეობით კომპლექსები საკმაოდ აქტუალური და პრობლემური თემაა სოციუმისთვის. იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ნახევრად ან სრულად გაუცნობიერებელი მოგონება, ისეთი ცხოვრებისეული მომენტისა, რომელმაც ძლიერი ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა

ადამიანზე. ის შეიძლება იყოს საკუთარი თავით, გარეგნობით ან ცხოვრებით უკმაყოფილების ანარეკლი. კომპლექსი შეიძლება

გამოვლინდეს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალური ხასიათის პრობლემებიდან. გავრცელებულია მოსაზრება, რომ კომპლექსები წარმოადგენენ უსარგებლო ფენომენებს, რომლის უგულებელყოფის შემდეგაც ყველაფერი კარგად იქნება, მაგრამ მეორე მხრივ კომპლექსი ფსიქიკური აქტივობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. კვლევაში გამოიკვეთა, რომ კომპლექსები ადამიანის ქცევის მაპროვოცირებელი მიზეზია და საზოგადოების უმრავლესობას აწუხებს ერთი ან რამდენიმე კომპლექსი, რომლებიც ქცევაზე უარყოფით ან დადებით გავლენას ახდენენ.

ნაშრომში წარმოდგენილი აქტუალური კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ კვლევის შემდეგი მეთოდები:

1. კონტენტ-ანალიზი - მოძიებული მასალების, ინფორმაციების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ემოციასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა კომპლექსია, ზოგი მამოძრავებელი, ზოგი კი დამამუხრუჭებელი. ხოლო უკომპლექსობა ფსიქიკური აქტივობის არარსებობაა.
2. ასოციაციური ესპერიმენტი- ექსპერიმენტში გამოიკვეთა ,რომ ადამიანები უფრო მძაფრად რეაგირებენ სიტყვებზე, რომლებიც მათ კომპლექსებს უშუალოდ უკავშირებენ.
3. თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევები

ა) ანკეტური გამოკითხვა\_კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 100-მა სოციალური ქსელის მომხმარებელმა.

ბ) შევარჩიეთ 3 ფოკუს ჯგუფი, ესენია: 1. ბაკალავრიატის სტუდენტები; 2. ბავშვები ; 3. ხანდაზმულები

(გამოკითხვა ჩატარდა Google Drive-ის საშუალებით).

აღნიშნული კვლევიდან გამოიკვეთა, რომ კომპლექსები გავლენას ახდენენ ადამიანის ქცევაზე, რომლის მიხედვითაც ვასკვნიტ შემდეგ დებულებებს:

1. კომპლექსები ადამიანს აიძულებს შეცვალონ თავიანთი ქცევა ისე, რომ შეამცირონ ამ კომპლექსით გამოწვეული დისკომფორტი.
2. ანკეტური გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ადამიანების ძირითადი კომპლექსები ბავშვობის ტრამებიდან გამომდინარეობს.
3. ექსპერიმენტმა კი გვიჩვენა რომ ადამიანის კომპლექსები განაპირობებს მათ რეაქციებს და ქცევას, აქედან გამომდინარე კი შესაძლოა კონპლექსების წყაროს დადგენა.
4. საზოგადოების იმ ნაწილს რომლებსაც ფიზიკური ნაკლოვანება აქვს ხშირ შემთხვევაში ხდებიან უფრო კომპლექსურები ვიდრე ის ადამიანები ვისაც არ აქვს არანაირი ფიზიკური ნაკლოვანება.

საკვანძო სიტყვები: კომპლექსები, ქცევა, 16 ასოციაციის მეთოდი, ოიდიპოს კომპლექსი, ფსიქიკური აქტივობა.

## მომალადისა და მსხვერპლის პიროვნული მახასიათებლები

ნინო ირემაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ჩვენს თანამედროვეობაში აღარავის უკვირს არათუ მოზრდილთა, არამედ მოზარდთა და ბავშვთა მომატებული აგრესიულობა და ამ ფონზე სხვადასხვა სახის აგრესიული ქცევის მოვლენა. ეს, სამწუხაროდ, ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი მანკიერებაა.

აგრესიული ქცევა იგივე ძალადობრივი ქცევაა, რომელშიც არის მომალადე და აგრესიის მსხვერპლი.

თანამედროვე პირობებში ძალადობის მსხვერპლის პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უკავია. ვიქტიმოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს დანაშაულის მსხვერპლის პიროვნების, მისი ჩამოყალიბების ფაქტორების, დამნაშავესთან ურთიერთკავშირის შესწავლა, ასევე კანონსაწინააღმდეგო ქცევის მექანიზმში მათი როლის შესწავლა და ვიქტიმოლოგიის პროფილაქტიკური რეკომენდაციების შემუშავება.

ვიქტიმური პიროვნების სტრუქტურული ორგანიზაციის კვლევით ჩვენ ვაღწევთ ვიქტიმური ქცევის დეტერმინანტებამდე, რაც ხელს უწყობს ლატენტური ვიქტიმურობის გავლენას და დანაშაულის ჩადენის პრევენციას.

მოცემული პრობლემა რთული და არაერთგვაროვანია და დაკავშირებულია პიროვნების აქტიურობის პრობლემებთან, მისი ადაპტაციის უნართან და თვითრეგულირებასთან. თუ გავითვალისწინებთ საზოგადოების ჰუმანიზაციის თანამედროვე ტენდენციებს, მაშინ პიროვნება - ეს არის აქტიური მოღვაწე რომელიც გავლენას ახდენს თავის განვითარებაზე.

ამ პრობლემის მიმართ ჩვენი ყურადღება აიხსნება მისი არამარტო პრაქტიკული აქტუალობით, არამედ სოციალური კვლევების სიმცირით, რომლებშიც ასახულია ვიქტიმური პიროვნების თავისებურებები. ვიქტიმიზაციის პროცესის შესწავლის აუცილებლობა აიხსნება თანამედროვე საზოგადოებაში მისი ფართო გავრცელებით და მისი მსხვერპლებისთვის დამდგარი მრავალრიცხოვანი უარყოფითი შედეგებით.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოვავლინოთ მომალადისა და მსხვერპლის პიროვნული მახასიათებლები.

კვლევაში გამოყენებულია ორი ტესტი, რომელსაც გამოვიყენებთ შედარებითი ანალიზისთვის.

პირველი ტესტი, ახალგაზრდებში აგრესიული ქცევის გამოვლენის ფორმის შეფასებისთვისაა მოწოდებული. ის მოიცავს ბას-დარკის კითხვარს, რომელიც მიმართულია გამოავლინოს აგრესიული ქცევის ფორმები: ფიზიკური აგრესია, ირიბი აგრესია, გაღიზიანება, ნეგატივიზმი, წყენა, ეჭვიანობა, ვერბალური აგრესია, დანაშაულის განცდა.

მეორე ტესტი კი გახლავთ მრავალფაქტორიანი ვიქტიმიზაციის სკალა, რომლის მიზანია დაადგინოს განსხვავებულ სქესში ვიქტიმიზაციის სიხშირე, ხოლო ამოცანებს წარმოადგენს, გამოავლინოს ვიქტიმიზაციის 4 ტიპის დინამიკა:

- ✓ ფიზიკური ვიქტიმიზაცია
- ✓ ვერბალური ვიქტიმიზაცია
- ✓ სოციალური მანიპულაცია
- ✓ საკუთრების ხელყოფა

გამოკითხვა ჩატარდა 20-25 წლის რესპოდენტზე.

მიღებული შედეგები დამუშავებულია SPSS საფუძველზე. გამოვლინდა საყურადღებო მონაცემები.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური აგრესია, ირიბი აგრესია, გაღიზიანება, ნეგატივიზმი, წყენა, ეჭვიანობა, ვერბალური აგრესია, დანაშაულის განცდა, ფიზიკური ვიქტიმიზაცია, ვერბალური ვიქტიმიზაცია, სოციალური მანიპულაცია, საკუთრების ხელყოფა.

## Abstract

In our time no one is surprised not only by the increased aggression of not only adults but also by adults and children and the occurrence of various types of aggressive behavior against this background. This, unfortunately, is one of the vices of our century.

Aggressive behavior is the same violent behavior in which there is a perpetrator and a victim of aggression.

In modern conditions, the problem of victims of violence has a special place. The subject of Victomology research is the study of the identity of the victim of the crime, the factors of its formation, the relationship with the perpetrator, as well as their role in the mechanism of illegal behavior and the development of preventive recommendations by a victimologist.

By researching the structural organization of a victimized person, we arrive at determinants of victim behavior that contribute to the impact of latent victimhood and prevent crime.

The given problem is complex and heterogeneous and is related to the problems of a person's activity, his ability to adapt and self-regulation. If we consider the modern trends in the humanization of society, then the individual - is an active figure who influences his development.

Our attention to this problem is explained not only by its practical urgency, but also by the lack of social studies that reflect the characteristics of the victim. The need to study the process of victimization is explained by its widespread use in modern society and the numerous negative consequences for its victims.

The aim of our research is to identify the personal characteristics of the abuser and the victim.

The study uses two tests that we will use for comparative analysis.

The first test is provided to assess the form of aggressive behavior in young people. It includes a Bass-Dark questionnaire aimed at revealing forms of aggressive behavior: physical aggression, indirect aggression, irritability, negativity, resentment, jealousy, verbal aggression, guilt.

The second test is a multifactorial victimization scale, which aims to determine the frequency of victimization in different sexes, and the tasks are to identify the dynamics of 4 types of victimization:

- ✓ Physical victimization
- ✓ Verbal victimization
- ✓ Social manipulation
- ✓ Property encroachment

The survey was conducted on 20-25 year old respondents.

The obtained results are processed based on SPSS. Attention data were revealed.

Keywords: physical aggression, indirect aggression, irritability, negativity, resentment, jealousy, verbal aggression, guilt, physical victimization, verbal victimization, social manipulation, property encroachment.

## აღზრდის სტილსა და თვითშეფასებას შორის კავშირის კვლევა ქართველ სტუდენტებთან

ანი აბაზაძე,

მარიამ რუაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

თვითშეფასება არის ადამიანის წარმოდგენა საკუთარი თავის შესახებ, რომელსაც დიდი გავლენა აქვს პიროვნების ცხოვრებაზე. მას განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, მათ შორის - გენეტიკური და სოციალური. ჩვენ დავინტერესდით, აღზრდის სტილსა და თვითშეფასებას შორის კავშირით.

საკითხის აქტუალობა: სადღეისოდ საზოგადოებაში მწვავედ დგას დაბალი თვითშეფასების პრობლემა. ამის მოგვარება შეგვიძლია მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრით. დასაწყისისთვის კი საჭიროა მათი დადგენა. იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება კავშირი აღზრდის სტილსა და თვითშეფასებას შორის რეკომენდაციების გაცემის საფუძველზე ვიმედოვნებთ სიტუაციის გამოსწორებას.

საკითხის მეცნიერული კვლევისათვის შევიმუშავეთ ჰიპოთეზები:

- ყველაზე მაღალ თვითშეფასებას გამოავლენენ მომთმენი სტილით აღზრდილი ქართველი სტუდენტები;
- ყველაზე დაბალ თვითშეფასებას გამოავლენენ ავტორიტარული სტილით აღზრდილი ქართველი სტუდენტები;
- ყველაზე ადეკვატურ თვითშეფასებას გამოავლენენ ავტორიტეტული სტილით აღზრდილი ქართველი სტუდენტები;
- ავტორიტარული სტილით აღზრდილ სტუდენტებში მამრობითი სქესის წარმომადგენლებს უფრო მაღალი თვითშეფასება ექნებათ, ვიდრე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს;
- ავტორიტეტული და მომთმენი სტილით აღზრდილ სტუდენტების თვითშეფასებებში სქესობრივ კატეგორიაში სხვაობა იქნება მცირე;
- ავტორიტეტულ და მომთმენი სტილით აღზრდილ სტუდენტების თვითშეფასებებში სქესობრივ კატეგორიაში სხვაობა იქნება მცირე;
- ავტორიტარულ და უყურადღებო სტილით აღზრდილ სტუდენტების თვითშეფასებებში სქესობრივ კატეგორიაში სხვაობა იქნება მცირე;

კვლევის მიზანი იყო: თვითშეფასებასა და აღზრდის სტილებს შორის კორელაციის კვლევა ქართველ სტუდენტებში.

კვლევის ამოცანები იყო:

- თვითშეფასებასთან და მშობლის აღზრდილ სტილებთან დაკავშირებით თანამედროვე კვლევათა მოძიება და მათი ანალიზი;
- პრობლემის კვლევა ასაკობრივ და გენდერულ ჭრილში;
- მიღებული შედეგებიდან გამომდინარე რეკომენდაციათა შეთავაზება საკითხით დაინტერესებულ პირთათვის;

კვლევის მეთოდოლოგია: საკითხი ვიკვლიეთ რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით, გენდერულ და ასაკობრივ ჭრილში.

კვლევის მეთოდი: როზენბერგის თვითშეფასების სკალა; ოთხ ბალიანი ლიკერტის სკალა; თვითადმინისტრირებადი აღზრდის სტილის კითხვარი;

კვლევის შედეგები: ჰიპოთეზები გამართლდა.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება:

კვლევამ წარმოაჩინა, კავშირი აღზრდის სტილებსა და თვითშეფასებას შორის, რაც ნიშნავს იმას, რომ საჭიროა საზოგადოების განათლების დონის ამაღლება აღზრდის სტილთან დაკავშირებით, მათთვის კონსულტაციებისა და ტრენინგების შეთავაზება.

საკვანძო სიტყვები: თვითშეფასება; აღზრდის სტილები; ქართველი სტუდენტები;

## Abstract

Introduction: Self-esteem is a person's perception of themselves, that has a major impact on their lives. It is determined by many things, including genetic and social factors. We were interested if there was connection between parenting style and self-esteem.

Issue: Low self esteem is today's societies one of the biggest issue. In order to solve that problem we need to find its roots and then fix it.

hypotheses:

- The highest self-esteem will be shown by Georgian students brought up in a permissive parenting style;
- The lowest self-esteem will be shown by Georgian students brought up in an authoritarian style;
- The most adequate self-esteem will be shown by Georgian students brought up in an authoritative style;
- Male students raised in an authoritarian style will have higher self-esteem, than female students who were raised by same parenting style;
- Students who were raised in authoritarian and Neglectful styles will have almost same self-esteem rate in the gender category;



The aim: Finding correlation between self-assessment and parenting styles in Georgian students in research.

Tasks:

- Search and analyze information about parenting styles and self-esteem;
- Do research in Gender and age categories;
- from result make conclusion and recommendations about this topic;

Method: Rosenberg Self-Assessment Scale; Four-point Likert scale; Self-administering parenting style questions;

Results: The hypotheses were justified.

Practical value of the research:

Research has shown a link between parenting styles and self-esteem, which stated fact, that, there is necessity of raising the level of knowledge in Georgian society about parenting styles.

Keywords: self-esteem; Parenting styles; Georgian student;

## განწყობის ცვლილება სქესობრივ ჭრილში

დეა ბედლოშვილი,

სოფი გახუაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

საკითხის აქტუალობა: დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“ ხსნის ქცევის მიზანშეწონილობას და განწყობის ერთიან ბუნებას. ჩვენთვის საინტერესოდ იკვეთება განწყობის დიფერენციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები, ცნობილია ასაკობრივ, ფილოგენეტურ ჭრილში ჩატარებული კვლევები, თუმცა არა სქესობრივი კუთხით. ამიტომ გადაწყვიტეთ გვეკვლია განწყობის თავისებურებები და განხვავებები სქესობრივ ჭრილშიც.

საკითხის მეცნიერული კვლევისათვის შევიმუშავეთ ჰიპოთეზები:

- საფიქრებელია, რომ უნდა იყოს თავისებურებები სქესობრივ ჭრილში ფსიქოფიზიოლოგიურ და სოციალურ განსხვავებებთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანი: ფიქსირებული განწყობის კვლევა სქესობრივ კატეგორიებში და განსხვავებების ფიქსაცია. ასევე, განწყობის სხვადასხვა განზომილების: დინამიკურ-

სტატიკურობის, პლასტიკურობა-სიტლანქის, სტაბილობა-ლაბილობის, დადგენა სქესობრივ ჭრილში.

კვლევის ამოცანები იყო:

- განწყობის თეორიასთან დაკავშირებით ინფორმაციისა და თანამედროვე კვლევათა მოძიება და მათი ანალიზი;
- კვლევის ჩატარება განსახვავებული სქესის წარმამადგენლებზე;
- მიღებული შედეგებიდან გამომდინარე დასკვნების გაკეთება;

კვლევის მეთოდოლოგია: თვისებრივი მეთოდოლოგია.

კვლევის მეთოდი: კლასიკური ფიქსირებული განწყობის მეთოდი.

კვლევის შედეგები: მიღებულია საყურადღებო შედეგები

საკვანძო სიტყვები: განწყობა; განწყობის თეორია; ფიქსირებული განწყობის მეთოდი;

## Abstract

Relevance of the issue: Dimitri Uznadze's "Theory of attitude and set" explains the expediency of behavior and the unified nature of set. We are interested in the differential-psychological characteristics of set, we know the studies conducted in the age, phylogenetic context, but not in terms of sex. So we decided to explore the peculiarities of set and differences in terms of gender as well.

We have developed hypotheses for the scientific research of the issue:

- It is conceivable that there should be peculiarities in relation to psychophysiological and social differences in the sexual context.

Aim of the study: Fixed set study in gender categories and fixation of differences. Also, to determine the different dimensions of set: dynamic-static, plasticity-sitlank, stability-lability, in the sexual context.

The objectives of the research were:

- Finding and analyzing information and current research on theory of set and attitude ;
- Conducting research on representatives of the opposite sex;
- draw conclusions based on the results obtained;

Research Methodology: Qualitative Methodology.

Research Method: The Classic Fixed set Method.

Survey Results: Remarkable results obtained

Keywords: set, set Theory, Fixed set method.

## განწყობა კატებთან

ნათია ფხაკაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

დიმიტრი უზნაძე იყო ქართველი ფსიქოლოგი, ფილოლოგი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელმაც შექმნა განწყობის თეორია.

მისი განმარტებით განწყობა არის სუბიექტის მთლიანობითი მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს მის მზაობას კონკრეტული ქცევის შესასრულებლად. განწყობა წარმოიქმნება მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის საფუძველზე. ის მიზანშეწონილი ქცევის საფუძველია.

უზნაძის მიხედვით, განწყობა არაცნობიერი პროცესია, ამიტომაც არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის მხოლოდ ადამიანებს ახასიათებს. ის თვლიდა რომ განწყობა უფრო მძაფრად ცხოველებში იქნებოდა გამოხატული, რადგან ცხოველებს ცნობიერება არ გააჩნიათ.

უზნაძეს თავის ნაშრომში „განწყობის ფსიქოლოგია“ განხილული აქვს ცხოველებზე ჩატარებული ცდები, კერძოდ: ქათმებზე, ვირთაგვებზე და მაიმუნებზე.

ჩემი კვლევის მიზანი იყო დამემტკიცებინა, რომ განწყობის საფუძველზე მიმდინარეობს ქცევა არა მარტო ქათმებთან, ვირთაგვებსა და მაიმუნებთან, არამედ სხვა ცხოველებშიც, კერძოდ კატებთანაც შეიძლება დავაფიქსიროთ ქცევის განწყობისეული ხასიათი.

კვლევა ჩავატარე ორ კატასთან - ერთი მდედრობითი სქესის იყო, მეორე მამრობითი. კვლევისათვის გამოვიყენეთ ნ. ჭრელაშვილის მიერ ფიქსირებული განწყობის კვლევის მოდიფიცირებული ვარიანტი.

მიღებული შედეგები გაანალიზებულია ქცევის განწყობისეული თეორიის საფუძველზე.

ცდები მიმდინარეობდა 15 დღის განმავლობაში.

პირველი 5 დღე ვაჩვენდი ექსპერიმენტულ სიტუაციას. შემდეგ კი გადავედი უშუალოდ ცდებზე.

განწყობის ფიქსირებისათვის საკმარისი აღმოჩნდა 30-35 ექსპოზიცია.

ექსპერიმენტების კრიტიკულ ნაწილში დაფიქსირდა როგორც კონტრასტული, ასევე ასიმბალანსური ილუზია 9-10 კრიტიკული ექსპოზიციის განმავლობაში.

გამოიკვეთა ასევე ფაქტორი, რომელსაც უზნაძე „ქცევის ჩაშლას“ უწოდებს.

საკვანძო სიტყვები: განწყობის თეორია, განწყობა ცხოველებთან.

## Abstract

Dimitri Uznadze was Georgian psychologist, Philologist, teacher and public figure who developed the theory of Set and Attitude.

According to him, mood is the overall condition of the subject, which expresses his readiness to perform a specific behavior. The mood is created based on the need and its satisfactory situation. It is the basis of expedient behavior.

According to Uznadze, mood is an unconscious process, so we have no reason to think that it characterizes only people. He believed that mood would be more strongly expressed in animals because animals have no consciousness.

Uznadze in his work "Psychology of Mood" discusses experiments on animals, more specifically: chickens, rats and monkeys.

The purpose of my research was to prove, that behavior based on mood can be confirmed not only with chickens, rats and monkeys, but also with other animals, particularly cats. Behavior based on mood can also be confirmed with cats.

I did the research with two cats - one was female and the other was male. For the study we used a modified version of N. Chrelashvili's fixed mood survey.

The obtained results are analyzed on the basis of "Set Theory" of behavior.

The experiments lasted for 15 days.

For the first 5 days I was teaching them the experimental situations. Then I went straight to the experiments.

30-35 exposures were enough to capture the mood.

In the critical part of the experiments, both contrast and assimilation illusions were observed during 9-10 critical exposures.

There was also a factor that Uznadze calls "behavior disruption".

Keywords: theory of Set and Attitude, mood with animals.

## პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა

მარიამ ზედელაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია პირადი ცხოვრების უფლება ტრადიციული და ახალი მედიის სამართლის მიმართულებით. პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა თანამედროვე საზოგადოების გამოწვევას წარმოადგენს. დღეისთვის ქართულ მედიაში ჟურნალისტური მასალების გაშუქებისას აშკარად შეინიშნება ღირებულებათა კონფლიქტი სიტყვის თავისუფლების გამოხატვის რეალიზებისას. მწვავე დისკუსიის საკითხია თანაზომიერების პრინციპების განსაზღვრება დასაშვებობისა და აუცილებელობის ფარგლებიდან გამომდინარე. რაც რისკის შემცვლელია ადამიანის უფლებების დარღვევის მხრივ. აქ აუცილებლად გაჩნდება კითხვა თუ რას ნიშნავს პირადი ცხოვრების ხელშეუვალობა და როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება. სტატიაში ასევე მიმოვიხილავთ მაგალითებს მედიაში გაშუქებული მასალებისას როცა ჟურნალისტი ცრუ ინფორმაციას ავრცელებს ან ახორციელებს ცილისწამებას; განვმარტავთ როგორ შეიძლება დაიცვას თავი ადამიანმა ასეთი პრობლემის დროს თუ დაირღვევა მისი პირადი ცხოვრების უფლება.

საკვანძო სიტყვები: პირადი ცხოვრება, მედიასამართალი, ახალი მედია .

### Abstract

The article discusses the right to privacy in the field of traditional and new media law. The inviolability of private life is a challenge for modern society. Today, when covering journalistic materials in the Georgian media, there is a clear conflict of values in the realization of freedom of expression. It is a matter of heated discussion to define the principles of proportionality within the limits of admissibility and necessity. Which carries a risk in terms of human rights violations. The question that inevitably arises here is what inviolability of personal life means and how this problem can be solved. The article also reviews examples of media coverage where a journalist spreads false information or slanders; Explain how a person can protect himself in the face of such a problem if his right to privacy is violated.

Keywords: Personal life, Media law, New media.

## რუსეთ-უკრაინის-ომის გაშუქება ქართულ ტელემედიაში

მარი ხიმშიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც მთლიანი მსოფლიო შეაზანზარა, ვფიქრობ, რომ არის ყველაზე მწვავე და მტკივნეული თემა, განსაკუთრებით, ჩვენთვის, ქართველებისთვის, იმიტომ რომ ყველას კარგად მოგვეხსენება, არაერთხელ გავმხდარვართ რუსეთის აგრესიის მსხვერპლნი, განსაკუთრებით, მწარედ მახსენდება 2008 წლის 8 აგვისტოს ომი, რომლის შედეგადაც საქართველოს 20 % დღემდე ოკუპირებულია რუსეთის სახელმწიფოს მიერ. თემის აქტუალობიდან და საკუთარი მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გადავწყვიტე, რომ ჩემს საკონფერენციო თემად სწორედ რუსეთ-უკრაინის ომი ავირჩიო. ჩემი ინტერესის საგანს წარმოადგენს ქართული ტელემედიის მიერ გაშუქებული რუსეთ-უკრაინის ომი. დავაკვირდები კონკრეტული პერიოდის მანძილზე მთავარ საინფორმაციო გამოშვებას (ერთი კვირა) სამ ტელევიზიას: პირველი იქნება კომერციული ტელევიზია ტვ.იმედი, მეორე - საზოგადოებრივი მაუწყებელი და მესამეს ავირჩევ კერძო ტელევიზიას მთავარ არხს. გამოვიკვლევ, რა ინტენსივობით შუქდებოდა ომი საინფორმაციო გამოშვებებში, რა დრო ეთმობოდა, ვიზუალური მასალა რამდენად მრავლისმთქმელი იყო, რამდენად ბევრი მასალის მოპოვება შეძლეს ჩვენმა ტელევიზიებმა. ასევე, გამოვიყენებ დამატებით ლიტერატურას თუ როგორ ხდებოდა ომის გაშუქება და ახლა როგორი სტანდარტებით შუქდება იგივე პროცესი საქართველოს ტელევიზიებში. გავეცნობი სამეცნიერო ლიტერატურას მედიის მიერ სამხედრო კონფლიქტების გაშუქების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ომი, ტელევიზიები, გაშუქება, რუსეთის აგრესია.

### Abstract

The Russian-Ukrainian war, which has hit the whole world, I think is the most acute and painful topic, especially for us, Georgians, because we all know, we have been victims of Russian aggression for many times, especially I remember bitterly the war of August 8, 2008, as a result, 20% of Georgia is still occupied by Russia. Due to the urgency of the topic and my own high interest, I decided to choose the Russia-Ukraine war as my conference topic. My subject of interest is the Russian-Ukrainian war covered by Georgian TV media. During a specific period (one week), I will watch the main news programs on three television channels: the first will be the commercial television TV Imedi, the second - the public broadcaster, and the third one I will choose the private television – “Mtavari Arkhi” (Main Channel). I will investigate how intensively the war was covered in news programs, what time was devoted to how versatile the visual material was, how much material our televisions were able to obtain. I will also use additional literature on how the war was covered and what standards are used to

cover the same process on Georgian television. I will read the scientific literature on media coverage of military conflicts.

Keywords: war, televisions, coverage, Russian aggression.

## კრიზისებისა და საგანგებო სიტუაციების გაშუქება ტელემედიაში

ბაკარანძე თამთა,

მარიამ ბოხუა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

მედია, ეს არის სოციალური ინსტიტუტი, რომლის უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი როლი საზოგადოების ინფორმირებაა. მის ფუნქციონირებას განსაზღვრავს თემები, რომლებიც სოციუმს აინტერესებს, იქნება ეს: ეკონომიკა, განათლება, პოლიტიკა, კულტურა თუ სხვა საკითხები. მედიამ თვალ-ყური უნდა ადევნოს, შენიშნოს, მოიპოვოს, აუცილებლად დაამუშავოს და მიაწოდოს ხალხს მათთვის საჭირო ცნობები. ისევე, როგორც სხვა უამრავ თემას, მედია აქტიურად აშუქებს კრიზისულ და საგანგებო საკითხებს, მოვლენებსა და სუტუაციებს, რატომ? იმიტომ რომ მათ შესახებ ინფორმირება საზოგადოებისთვის საციფოხლოდ მნიშვნელოვანია, ხალხს აუცილებლად უნდა ჰქონდეს წვდომა მიმდინარე მწვავე მოვლენებზე, შესაბამისად ინტერესი და მოთხოვნაც მათი მხრიდან ძალიან დიდია. აუცილებელია, მედიამ გაითვალისწინოს და რაც შეიძლება დაბალანსებულად, სწორად, ამავდროულად ოპერატიულად გააშუქოს კრიზისული საკითხები, რადგან ზოგჯერ სწორედ მიღებული ინფორმაცია ხდება თვითგადარჩენისა და თავდაცვის საშუალება.

მოცემული კვლევა ძირითადად ეთმობა მედიასაშუალებების დაკვირვებას, თუ რამდენად სწორად და ეთიკურად შუქდება ქართულ მედიაში საგანგებო საკითხები, რამდენად არის დაცული ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, იკავებს თუ არა მედია თავს ფაქტების დამახინჯებისგან და მათი სენსაციურად წარმოდგენისგან. კვლევის მეთოდად გამოვიყენეთ თვისობრივი კვლევა, რადგან კვლევის ეს ტიპი გამოყოფს კვლევის საგანს და მიზნად ისახავს საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლას. საკვლევად ავირჩიეთ შემდეგი არხები: „მთავარი არხი“, „TV- პირველი“, „ფორმულა“ „პოსტ TV“. კვლევაში წარმოდგენილია ჩამოთვლილი მედიასაშუალებების მუშაობის ტენდენციები და ხარისხი, ხაზგასმულია და განხილული არსებული პრობლემები, რომლებიც დაკვირვების პერიოდში გამოიკვეთა. ყურადღება ეთმობა თეორიებს, მსჯელობებს, საინტერესო მოსაზრებებს პროფესორებისა და სხვა კომპენტენტური პირებისგან და რაც მთავარია სამომავლო რეკომენდაციებს.

მოცემული ნაშრომი ასახავს შერჩეული თემის სისტემურ ანალიზს, ჟურნალისტიკაში არსებული თეორიები განხილულია პრაქტიკულ მაგალითებში, ანალიზი გაკეთებულია რესპონდენტებსა და ფოკუს ჯგუფზე დაყრდნობით. წარმოდგენილია მედიისთვის სამომავლოდ გადასადგამი სასარგებლო ნაბიჯები, რომელთა გათვალისწინებაც გააუმჯობესებს ქართული ჟურნალისტიკის ფუნქციონირებას და აღნიშნული საკითხი გაშუქდება უფრო ეთიკურად, მაღალ პროფესიულ სტანდარტებზე დაყრდნობით.

საკვანძო სიტყვები: კრიზისები, საგანგებო სიტუაციები, ეთიკა, ბალანსი, გაშუქება, კოდექსი.

## Abstract

The media is a social institution whose primary and most important role is to inform the public. Its functioning is determined by the topics that interest the society, be it: economy, education, politics, culture or other issues. The media must monitor, notice, obtain, necessarily process and provide the people with the information they need. Like so many other topics, the media actively covers crisis and emergency issues, events and situations, why? Because informing about them is vital for the society, people must have access to the current acute events, therefore the interest and demand from them is very high. It is necessary for the media to take into account and cover the crisis issues in a balanced, correct and at the same time operative way, because sometimes the received information becomes a means of self-preservation and defense.

The present research is mainly devoted to the observation of the media, how correctly and ethically the emergency issues are covered in the Georgian media, how much objectivity, impartiality is protected, whether the media refrains from distorting the facts and presenting them sensationally. We used qualitative research as a research method, because this type of research separates the research subject and aims to study the research issue in depth. We have chosen the following channels for the study: "Main Channel", "TV-First", "Formula", "Post TV". The study presents the trends and quality of work of the listed media outlets, highlights and discusses the existing problems that were identified during the monitoring period. Attention is drawn to theories, reasoning, interesting opinions from professors and other competent persons, and most importantly, future recommendations.

This paper presents a systematic analysis of the selected topic, theories in journalism are discussed in practical examples, the analysis is done based on the respondents and the focus group. Present useful steps for the media are presented, the consideration of which will improve the functioning of Georgian journalism and the mentioned issue will be covered more ethically, based on high professional standards.

Keywords: Crises, Emergencies, Ethics, Balance, Coverage, Code



## დანაშაულის გაშუქებისას ადამიანის უფლებების დაცვა

სალომე გოდერძიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

სამეცნიერო ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს მედიის როლი კრიმინალური მოვლენების გაშუქებისას. ასევე ნაშრომში გადმოცემულია ჟურნალისტის დანაშაულის საკთხებზე მუშაობისას ადამიანის უფლებების დაცვისა და მათი სწორად წამოჩენის პრობლემატიკა. გამოვიკვლევთ და განვმარტავთ რას ნიშნავს „მორალური პანიკა“ და როგორ შეიცვალა მასთან მიდგომები დროთა განმავლობაში. სწორედ ამგვარი დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ ლოგიკური და არგუმენტირებული დასკვნები.

კვლევის პროცესში ჩვენ მიერ მოკვლეულია პანოპტიზმი როგორც ყოველდღიური დაკვირვების პრინციპი ადამიანებზე, როგორ აშუქებს მედია კრიმინალურ საქმეებს, დევიაციურ და ანტისაზოგადოებრივი ქმედებებს. რა როლი აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებს ძალადობის გაშუქების დროს. განვავრცობთ მასობრივი საზოგადოების თეორიასა და ვიმსჯელებთ ადამიანებზე, რომლებიც ამ თეორიის მიმდევრები იყვნენ მეოცე საუკუნის დასაწყისში. ასევე განვმარტავთ კრიმინოლოგიურ ცოდნას: ვიჯილანტიზმსა და ანომიის თეორიებს, განვიხილავთ ბიჰევიორიზმსა და პოზიტივიზმს. ამ კონტექსტში მედიის ზეგავლენით ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი როგორ ხდება საზოგადოებრივ გარემოში მიმდინარე პროცესები. ადამიანს როგორ უყალიბდება ინფორმაციის ზეგავლენით ცნობადი ჩვევები. პოზიტივისტურმა კრიმინოლოგიამ კი როგორ განიცადა ცვლილება. მიუხედავად ამისა, ეს თეორია თანამედროვე მედიაში საკმაოდ აქტუალურია, მისი გავლენა მკვეთრად იგრძნობა პუბლიკაციებში ბავშვებისა და ქალების ძალადობის ინფორმაციის გაშუქებისას. ჩვენ გამოვიკვლიეთ ამ თეორიების გამოყენება თანამედროვე მედიის მუშაობაში და მისი გავლენა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში. კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ ჟურნალისტების მხრიდან დანაშაულების თემების გაშუქების დროს როგორაა გამოყენებული კრიმინოლოგიური თეორიები კონკრეტულ ქეისებში. მედიის მიერ გამოქვეყნებული ფაქტების და დევიაციური ქმედებების გავლენა საზოგადოების ცნობიერებაზე. ასევე ვიმსჯელებთ მედიის როლის შესახებ საზოგადოებაში დანაშაულის შესახებ პანიკის დათესვის კუთხით. რაც მთავარია ჩვენი მსჯელობა გამყარებული იქნება მაგალითებითა და ფაქტებითა.

საკვანძო სიტყვები: ადამიანის უფლებები, მედია და დანაშაული, მორალური პანიკა, პანოპტიზმი, დევიაციური ქმედებები, ვიჯილანტიზმი, ანომიის თეორია. ბიჰევიორიზმი, პოზიტივიზმი.

## Abstract

The aim of the scientific paper is to investigate the role of the media in covering criminal harassment. the paper also outline the problems of protecting a journalist's human rights while working on crime issues and presenting them correctly. We will examine and explain what is meant by "moral panic" and how attitude have changed over time, such observations allow us to draw logical and reasoned conclusions.

In the research process we explore panopticism as a principle of daily observation of people, how the media covers criminal cases, deviant and anti-social actions, and what role modern technologies play in covering violence. We will develop the theory of mass society and discuss the people who have been followers of the history since the beginning of the twentieth century. We will also explore criminological knowledge ; theories of vigilance and anomia, and also we will discuss behaviorism and positivism how these theories have enhanced the role of the media in establishing public order. Positive criminology have changed through the time. Despite that this theory is very popular among modern media. we see this influence during the discussion of information about woman and children. We must investigate using this theories in modern media, due to this investigations we can say how journalists use this criminological theories during their work for crime cases .also we are going to discuss so called panic situations from the side of viewers during media programs about crime cases. how criminological theories are used in specific cases when journalists cover crime topics. Judging by examples and facts.

Keywords: human right, media and crime, moral-panic, panopticism, deviant actions, vigilantism, theory of anomia.

## კულტურის საკითხების გაშუქება ქართულ ტელემედიაში

ნატალი შიოშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

რა ადგილი ეთმობა კულტურის საკითხების გაშუქებას თანამედროვე ქართულ ტელემედიაში?

კულტურის თემის მედიამონიტორინგი, განსხვავებით პოლიტიკური თემებისაგან.

საქართველოში კულტურის პოპულარიზაცია მაგრამ, ეს ყველაფერი ყურადღების მიღმა დარჩენილი.

კულტურის წვლილის შეტანა საზოგადოების ცნობიერებისა და ცოდნის დონის ამაღლებაში.

საზოგადოება და ხელისუფლება, დემოკრატია და კულტურა, როგორც ერთმანეთთან შერწყმული და ერთმანეთის გამამდიდრებელი მოვლენები და მათი ერთდროული განვითარება ქვეყნის გამთლიანების, შენებისა და მსოფლიო ცივილიზაციაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის.

სამაუწყებლო მედიასივრცეში გაშუქებული კულტურისა და ხელოვნების საკითხები, მათ შორის, თეატრის, როგორც ძირითადად საინფორმაციო, მიმოხილვითი ან გასართობი ხასიათის.

კულტურისადმი ინტერესი უფრო მეტად ონლაინ სივრცეში, ვიდრე სატელევიზიო მაუწყებლობაში.

სატელევიზიო სივრცეში რეპორტაჟები/გადაცემები/ შოუები ხელოვნების თემაზე, ინფორმაციები, პრემიერებზე, კულტურულ ღონისძიებებზე, შეხვედრები რეჟისორთან/ მსახიობთან/ მუსიკოსთან.

პანდემიით გამოწვეული, განსხვავებული ფორმატით გაშუქებული საკითხები.

ხელოვანი ადამიანის გამოწვევები და კულტურის პოპულარიზება.

კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების გაერთიანება ერთი იდეის გარშემო, ხელოვნების დარგის გადასარჩენად.

ტელევიზიის სარედაქციო პოლიტიკის ასახვა კულტურულ პროდუქტზე.

## **Abstract**

What is the place of coverage of cultural issues in modern Georgian TV media?

Media monitoring of the cultural community, as opposed to political communities.

Popularization of culture in Georgia, but all this has been left out of the spotlight.

Contributing to culture in raising public awareness and knowledge.

Society and government, democracy and culture as intertwined and mutually enriching events and their simultaneous development for the unification of the country, its construction and the establishment of a worthy place in world civilization.

Issues of culture and art covered in the broadcast media, including theater, as being of a news, review or entertainment nature.

Interest in culture is more in the online space than in television broadcasting.

In the TV space reports / programs / shows on the topic of art, information, premieres, cultural events, meetings with the director / actor / musician.

Issues caused by the pandemic are covered in a variety of formats.

Challenges of the artist man and the popularization of culture.

Bringing together people working in the field of culture around one idea to save the field of art.

Reflection of television editorial policy on cultural product.

## მედიაეთიკა კოვიდ 19-ის ფონზე

თამარ კირკიტაძე,

ნათელა ალაზოვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

რთულად თუ ვიპოვით სფეროს, რომელზეც 2019 წლის ბოლოს გავრცელებულ კორონავირუსს გავლენა არ მოუხდენია. მაშინ ყველასთვის უცნობი და დღეს კარგად ნაცნობი ვირუსი მალე პანდემიად გამოცხადდა და ყველაფერი სწორედ აქედან დაიწყო. ამ რთულ ფონზე, საჭირო ინფორმაციის მიღება სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა, რამაც მედიის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა.

მედიასაშუალებები საგანგებო რეჟიმში გადაერთნენ და მათ მთავარ თემად კორონავირუსი იქცა. საინტერესოა, რა გავლენა მოახდინა ამან მედიაზე? რა სირთულეები შექმნა? უარყოფითთან ერთად დადებითი ეფექტიც ხომ არ ჰქონია? როგორ შეიცვალა დღის წესრიგი? როგორ გაუმკლავდა მედია არსებულ გამოწვევებს და რამდენად ეთიკურად, ზუსტად და საჭიროებისამებრ შუქდებოდა ვირუსთან დაკავშირებული ცნობები? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მედიასაშუალებებს დავაკვირდით, საკვლევად კი, ავირჩიეთ შემდეგი არხები: „იმედი“, „მთავარი არხი“ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, და „TV პირველი“, ასევე დავაკვირდით ამ არხების სოციალურ მედიებსაც.

რაც შეეხება საკვლევ დროს, იგი COVID 19-ის საქართველოში პირველად გამოჩენიდან, ანუ 2020 წლის 26 თებერვლიდან, 2022 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდს მოიცავს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რა ეფექტი ჰქონდა ვირუსის გავრცელებას საკვლევ არხებზე, გამოიწვია თუ არა პანდემიამ ფეიკ ნიუსების მატება, მიზანმიმართული დეზინფორმაციის გავრცელება და სხვა ეთიკური დარღვევები. განხილულია კონკრეტული ქეისები, ასევე გაანალიზებულია ის საკითხები და პრობლემები, რომლებიც კვლევებისას გამოიკვეთა.

გამოყენებულია თეორიული მასალა, მსჯელობები, შეხედულებები, მოცემულია დასკვნები და სამომავლო რეკომენდაციები. აღნიშნულ თემაზე მუშაობის პროცესში გამოიკითხა რამდენიმე პროფესორი, მაგალითად, ნათია კუპრაშვილი, თამარ ბელქანია და სხვები. წარმოდგენილია

მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები, შეხედულებები, შეფასებები და რჩევები. გარდა ამისა, ინტერვიუები ჩაიწერა სხვადასხვა მედიასაშუალებებში მომუშავე ჟურნალისტებთან, რათა დადგენილიყო თუ როგორ შეიცვალა მათი სამუშაო პროცესი და როგორ აფასებენ აღნიშნულ საკითხს. მაგალითად ერთ-ერთი ასეთია „მთავარი არხის“ ჟურნალისტი ჯეიჰუნ მუჰამედ ალი. აღნიშნულ ნაშრომში განხილულ თეორიაზე, ქეისებსა და რესპოდენტთა პასუხებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნები იმის შესახებ, თუ რა კვალი დატოვა და რა გავლენა იქონია კორონავირუსმა მედიასაშუალებების დღის წესრიგზე.

საკვანძო სიტყვები: მედია, კორონავირუსი, მედიაეთიკა, გავლენა.

## Abstract

It is difficult to find an area that was not affected by the spread of coronavirus at the end of 2019. Then the virus unknown to everyone, and well known today, was soon declared a pandemic and it all started right here. Against this difficult background, obtaining the necessary information became vital, which further increased the importance of the media.

The media switched to emergency mode and their main topic became the coronavirus. I wonder what impact this had on the media? What difficulties did it create? Did it have a positive effect along with the negative? How did the agenda change? How did the media deal with the challenges and how ethically, accurately and as needed did they cover the virus?

To answer these questions, we looked at the media, and for research, we chose the following channels: "Imedi", "Main Channel", "Public Broadcaster", and "TV Pirveli", as well as the social media of these channels. As for the study period, it covers the period from the first appearance of COVID 19 in Georgia, ie from February 26, 2020 to January 2022. The paper focuses on what effect the spread of the virus had on research channels, whether the pandemic led to an increase in fake news, the spread of deliberate misinformation, and other ethical violations. Specific cases are discussed, as well as issues and problems identified during the study.

Theoretical material, reasoning, views are used, conclusions and future recommendations are given. In the process of working on this topic, several professors were interviewed, for example, Natia Kuprashvili, Tamar Belkania and others. The opinions, views, assessments and advice expressed by them are presented. In addition, interviews were conducted with journalists working in various media outlets to determine how their work process had changed and how they assessed the issue. One such example is Jeyhun Muhammad Ali, a Channel One journalist who based on the theory discussed in this paper, based on the cases and responses of respondents, drawing conclusions about what traces the coronavirus has left and the impact on the media agenda.

Keywords: Media, Coronavirus, Media Ethics.

## აქცია-პერფორმანსების გამუქება ქართულ და უცხოურ ტელემედიამში

ნიკა ხოსიტაშვილი,

მარიამ ცარციძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ცხადყო, რომ მსოფლიოში პროტესტის გამოხატვის უკიდურესი ფორმა ბევრად უფრო პოპულარულია, ვიდრე პერფორმანსების როლი. დღეს მედიასა და საზოგადოებაში საკუთარი უკმაყოფილების გამოხატვის ახალი ფორმა დამკვიდრდა - „აქცია-პერფორმანსი.“

პერფორმანსების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი სოციალურ აქტივისტებსა და არტისტებს მიუძღვის, რომლებმაც ერთი შეხედვით რადიკალური და უკიდურესი საპროტესტო აქციები, მშვიდ, უწყინარ და სანახაობრივ ფორმად აქციეს.

როგორც ნებისმიერი სოციალურ-კულტურული აქტივობა, პერფორმანსების დადგმაც კრეატიულ აზროვნებასა და შემოქმედებითობას მოითხოვს. სწორედ, ეს აღმოჩნდა სოციალური აქტივისტებისა და არტისტებისთვის ტრამპლინი, რათა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისათვის საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინათ.

ჩვენს საზოგადოებაში აქცია-პერფორმანსების როლი და გავლენა ნაკლებად ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ მედია მსგავს აქტივობებს აქტიურად აშუქებს.

კვლევის მიზანია, დავადგინოთ რამდენად მრავალფეროვანი აქცია-პერფორმანსები შუქდება ქართულ და უცხოურ ტელე-მედიამში და როგორია მათი გავლენა საზოგადოების ცნობიერებაზე.

სტატიაში მიმოვიხილავ ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსებისა თუ აქტივისტების საპროტესტო ქმედებებს, რომელთა მიზანი და დანიშნულებაც სახელმწიფო სისტემის მანკიერებების უგულვებლყოფა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისადმი პოზიციის გამოხატვაა.

1. დაკვირვების მეთოდის საშუალებით გამოვიკვლიე 4-4 აქცია-პერფორმანსი, რომლებიც ქართული და უცხოური ტელემედიით გააშუქდა;
2. ჩაღრმავებული ინტერვიუ - მარიამ ნატროშვილთან;
3. კვლევის რაოდენობრივი მეთოდი - ანკეტური გამოკითხვა (100 ფეისბუქ მომხმარებელი).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აქცია-პერფორმანსების როლი მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, რათა პროტესტის ფორმამ მიიღოს კულტურულ-სოციალური დატვირთვა და არ გამოიწვიოს ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროცესები.

კვლევის შედეგად გავზომავთ რამდენად მაღალია საზოგადოების ცნობიერება და დამოკიდებულება საპროტესტო აქციების თანამედროვე ფორმასთან - პერფორმანსებთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: აქცია, პროტესტი, ახალი ფორმა, პერფორმანსი, აქტივიზმი.

## **Abstract**

In the 21st century, the development of modern technologies has made it clear that the expressed form of protest in the world is more popular than the role of performances. Today, in the media and society, there is a new and different form of self-expression - "action-performance".

Social activists and artists made a great contribution to the formation of performances, as well as seemingly radical and protest actions.

Like all socio-cultural activities, staging performances requires creative thinking and creativity. That's right, it's for famous social activists and artists to train in order to develop their own position on current events.

The role of action-performances in society and change is known, even though the media is similar to the activities that illuminate them.

Researches to determine what kind of actions-performances are covered in Georgian and foreign TV media and what is their influence in the field of society.

In the article, I will review the protest actions of Georgian and foreign politicians and activists, the goal and purpose of which is to ignore the vices of the state system and to express a position towards the current events in the world.

1. Using the observation method, I investigated 4-4 actions-performances, which were covered by Georgian and foreign TV media;
2. In-depth interview - with Mariam Natroshvili;
3. Comparative quantitative method - questionnaire survey (100 Facebook users).

The results determined that the role of action-performances is important for the society, so that the form of protest receives a cultural-social load and does not cause problems for destabilization processes.

As a result of the research, it is clear how high is the aim and position of the society along with the modern form of protest actions - performances.

Key words: performance, action, protest, new form, performance, activism.

## ლოკალური ონლაინმედიის როლი მუნიციპალური თვითმმართველობის საქმიანობების გაშუქებისას

მარიამ ხარბიანი,

ანი დავიდიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, თანამედროვე სამყაროში, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემის აგებას მოიაზრებს.

საქართველოს თვითმმართველობის ისტორია 104 წელს ითვლის. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ საქართველოს ძირითად მაზრებში საერობო არჩევნები ჩატარდა და თვითმმართველობის ორგანოებიც ამოქმედდა. ამის შემდეგ იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პირველი არჩევნები, რომელიც 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის პარალელურად ჩატარდა. საქართველომ 1991 წლიდან 2014 წლამდე დეცენტრალიზაციის 5 ეტაპი განვლო, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებებმა ქმედითი შედეგები მუნიციპალიტეტებს ვერ მისცა.

სწორედ, მუნიციპალური თვითმმართველობის დაკვირვება და მიუკერძოებელი ინფორმაციის საზოგადოებამდე მიტანაა მედიის, როგორც „მეოთხე ხელისუფლის“ მოვალეობა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ლოკალური მედიის წარმომადგენლები არასრულფასოვნად ან მიკერძოებულად აშუქებენ მუნიციპალური თვითმმართველობის საქმიანობას. სუბიექტურად გაშუქება მოიაზრებს, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, ისე ნეპოტიზმის წახალისებას, რაც მედიის მხრიდან ჟურნალისტური პრინციპებიდან გადახვევას გულისხმობს. შესაბამისად, მედიასაშუალებები ვალებული არიან დაიცვან ობიექტურობა და საზოგადოებას მიაწოდონ ზუსტი და ამომწურვი ინფორმაცია მუნიციპალური თვითმმართველობის საქმიანობაზე.

კვლევის მიზანია, შევისწავლოთ რამდენად აქტიურადაა ჩართული ლოკალური მედია მუნიციპალური თვითმმართველობის საქმიანობის შესწავლასა და შემდგომ გაშუქებაში. ამავდროულად, კვლევის მიზანია, გაირკვეს თუ რამდენად სწორად აშუქებს ლოკალური მედია თვითმმართველობათა უფლებამოსილების საკითხებს, ინფორმაცია ზედაპირულია თუ ჟურნალისტი ცდილობს სიღრმისეულად გადმოსცეს მომხდარი ამბის შესახებ.

კვლევისათვის გამოვიყენებთ, როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდებს, კერძოდ, კონტენტ-ანალიზს. რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით განვსაზღვრავთ, რა სიხშირით ვლინდება მიკერძოებული შინაარსის ნიუსების ონლაინპლატფორმებზე განთავსება, რაც შეეხება თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კვლევის ეს ტიპი გამოყოფს კვლევის საგანს და



საკვლევი საკითხის სიღრმისეულად შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. დაკვირვების მეთოდის მეშვეობით შესაძლებელი იქნება კვლევის შედეგის ერთგვარი ვიზუალიზაცია, რაც ადგილობრივი მედიის როლსა და საქმიანობას მუნიციპალური თვითმმართველობის საკითხების გაშუქების თვალსაზრისით თვალსაჩინოს გახდის.

საკვლევ პერიოდად განისაზღვრა 2022 წლის იანვარი-აპრილი. ყოველ წელს ადგილობრივი თვითმმართველობა ახალი გეგმებითა თუ ბიუჯეტით ხვდება, ამიტომ მედიის მუშაობის დასაკვირვებლად წლის დასაწყისი ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია. კვლევის ფარგლებში შეირჩა საქართველოს მუნიციპალიტეტიდან ის ძირითადი მედიასაშუალებები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ და ყოველდღიურად ანახლებენ ონლაინპატფორმებზე ინფორმაციებს. მაგალითისთვის, საკვლევ პოპულაციათა ჩამონათვალში შედიან [knews.ge](http://knews.ge), [gurianews.ge](http://gurianews.ge) და [batumelebi.ge](http://batumelebi.ge)

კვლევის შედეგად, სავარაუდოდ, ნათელი გახდება რამდენად მიუკერძოებლად და ობიექტურად მუშაობენ ლოკალური მედიები თვითმმართველობათა საკითხების გაშუქებაზე. ასევე, კვლევა ნათელს გახდის რა ადგილი ეთმობა თვითმმართველობებში არსებულ რეალურ პრობლემებს, რამდენად ექცევა ყურადღება სკანდალური და ყვითელი ამბების გაშუქებას და ხდება თუ არა ლოკალური მედიის მხრიდან პრობლემების სიღრმისეულად წარმოჩენა თუ მათ შესახებ დისკუსიის გაღრმავების ხელშეწყობა.

საკვანძო სიტყვები: ონლაინმედია, ადგილობრივი თვითმმართველობა, ლოკალური მედია, მუნიციპალიტეტები.

## Abstract

Creating a democratic and legal state means building a political system based on the principles of local self-government in the modern world.

The history of Georgian self-government is 104 years old. After May 26, 1918, national elections were held in the main regions of Georgia and self-government bodies were activated. This was followed by the first local elections, which were held on March 31, 1991, in parallel with the referendum on the restoration of Georgia's independence. Georgia went through 5 stages of decentralization from 1991 to 2014, however, these changes did not give effective results to the municipalities.

It is the duty of the media as a "fourth power" to monitor the municipal self-government and convey impartial information to the public. There are frequent cases when local media representatives cover the activities of the municipal self-government in an incomplete or biased manner. Subjective coverage implies both cooperation with the local government and encouragement of nepotism, which implies a deviation from journalistic principles by the media. Accordingly, media outlets are obliged to maintain objectivity and provide accurate and comprehensive information on the activities of the municipal self-government.

The aim of the research is to find out how actively local media is involved in the study and subsequent coverage of municipal self-government activities. At the same time, the aim of the research is to find

out how well the local media covers the issues of self-government, whether the information is superficial or the journalist is trying to convey in depth the story.

We will use both quantitative and qualitative methods for research, in particular, content analysis. Quantitative research determines the frequency with which biased content news is posted on online platforms. As for qualitative research methods, this type of research separates the research subject and allows for in-depth study of the research topic. Through the observation method, it will be possible to visualize the result of the research, which will make the role and activities of the local media visible in terms of coverage of municipal self-government issues.

The study period was defined as January-April 2022. Every year the local government comes up with new plans or budgets, so the beginning of the year is one of the best times to observe the work of the media. Within the framework of the research, the main media outlets were selected from the Municipality of Georgia, which are actively working and updating information on online platforms on a daily basis. For example, the list of research populations includes [knews.ge](http://knews.ge), [gurianews.ge](http://gurianews.ge), [batumelebi.ge](http://batumelebi.ge), [borjomi.tv](http://borjomi.tv) and others.

The study is expected to clarify how impartially and objectively local media work to cover self-government issues. Also, the research will clarify what place is given to the real problems in the self-governments, how much attention is paid to the coverage of scandalous and yellow news and whether the problems are presented in depth by the local media and facilitate the discussion about them.

Keywords: Online Media, Local Government, Local Media, Municipalities.

## გენდერული სტერეოტიპები რეკლამაში

ნინო ბარათელი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

რეკლამა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მას ვხვდებით ყველგან, ყოველი ფეხის ნაბიჯზე, იქნება ეს ქუჩა, ტრანსპორტი თუ სახლი. შესაბამისად, ძალიან დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, ქცევაზე, სოციალურ როლებსა და სტერეოტიპებზე. რეკლამის შემქმნელები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა შექმნან მიმზიდველი პროდუქტი, რომელიც მიიქცევს აუდიტორიის ყურადღებას. ძირითად შემთხვევაში მათი მიზანი მიღწეულია, თუმცა, ხანდახან მაინც იწვევენ მომხმარებლის აღშფოთებას, მაგალითად მაშინ, როდესაც რეკლამა გენდერულ სტერეოტიპებს შეიცავს. მართალია, ამას ყურადღებას აქცევს მნახველის ძალიან მცირე ნაწილი, თუმცა, აღნიშნული მიზეზი რეკლამის უარყოფით მხარეში იწერება. სწორედ აღნიშნული პრობლემაა ჩემი კვლევის ობიექტი, რომელიც წლებია აქტუალურია,

თუმცა, ჯერ კიდევ მოუგვარებელი. კვლევა ჩატარებულია კონტენტანალიზის მეთოდით, ასევე სატელევიზო არხებსა და ინტერნეტში განთავსებული რეკლამების შესწავლის საფუძველზე. საბოლოო ჯამში კი დადგინდა, რომ რეკლამები არღვევენ გენდერული თანასწორობის იდეას. მამაკაცი ყოველთვის წარმოდგენილია როგორც ძლიერი, შრომისუნარიანი, საქმიანი პიროვნება. ქალის როლი კი უმეტეს შემთხვევაში დაკნინებულია და მუდმივად გვევლინება როგორც დიასახლისი, ნაზი და დაუცველი არსება. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სარეცხი საშუალებების რეკლამები, სადაც მამაკაცი ურჩევს ქალს თუ რომელი ფხვნილი არის უკეთესი ხარისხის. კვლევის მონაწილეთა აზრით, მსგავსი სახის რეკლამები მეტყველებს იმაზე, რომ სახლის საქმეებშიც კი კაცები უფრო ერკვევიან, ვიდრე ქალები. შეიძლება ყოველივე ეს ადამიანების გარკვეული კატეგორიისათვის უმნიშვნელო ფაქტორია, თუმცა ფაქტია, რომ გენდერული სტერეოტიპების შემცველი რეკლამები ზემოქმედებენ ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებზე. ზრდასრულებსა და მოზარდებში უფრო ამყარებს სტერეოტიპულ მიდგომებს, ბავშვებში კი საფუძველს ქმნის და გავლენას ახდენს მათ ცნობიერებაზე. აქედან გამომდინარე, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც თუ რატომ შეიცავს რეკლამა სტერეოტიპებს. არის რაიმე კონკრეტული მიზეზი თუ მხოლოდ რეკლამის შემქმნელების უფიცობის ბრალია. როგორც კვლევამ აჩვენა, გენდერული სტერეოტიპების შემცველი რეკლამები საერთოდ არ ამცირებს პროდუქტის გაყიდვადობას. ის იწვევს მომხმარებლის გაღიზიანებას და ამის შემდეგ რეკლამა ხდება უფრო პოპულარული და განხილვადი. შედეგად პროდუქტიც ხდება უფრო მეტად გაყიდვადი, რადგან ანტი პიარიც არის პიარი.

## Abstract

Advertising is an integral part of our lives. We come across it everywhere, at every step of the way, be it the street, the transport or the house. Consequently, it has a huge impact on a public opinion, behavior, social roles and stereotypes. Ad creators make every effort to create an attractive product that will grab the audience's attention. In the main case, their goal is achieved, however, sometimes they still cause consumer outrage, for example when the ad contains gender stereotypes. It is true that a very small part of the viewer pays attention to this, however, the mentioned reason is written on the negative side of the advertisement. This problem is the object of my research, which has been relevant for years, however, still unresolved. The research was conducted by the method of content analysis, as well as on the study of advertisements placed on TV channels and on the Internet. In the end, it was found that the ads violate the idea of gender equality. Men are always presented as a strong, hard-working, business person. The role of a woman is diminished in most cases and she constantly appears as a housewife, a gentle and vulnerable creature. Particular attention is paid to detergent ads where men advise women which powder is of better quality. According to the study participants, such advertisements indicate that even in household chores, men are more knowledgeable than women. All of this may be an insignificant factor for a certain category of people, however the fact is that ads containing gender stereotypes affect people of any age group. It reinforces stereotypical approaches in adults and adolescents, while in children it forms the basis and influences their consciousness. Therefore, the fact that the ad contains stereotypes also draws attention. Is there any specific purpose

or just the fault of the ignorance of the ad creators. As research has shown, ads containing gender stereotypes do not reduce product sales at all. It irritates the user and after that the ad becomes more popular and reviewable. As a result the product also becomes more marketable because anti PR is also PR.

## დანაშაულებრივ ახალი ამბებში ბავშვთა საკითხები

თორნიკე ბადალაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ტრადიციულ და სოციალურ მედიაში ჟურნალისტის მხრიდან ბავშვთა უფლებების გაშუქების კვლევა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ბავშვთა მიმართ ძალადობა მედიის ახალი კომპონენტია. დღესდღეობით მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მედიაში შეინიშნება ისეთი ტენდენცია, როდესაც არასრულწლოვანების ქმედებები სხვადასხვა კუთხით შუქდება, განსაკუთრებით მათი მხრიდან სამართლებრივი დარღვევები. ამ ნაშრომში განიხილება თემები, რომლებსაც საერთაშორისო და ეროვნული მედია ინტენსიურად აშუქებს: 1. ბავშვების გამოყენება გრუმინგში. 2. მოზარდების დანაშაულებები და მსხვერპლი ბავშვები. 3. ბავშვთა შესახებ კანონების ჩასწორება. 4. ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები. 5. ბავშვების მონაწილეობა გადაცემებში, აქ იგულისხმება მედიის მხრიდან ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული დანაშაულებები. 5. ბავშვთა პორნოგრაფია. 6. პედოფილი მსხვერპლი ბავშვების გაშუქების პრობლემა.

აქვე განვიხილავთ როგორ გავაშუქოთ ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით ბავშვთა მგრძობიარე საკითხებთან დაკავშირებული თემები ისე რომ ბავშვის ინტერესები იყოს უპირატესი.

გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვთა თემების გაშუქება სპეციფიკური თემაა ჟურნალისტებს მედია ორგანიზაციებს მეტი ცოდნა და სიფრთხილე მოეთხოვებათ, ამ პრობლემატიკის საუბრისას.

კვლევის მიზანია დადგინდეს აშუქებენ თუ არა ქართული მედია ორგანიზაციები არასრულწლოვანთა თემებს სამართლებრივი საერთაშორისო და ქართული ნორმების სრული გათვალისწინებით, ამასთანავე გამოკვეთოთ რა ტიპის დარღვევებია უცხოურ და ეროვნულ მედიაში.

ზემოთ აღნიშნულ რა თემებზე ვლინდება ჟურნალისტების მხრიდან დარღვევები და მედია საშუალებებში ძირითადად რა პრობლემები იკვეთება.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა გვიჩვენა რომ საერთაშორისო და ეროვნულ მედიაში სამართლებრივი და ეთიკური ნორმები დარღვეულია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ მედია დანაშაულებები იწვევს მორალურ პანიკას და პრობლემა არის ხშირ შემთხვევაში მედიის გადამეტებული აქცენტირება ბავშვების როგორც მსხვერპლების წარმოჩენაზე, ასევე ხშირ შემთხვევაში აქვს ადგილი ბავშვების ირიბ იდენტიფიცირებას და სხვა პირადი ინფორმაციის გავრცელების ამბებს, ამით 18 წლამდე ბავშვის ვიზუალური მაინდენტიფიცირებელი სახის დაფარვაც კი ამჟღავნებს ბავშვის პირად სივრცეს. ამასთანავე ქართულ ტრადიციულ და ახალ მედია საშუალებებში გამოიკვეთა ბავშვებზე ძალადობის მასალების გაშუქება როგორც გაფრთხილება.

საკვანძო სიტყვები: მოზარდების დანაშაულებები, ტრაგიკული მსხვერპლები, ბავშვები გადაცემებში.

## Abstract

Exploring children's rights coverage by a journalist on traditional and social media is a significant challenge. Violence against children is a new component of the media. In the media of many countries of the world today, there is a tendency when the actions of minors are covered from different perspectives, especially their legal violations. This paper discusses topics that are extensively covered by the international and national media: 1. The use of children in grooming. 2. Teen crime and child victims. 3. Correction of laws on children. 4. Children - victims of domestic violence. 5. Participation of children in programs - this refers to crimes committed against children by the media. 5. Child pornography. 6. The problem of coverage of sexually abused children. Here we discuss how to cover issues related to children's sensitive issues in accordance with ethical and legal norms so that the interests of the child take precedence. Due to the fact that the coverage of children's topics is a unique topic, journalists and media organizations need more knowledge and caution when talking about these issues. The aim of the research is to determine whether Georgian media organizations cover juvenile communities in full compliance with international and Georgian legal norms, as well as to identify the types of violations in foreign and national media, what are the violations in the issues mentioned above and what are the main problems in the media. The results of the research showed that legal and ethical norms have been violated in the international and national media. In conclusion, media crimes cause moral panic and the problem is often the media's excessive focus on portraying children as victims, as well as the indirect identification of children and the revealing other personal information, even when visually covering the face of a child. At the same time, Georgian traditional and new media outlets covered the coverage of child abuse as a warning.

Keywords: child crime, crime victims, children in TV programmes.

# სამართალი

## საპროცესო შეთანხმება ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

მარიამ კაციაშვილი,

თეონა კაპანაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

წინამდებარე საკონფერენციო ნაშრომი ეხება საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ქართულ სისხლის სამართალში. ეს თემა თავი არსით მეტად აქტუალურია, რადგანაც 1998 წლიდან მრავალი ცვლილება განიცადა სანამ იმ მდგომარეობამდე მოვიდოდა რაც დღევანდელ კანონმდებლობაში გვაქვს. საპროცესო შეთანხმება მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ ამ დროს შესაძლებელია სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა. ჩვენი აზრით ამას შესაძლებელია ალტერნატიული საშუალებაც ვუწოდოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრალდებული შეთანხმების საფუძველზე აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს და ამის შემდეგ ხდება შეთანხმება პროკურორთან, სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების დადება 2020 წლიდან განსხვავებულად იქნა შესაძლებელი, პანდემიის პირობებში, როდესაც სასამართლო საქმის განხილვათა უმრავლესობა გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე, საპროცესო შეთანხმებაზეც მივიღეთ მისი მნიშვნელოვნება ელექტრონულად დადების კუთხით.

საპროცესო შეთანხმებას მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე ბევრ დადებით მხარესთან ერთად უარყოფითი თვისებებიც გააჩნია. ნაშრომში განხილული იქნება ერთ-ერთი უარყოფითი მხარე, რაც გამოიხატება სწორედ დაზარალებულის უუფლებო მდგომარეობაში. აქ ყურადღება გამახვილდება დაზარალებულის როლზე საპროცესო შეთანხმებაში და დაზარალებული წარმოჩენილი იქნება როგორც ყველაზე უუფლებო მხარე. ეს ვითარება პირდაპირ ხელყოფს დაზარალებულის უფლებებს და ნაცვლად იმისა, რომ მართლმსაჯულებამ დაიცვას მისი უფლებები, პირიქით ორმაგად აზიანებს მას, ეს გამოიხატება თუნდაც იმაში, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას საერთოდ არ არის საჭირო დაზარალებულის თანხმობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კანონში ეს კონკრეტული ნორმა დაზარალებულის უუფლებობასთან დაკავშირებით წარმოადგენს სერიოზულ ხარვეზს, რომელიც საჭიროა დროთა განმავლობაში გადაიხედოს და შეიცვალოს.

თემის სიღრმისეული კვლევისათვის საინტერესო იყო გარკვეული სტატისტიკების მოძიება და გაცნობა აღნიშნულ პრობლემასთან მიმართებით, ნაშრომში განხილული გვექნება საპროცესო შეთანხმების გამოყენების სტატისტიკა საქართველოში, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის თემის აქტუალურობას.

აქედან გამომდინარე, ჩვენი ნაშრომის ამოცანაა, განვიხილოთ ყველა მნიშვნელოვანი და საკვანძო თემა საპროცესო შეთანხმების შესახებ. ვფიქრობთ, რომ საპროცესო შეთანხმება მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომელსაც ბევრი დადებითი მხარე აქვს. ჩვენი მიზანია წვლილი შევიტანოთ ამ თემის უკეთ განხილვასა და მისი პრობლემატიკის უკეთ წარმოჩენაში.

საკვანძო სიტყვები: საპროცესო შეთანხმება, ეფექტური მართლმსაჯულება, ელექტრონულად გაფორმებული, დაზარალებული, სტატისტიკა.

## **Abstract**

This conference paper deals with the institution of plea bargaining in Georgian criminal law. This topic is essentially very relevant, because it has undergone many changes since 1998 before it came to the state we have in the current legislation. The plea agreement is also important in that it is possible for a court to reach a judgment without a substantive hearing. In our opinion, this can also be called an alternative means. It should also be noted that the accused pleads guilty to the crime committed on the basis of the agreement and then an agreement is reached with the prosecutor to make various decisions. It should be noted that plea bargaining has been possible differently since 2020. In a pandemic, when most court hearings have shifted to remote mode, plea bargaining has also gained its importance in terms of electronic bargaining.

Due to its legal nature, plea bargain has many advantages as well as disadvantages. The paper will discuss one of the negative aspects, which is manifested in the victim's unfortunate situation. The focus here will be on the role of the victim in the plea agreement and the victim will be presented as the most disenfranchised party. This situation directly violates the rights of the victim and instead of the judiciary protecting his rights, on the contrary, it harms him doubly, this is reflected in the fact that the consent of the victim is not required at all when concluding a plea agreement. We think that this particular norm in the law regarding the rights of the victim is a serious shortcoming that needs to be revised and changed over time.

For in-depth research of the topic, it was interesting to find some statistics and get acquainted with the mentioned problem, in the paper we will discuss the statistics of the use of plea bargaining in Georgia, which will make the relevance of the topic even more visible.

Therefore, the task of our paper is to discuss all the important and key topics about plea bargaining. We think plea bargaining is a very important institution that has many positive aspects. Our goal is to contribute to a better discussion of this topic and a better presentation of its problems.

Keywords: plea agreement, effective justice, electronically filed, victim, statistics.



## ფემიციდის როგორც გენდერული დისკრიმინაციით მოტივირებული დანაშაულის თავისებურებანი

მანანა ოთარაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

განსახილველი თემა წარმოადგენს გენდერულ თანასწორობის დარღვევას, კერძოდ კი ფემიციდის პრობლემას. გენდერული თანასწორობის მისაღწევად არაერთი წინადადგმული ნაბიჯის მიუხედავად, დღესდღეობით ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთ უნივერსალურ და საჭირობო პრობლემას წარმოადგენს. ამის მთავარი გამომწვევი მიზეზი საზოგადოებაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპული შეხედულებებია, რომელთა მსხვერპლნი ხშირ შემთხვევაში ე.წ. „სუსტი სქესის წარმომადგენლები“ ქალები ხდებიან. თავად ფემიციდი წარმოადგენს გენდერული უთანასწორობისა და ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურეს გამოვლენას. გენდერის ნიშნით ადამიანთა ჩაგვრა, განსაკუთრებით კი ქალების, ყოველთვის იყო, არის და იქნება განსახილველი პრობლემა, მანამ სანამ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დოგმები იარსებებს. სწორედ აღნიშნული საკითხის პრობლემატურობის და აქტუალურობის გამო, ფემიციდის წინააღმდეგ არაერთი სამართლებრივი მექანიზმი შემუშავდა, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფოებმა აიღეს პოზიტიური ვალდებულება დაეცვათ ქალთა უფლებები. არსებულ კონფერენციაში, ფემიციდს განვიხილავ ზოგადად კანონის წინაშე თანასწორობის, უფრო კონკრეტულად კი გენდერული თანასწორობის ჭრილში. ასევე ვისმჯელებ, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე ინტერ-ამერიკული სასამართლო პრაქტიკების შესახებ - რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოების მიერ შემუშავებული რეგულაციების არაეფექტურობას. გარდა ამისა, რელევანტურია განვიხილოთ საქართველოს მიდგომა ფემიციდთან დაკავშირებით. ნაშრომში ასევე განხილული იქნება საქართველოს მიერ წინადადგმული არაერთი პოზიტიური ნაბიჯი, რომელიც საკანონმდებლო დონეზე იქნა შემუშავებული. აღნიშნული საკანონმდებლო რეფორმების მიუხედავად, ფემიციდი, კვლავ აქტუალურობას არ კარგავს და მნიშვნელოვანია ამ საკითხში საზოგადოების აქტიური ჩართულობა, ცნობიერების ამაღლება ფემიციდის შესახებ, რაც სწორედ მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს.

### Abstract

The topic under discussion is the violation of gender equality, in particular the problem of femicide. Despite a number of steps taken to achieve gender equality, violence against women is one of the most universal and pressing issues today. The main reason for this is the stereotypical views formed in the society, the victims of which are often the so-called "Representatives of the weaker sex" become women. Femicide itself is an extreme manifestation of gender inequality and violence against women.

Oppression of people on the basis of gender, especially women, has always been, is and will be a problem as long as stereotypical dogmas exist in society. Due to the problematic and urgency of this issue, a number of legal mechanisms against femicide have been developed, through which states have made a positive commitment to protect the rights of women.

In the current conference, I will discuss femicide in the context of equality before the law in general, and gender equality in particular. I will also discuss both the European Court of Human Rights and inter-American case law Which highlights the ineffectiveness of regulations developed by states. In addition, it is relevant to consider Georgia's approach to femicide. The paper will discuss a number of positive steps taken by Georgia, which have been developed at the legislative level. The paper will discuss a number of positive steps taken by Georgia, which have been developed at the legislative level. Despite these legislative reforms, femicide is still relevant and it is important to actively involve the public in this issue, to raise awareness about femicide, which is the purpose of this paper.

## ტრანსპორტის მოძრაობისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევა

სოფიო მაჩკალოვი,

ალექსანდრა ჯორბენაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

სისხლის სამართალი ეს არის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ის ისევე, როგორც სხვა კოდექსები დაყოფილია კარებად, თავებად და მუხლებად.

ადამიანის სიცოცხლე არ არის აბსოლუტური უფლება და ის შეიძლება ხელყო.

მოცემული ნაშრომის თემა გახლავთ სატრანსპორტო საშუალებით ჩადენილი დანაშაულები. დღეს ალბათ განვითარების მხრივ სულ უფრო იზრდება სატრანსპორტო საშუალების როლი მსოფლიოში, ეს კი იწვევს მათი როლის გაზრდას ყოველდღიურობაში. ყველაზე მეტად კი გამოკვეთილია ავტომობილით ჩადენილი დანაშაულები, რომლებიც ადამიანის სიცოცხლესა თუ ჯანმრთელობას აზიანებს.

სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, თუ რამდენად ხშირია სატრანსპორტო საშუალებით ჩადენილი დანაშაულები, შესაბამისად ჩვენ გვინდა ვისაუბროთ მოცემულ თემაზე. მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება სატრანსპორტო მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევები და მის შედეგები, რაც საკმაოდ საინტერესოა. ვისაუბრებთ ამ მუხლთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე და ხარვეზებზე, რომელიც აღმოსაფხვრელია და შემოგთავაზოთ გადაჭრის გზებს.

საკვანძო სიტყვები: სატრანსპორტო საშუალება, სასამართლო პრაქტიკა.

## Abstract

Criminal law this is one of the most important parts of the law. It, like other codes, is divided into doors, chapters, and articles.

Human life is not an absolute right and it can be violated. The topic of this paper is the crimes committed by means of transport. Today, the role of vehicles in the world is probably growing in terms of development, which leads to their increasing role.

The case law proves how frequent the crimes are committed in traffic , therefore we want to talk about this topic in this paper will discuss traffic safety and operation violations and its consequences, Ways of solving.

Keywords: Vehicle, Case law.

## მოწმის დაკითხვის ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი სისხლის სამართლის პროცესში

მარიამ კაჭახიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება,სისხლის სამართლის პროცესში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს,მოწმის დაკითხვის ტაქტიკურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს,ვინაიდან მოწმის ჩვენება მტკიცებულების ერთ-ერთი რთული სახეა, რომელიც ზოგჯერ ფორმირდება ისეთი ადამიანის განგებაში, რომლებიც ვერ ათვითცნობიერებენ მომხდარს, მაგრამ, ამავე დროს, განსაკუთრებით საჭიროა ობიექტური რეალობის დადგენისათვის.იქიდან გამომდინარე,რომ სისხლის სამართლის საქმეთა არსი დამოკიდებულია სწორ და გამართულ ჩვენებაზე,სწორედ ამიტომ წარმოადგენს მოწმეთა ჩვენების სისწორის დადგენა გამოძიების ერთ -ერთ ინტერესს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მოწმის ჩვენებისას გასათვალისწინებელია ასევე მისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობის ერთობლიობა.მას უნდა ჰქონდეს კარგი დამახსოვრების,აღქმის და გადმოცემის უნარი,რათა ობიექტურად და რეალურად შეძლოს მომხდარის გაანალიზება და შეფასება.

სრული და ობიექტური ჩვენების მიღებისათვის და დიაგნოზის გაკეთებაში მნიშვნელოვანია ტაქტიკური ხერხების შემუშავება და დაკითხვის ინდივიდუალურ - ფსიქოლოგიური

მიდგომის ტაქტიკა, რომელიც ეყრდნობა მოწმის ხედვას. ამისათვის საჭიროა პირი, რომელიც დაკითხვას აწარმოებს კარგად იყოს გათვითცნობიერებული კრიმინალისტიკის, კრიმინოლოგიის, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, სოციოლოგიის, ბიოლოგიის, ნევროლოგიის, ფილოსოფიის, ზოგადი და იურიდიული ფსიქოლოგიისა და ასევე ნეირო-ლინგვისტიკის საკითხებში.

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, ნათლად დავანახო საზოგადოებას მოწმის ჩვენების მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში, თუ რა ოდენ მინიშვნელოვანი ადგილი უკავია მოწმის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას გამოძიების ობიექტურად წარმართვისათვის, რომ შეეცადონ და მიხვდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას და თავი არ აარიდონ ჩვენების მიცემას, მისცენ ზუსტი, მართებული ჩვენება, რათა დაეხმარონ გამოძიებას და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: მოწმე, მოწმის დაკითხვა, ფსიქოლოგიური თავისებურებანი, დაკითხვის ტაქტიკა, სისხლის სამართლის პროცესი.

## Abstract

The article deals with one of the most important issues of criminal proceedings - tactical and psychological features of the interrogation of a witness, whereas the testimony of a witness is one of the most difficult types of evidence that is sometimes formed in the mind of a person who is unaware of what has happened, but, at the same time, it is especially necessary to establish objective reality. Since the essence of criminal cases depends on the correct and proper testimony, therefore, one of the interests of the investigation is to establish the correctness of the testimony of witnesses.

According to the code of criminal Procedure, his testimony must also take into account the combination of his mental and physical abilities. He must have the ability to remember, perceive and transmit well in order to be able to objectively and realistically analyze and evaluate what happened.

To obtain complete and objective evidence and make a diagnosis, it is important to develop tactics and tactics for an individual psychological approach to interrogation, which is based on the vision of a witness. This requires that the person conducting the interrogation be well versed in forensic science, forensic science, in the field of criminal and criminal procedure code, sociology, biology, neurology, philosophy, general and legal psychology, as well as neurolinguistics.

The purpose of my article is to explain to the public the importance of testimonies in criminal proceedings, how important is the information provided by the witness for the objective conduct of the investigation, try to understand your responsibility and not shy away from testifying, give accurate, correct testimony to help in the investigation and administration of fair justice.

keywords: witness, Interrogation of a witness, Psychological features, Interrogation tactics, Criminal process.

## კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის როლი დანაშაულის გახსნაში

გიგა ხატიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

კვლევის მიზანია, კრიმინალისტიკური ფოტოგრაფიის მნიშვნელობის გამოკვეთა. რაოდენ მნიშვნელოვანია მისი როლი დანაშაულის გახსნაში. სტატისტიკა და შედარება სხვადასხვა დროების მიხედვით. გამოკვლევა იმ სტანდარტების, რაც იყო წინა წლებში და რა არის ამჟამად. რა კეთდება იმისათვის, რომ აღნიშნულ საკითხზე მოხდეს უფრო მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბება.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა-საკითხი გახლავთ მნიშვნელოვანი. რაც ჩვენს ქვეყანაში ძალიან აქტუალურია. ხაზი გაესმება პრაქტიკაში აღმოჩენილ ხარვეზებს, გამოიკვეთება საკითხი და მისი აღმოფხვრის გზების შესახებ დასაბუთებული, არგუმენტირებული მსჯელობა იქნება წარმოდგენილი.

კვლევის გავლენა-აღნიშნული საკითხი სამართლებრივად მოწესრიგებაზე ბევრი კვლევები არის ჩატარებული აღნიშნულ თემაზე. თუმცა აქცენტი გაკეთდება საკითხის მნიშვნელობაზე და მის როლზე.

სიახლე და ღირებულება- ბოლო წლებში დანერგილი სიახლეები. მნიშვნელობა საკითხის მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებაზე. პრობლემის მოგვარებისთვის, შესაბამისი გზების ძიება.

### Abstract

The aim of the research is to highlight the importance of forensic photography. How important is his role in uncovering crime. Statistics and comparisons at different times. Examine the standards that Was in previous years and what is now. What is being done to address this issue Set higher standards.

Structure / methodology / approach-issue is important. Which in our country It is very relevant. The gaps found in the practice will be highlighted, the issue will be highlighted and the reasoned reasoning will be discussed.

Impact of the research - there are many researches conducted on this topic. However, the emphasis will be on the importance of the issue and its role.

News and Value - News introduced in recent years. The importance of the issue To set high standards. To solve the problem, appropriate ways Search.

## ქმედების ოჯახში ძალადობად კვალიფიკაციის პრობლემური ასპექტები

მაიკო მარკოიძე,

ანი ხურცილავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ოჯახში ძალადობა აქტუალურა დღევანდელ ცხოვრებაში, სწორედ ამიტომ ხორციელდება მასზე საზოგადოების საუბარი, მისი განხილვა და სამართლებრივი დაინტერესება, რაც იწვევს აღნიშნულის მეტად განვითარებას და დოქტრინალურ მოწესრიგებას.

კვლევის მიზანა გავარკვიოთ უშუალოდ ის პრობლემური საუკითხები, რაც შესაძლოა ოჯახში ძალადობის განხილვის დროს შეგხვდეს.

ნაშრომში უშუალოდ საუბარია ოჯახში ძალადობის კონცეფცია, მასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამიჯნულია სხვა სისხლის სამართლებრივ დანაშაულებთან. განხილულია სასამართლო გადაწყვეტილებები სტამბოლის კონვენციასთან მიმართებით. ოჯახში ძალადობა დოქტრინალური განმარტებით გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დარღვევას უგულვებელყოფით, მასზე ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობით ან/და მისი იძულებით. ამავდროულად განსაზღვრულია შედეგი, რა შეიძლება მოჰყვეს ოჯახში ძალადობას. კერძოდ ეს არის ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ამსრულებელი, რომელიც აუცილებელია იყოს ოჯახის წევრი, რომლის განმარტებაც ნაშრომში ფართოდ არის ახსნილი.

აუცილებელია აღინიშნოს ე.წ სტამბოლის კონვენცია, რომელიც წარმოადგენს ყოვლისმომცველ სამართლებრივ ინსტრუმენტს, რაც ასეა მიჩნეული. მიზანს წარმოადგენს ქალებზე ძალადობის და ოჯახში ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევის მძიმე ფორმის, პრევენცირება და აღკვეთა.

საუბარია ოჯახში ძალადობის სუბიექტურ შემადგენლობაზე, სადაც მითითებულია მოტივი, მიზანი, განზრახვა ოჯახში ძალადობისთვის.

### Abstract

Domestic violence is a topical issue in today's life, which is why it is talked about by the public, discussed and legally interested, which leads to its further development and doctrinal regulation.

The aim of the study was to find out directly the problematic issues that may be encountered during the discussion of domestic violence.

The paper directly discusses the concept of domestic violence, its problems and is separated from other criminal offenses. Judicial decisions regarding the Istanbul Convention are discussed. Domestic violence by doctrinal definition means the violation of the constitutional rights and freedoms of one family member by neglect, physical, psychological, economic or sexual violence and / or coercion. At the same time, the consequences of what can lead to domestic violence are defined. In particular it is physical pain and suffering.

An important issue is the performer, who must be a family member, the definition of which is widely explained in the paper.

It is necessary to mention the so-called Istanbul Convention, which is a comprehensive legal instrument, which is considered so. The goal is to prevent and prevent violence against women and domestic violence as a serious form of human rights violations.

It is about the subjective composition of domestic violence, which indicates the motive, purpose, intention for domestic violence.

## ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა - პრობლემური ასპექტები და მათი გადაჭრის გზები

ნინო ახვლედიანი,

ია სამქანაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოს მოსახლეობის სწრაფმა ავტომობილიზაციამ გაზარდა სატრანსპორტო საშუალებების როლი არსებულ რეალობაში. ავტომობილების რაოდენობის ზრდასთან ერთად, რა თქმა უნდა მოიმატა დანაშაულის რიცხვმაც, რის შედეგადაც ილუპებიან ადამიანები და იღებენ სხვა და სხვა სახის ჯანმრთელობის დაზიანებებს.

სატრანსპორტო დანაშაული სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომლის მიზანი სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო მოძრაობისთვის ხელის შეწყობა და იმ პირთა მკაცრად დასჯაა, რომლებიც არარად აგდებენ ტრანსპორტის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის კანონით დადგენილ წესებს და ზიანს აყენებენ ქვეყნის ეკონომიკას, ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ამ ყველაფრის ფონზე ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ყველა შესაძლო ასპექტს, რაც პრევენციული ხასიათის მატარებელი იქნებოდა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2020 წელს საქართველოში 4 999 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, საიდანაც 137 სიმთვრალით იყო გამოწვეული, რეალურად კი ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვას არ არეგულრებს სისხლის სამართლის კანონმდებლობა. ამავე მონაცემებით ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 450 ადამიანი დაიღუპა.

ხშირ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა საქმეები დანაშაულის აშკარა ნიშნების არსებობისასაც ვერ იგზავნება სასამართლოში, მხოლოდ იმიტომ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია პროცესულური გზით პირის ბრალეულობის დამტკიცება კანონმდებლობაში დაშვებული ხარვეზებისა და შეცდომის გამო.

ნაშრომში განხილულია ავტოსატრანსპორტო დანაშაულისას წამოჭრილი პრაქტიკული საკითხები, ხოლო ჩვენი კვლევის მიზანია დაგანახოთ ხარვეზები არსებულ კანონმდებლობაში და ვისაუბროთ მათი გადაჭრის გზებსა და ხერხებზე.

საკვანძო სიტყვები: ავტოსატრანსპორტო, დანაშაული, ხარვეზები

## Abstract

At the modern stage of development, the rapid automation of the world's population has increased the role of vehicles in the existing reality. With the increase in the number of vehicles, of course, the number of crimes has also increased, resulting in people dying and receiving various kinds of health injuries.

Traffic crime is one of the most important branches of criminal science, which aims to promote the safe movement of vehicles and severely punish those who violate the rules of traffic safety and operation and harm the country's economy, human health and life. Against the background of all this, our legislation does not take into account all possible aspects that would be of a preventive nature.

According to the National Statistics Office, there were 4,999 road accidents in Georgia in 2020, of which 137 were caused by drunkenness, when in fact drunk driving is not regulated by criminal law. According to the same data, 450 people died in a car accident.

In many cases, traffic offenses cases can not be sent to court even if there are obvious signs of a crime, simply because it is practically impossible to prove a person guilty through procedural flaws and errors.

The paper discusses the practical issues raised in traffic offenses, and the purpose of our study is to identify gaps in existing legislation and talk about ways and means to address them.

Keywords: Traffic, Crime, Defects



## სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი

ლუკა ნემსაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ახალი ქართული სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ ძირითად ცენტრალურ ინსტიტუტს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი წარმოადგენს. ცალსახაა, რომ მხოლოდ ამ ერთი პრინციპით არ შემოიფარგლება ჩვენი კანონმდებლობა, თუმცა სახელშეკრულების თავისუფლების პრინციპი მეტად ფართო სპექტრს მოიცავს ურთიერთობებისა. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის დამკვიდრების შედეგად, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეები თავიანთი ნებასურვილის შესაბამისად, უფლებამოსილნი არიან დადონ მათთვის მისაღები ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსიც არ არღვევს მესამე პირთა უფლებებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის ბუნება, აზრი, მისი საკანონმდებლო დეფინირების დანიშნულება და ასევე, მისი მოწესრიგება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში. ყოველივე აღნიშნული კი, ამყარებს მოსაზრებას, რომ მნიშვნელოვანია ამ პრინციპის ყოველმხრივი გამოკვლევა-შესწავლა, აგრეთვე, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ პრინციპში და რა საშუალებებით და ხერხებით უნდა მოხდეს მისი რეალიზება.

აგრეთვე უნდა გვახსოვდეს, რომ სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობებში სახელშეკრულებო თავისუფლება საკუთარი უფლებების დაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. ცალსახა და მნიშვნელოვანია, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის საქართველოს კანონმდებლობაში ჩამოყალიბებას ქართული საბაზრო ეკონომიკისათვის დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით მოცემულ ნაშრომში შევეცდები სიღრმისეულად ვიმსჯელო ყველა იმ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხზე, რაც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს უკავშირდება.

საკვანძო სიტყვები: სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი; ხელშეკრულება; სამოქალაქო; კანონმდებლობა.

### Abstract

One of the main central institutions of the new Georgian Civil Code is the principle of contractual freedom. It is clear that our legislation is not limited to this one principle alone, although the principle of freedom of contract covers a very wide range of relationships. As a result of the establishment of the

principle of contractual freedom, the participants in civil relations, according to their will, have the right to conclude contracts acceptable to them, the content of which does not violate the rights of third parties. Therefore, it is important to determine the nature of the principle of contractual freedom, the meaning, the purpose of its legislative definition and also its regulation in civil legal relations. All of the above reinforces the view that it is important to thoroughly study this principle, as well as what is meant by this principle and by what means and means it should be implemented.

We must also remember that in a contractual legal relationship, contractual freedom is one of the means of protecting one's rights. It is clear and important that the establishment of the principle of contractual freedom in the Georgian legislation can have a great impact on the Georgian market economy.

With all this in mind, in this paper I will try to discuss in depth all the theoretical and practical issues related to the principle of contractual freedom.

Keywords: Principle of contractual freedom; Contract; Civil; Legislation.

## დავალების გარეშე „ასევე“ სხვისი საქმის შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგო შესრულება

მარიამ რუბაშვილი,

ეკატერინე მეთოფიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ვისაუბრებთ კერძო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თემცადა პრობლემატურ საკითხზე, როგორცაა დავალების გარეშე „ასევე სხვისი“ საქმეების შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგო შესრულება. აღნიშნულ ინსტიტუტთან მიმართებით მსოფლიო სამართლის ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს, აღიარებს და პრაქტიკულ გამოყენებასაც სძენს „Negotiorum Gestio“-ს, თუმცადა ზოგიერთი, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ დოქტრინალურ დონეზე განამტკიცებს ამ სისტემას, რის გამოც ის ნაკლებად გამოყენებადია სამოსამართლო პრაქტიკაში. აღნიშნული პრობლემატიკიდან გამომდინარე ვეცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია ყველა ის პრობლემა, რის საფუძველზედაც განსახილველმა ინსტიტუტმა ვერ მოახერხა პრაქტიკაში დამკვიდრება, შესაბამისად პრობლემის უკეთ გასააზრებლად გამოვიყენეთ სისტემური კვლევის მეთოდი, ასევე შედარებით- სამართლებრივი მეთოდი და ერთმანეთს დავუპირისპირეთ ქართული და გერმანული სასამართლო პრაქტიკა „ასევე სხვის“ საქმესთან მიმართებით.

## Abstract

Within the bounds of the presented paper, we will talk about one of the most essential, although very problematic issues in the world civil law, such as “Negotiorum Gestio” (which can be translated as “management of affairs without mandate”). There exist many different views in the world law literature regarding this institution. The legislation of some countries recognizes and puts “Negotiorum Gestio” into practice, although there are some, including Georgian legislation, where this system remains on a doctrinal level only and that makes it less utilized in judicial practice. Due to this problem, the main accent of the paper will be on all the problems, on the basis of which stated institution couldn’t establish in practice. In accordance with that, in order to highlight the problematic nature of the stated issue, we used systematic research method as well as a comparative-legal method and set Georgian and German judicial practice off against each other regarding Negotiorum Gestio.

## აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საკუთრების ჩამორთმევის მართლზომიერებასთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები

გიორგი ხომასურიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში დღეს უკვე ყველა თანხმდება, რომ კერძო საკუთრება საბაზრო ეკონომიკის, სტაბილური სამოქალაქო ბრუნვისა თუ უბრალოდ ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების უპირობო საფუძველია. ამასთან, საკუთრების უფლების რეალატიური ხასიათი და მისი მაღალი სოციალური ფუნქცია, ხშირად გარდაუვალს ხდის კონფლიქტს კერძო და საჯარო ინტერესებს შორის, რის შედეგადაც, სახელმწიფო იძულებული ხდება ჩაერიოს საკუთრების უფლებაში, ისეთი უკიდურესი ფორმით, როგორც ექსპროპრეაციაა. წინამდებარე ნაშრომშიც დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზზე დაყრდნობით განხილულია ექსპროპრეაციის, როგორც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე საკუთრების ჩამორთმევის, მართლზომიერების არაერთი მნიშვნელოვანი თუ პრობლემური საკითხი.

ნაშრომის მიზანია ექსპროპრეაციის ძირითადი ფორმების იდენტიფიცირება, ექსპროპრეატორის როლის შემთავსებელი სუბიექტებისა თუ ექსპროპრეაციის ობიექტის განსაზღვრა. კვლევის არსებითი ნაწილი ასევე მიმოიხილავს ლეგიტიმური საჯარო მიზნისა და ადეკვატური, სამართლიანი კომპენსაციის მნიშვნელობას; შემოთავაზებული იქნება

ექსპროპრეაციის მართლზომიერებისათვის აღნიშნული უპირობო წინაპირობების ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციისა და საკანონმდებლო ვაკუუმის დაძლევის შესაძლო გზები.

საკვანძო სიტყვები: საკუთრების უფლება, ექსპროპრეაცია, ექსპროპრეაციის სახეები, ექსპროპრეაციის ობიექტი, ლეგიტიმური საჯარო მიზანი, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურება.

## Abstract

In the modern world today, everyone agrees that private property is the unconditional basis for a market economy, a stable civil turnover or simply the formation of a civil society. At the same time, the relative nature of property rights and its high social function often make conflicts between private and public interests; As a result, the state is forced to intervene in property rights, in such extreme forms as expropriation. Based on the analysis of doctrine and case law, this paper also discusses a number of important or problematic issues of expropriation as a deprivation of property due to necessary public needs. The aim of the paper is to identify the main forms of expropriation, to identify the object or the subjects of expropriation that play the role of expropriator. An essential part of the research also reviews the importance of a legitimate public purpose and adequate, fair compensation; in the paper Will be proposed, Possible ways of harmonizing the preconditions for the legitimacy of expropriation with European standards and overcoming the legislative vacuum.

Keywords: property right, expropriation, types of expropriation, object of expropriation, legitimate public purpose, advance, full and fair remuneration.

## ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა - თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

ანუკი გელაშვილი,

საბა პეტრიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოს განვითარების კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო კომპლექსური ხდება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობები. მეცნიერების თანამედროვე მიღწევები ხელშემკვრელ მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, მხარეთა თანასწორობისა და ნების ავტონომიის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე, ხელშეკრულებით განსაზღვრონ ისეთი სახის ვალდებულებები, რომელთა განხორციელებაც აქამდე საზოგადოებას

შეუძლებლად მიაჩნდა. ქართულ სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია ხელშემკვრელ მხარეთა შორის ვალდებულების შესრულებასთან და მის შეუძლებლობასთან დაკავშირებული დავები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით აქტუალური ხდება მსოფლიოს დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით მაშინ, როდესაც გლობალური პანდემიის გავრცელებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია არაერთი წამყვანი ქვეყნის ეკონომიკაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, საფუძველი გახდა ბიზნეს-საქმიანობის შენელებისა და შემდგომში გამოიწვია ყურადღების გაზრდა ბიზნესიდან მომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებებსა და ამ ვალდებულებების შესრულების უუნარობაზე. ასეთ პირობებში, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებობდეს ისეთი სამართლებრივი სისტემა, რომელიც შეძლებს მსგავსი შემთხვევების სწორ და სამართლიან რეგულირებას.

თანამედროვე იურიდიულ დოქტრინაში შესრულების შეუძლებლობის შემთხვევებთან დაკავშირებით შესაძლებელია, ორი ძირითადი მოდელის გამოყოფა - გერმანული სამართლის ოჯახის მართლწესრიგში დამკვიდრებული პრაქტიკა და რომაულ სამართალთან უფრო ახლოს მდგარი მართლწესრიგის მქონე სახელმწიფოთა მიდგომა, რომლებიც ერთმანეთისგან მკაფიოდ განსხვავებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს წარმოადგენენ.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგია, თუმცა შესრულების შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმები გერმანიის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სისტემური მოწესრიგებისაგან აქ მნიშვნელოვნად განსხვავდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის საკითხი არასისტემატიზირებულია და გამომდინარეობს სხვადასხვა მუხლის შემადგენლობიდან, რაც, საბოლოო ჯამში, ზრდის კანონის ანალოგიის გამოყენების საჭიროებას და სამართალშემფარდებელს აძლევს ნორმათა ფართო ინტერპრეტირების შესაძლებლობას იმ მასშტაბით, რომ სასამართლო პრაქტიკაში ყალიბდება შესრულების შეუძლებლობისა და ფორს-მაჟორის სამართლებრივი ინსტიტუტების აღრევის გაუმართლებელი საფრთხე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დღეს არსებული შესრულების შეუძლებლობის მომწესრიგებელი ნორმების სისტემური და ტელეოლოგიური განმარტება ცხადყოფს, რომ ქართულმა კერძო სამართლის დოქტრინამ უნდა აირჩიოს შესრულების შეუძლებლობის გერმანული მოდელი. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნულ ნორმათა სისტემური მოწესრიგება, შესრულების შეუძლებლობის სახეების განსაზღვრა და შესაბამის სამართლებრივ შედეგებზე მკაფიო მითითება, რაც მთლიანობაში გამოკვეთს ფორს-მაჟორის სამართლებრივი ინსტიტუტის ადგილს ქართულ კანონმდებლობაში. ამ უკანასკნელის განხორციელების შემთხვევაში, მალევე ამკარა გახდებოდა ზემოგანხილულ ორ ძირითად სამართლებრივ კონსტრუქციას შორის განსხვავება, რაც ხელს შეუწყობდა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და მის უსაფრთხოებას.

საკვანძო სიტყვები: შესრულების შეუძლებლობა, ფორს-მაჟორი, გერმანული სამართლის დოქტრინა, დაუძლეველი ძალა.

---

## Abstract

The development of the modern world stipulates the contractual relations' complexity. Scientific achievements enable parties, on the bases of equality and contractual autonomy principles, to specify by agreement obligations which was considered impossible in society for a long period of time. Disputes between the parties regarding the performance of the obligation and its impossibility are quite frequent in Georgian court practice. Due to the global spread of corona virus, which indeed caused the slowdown of business activities and led to the impossibility of contractual performance, the letter became even more actual in Georgian reality. In such circumstances, it is fundamentally important to have a legal system that can handle such cases properly and fairly.

Modern legal doctrine establishes two main models in terms of the impossibility of contractual performance - the well-established practice in German law and the approach of Roman law, which is clearly different legal institution.

The Civil Code of Georgia is a result of the reception of German law. However the norms regulating the impossibility of contractual performance differ significantly from the systematic regulations defined by the German one. The articles in the civil code of Georgia, which stipulates the matter are unsystematised and derives from the content of various German civil code paragraphs that ultimately increases the need to use the analogy of law, which is risky for legal proceeding and causes unjustified confusion of those two models in one legal system.

The systematic and teleological definition of Georgian Civil Code articles shows that the Georgian doctrine of civil law must choose the German model in terms of the impossibility of contractual performance. Therefore, it is necessary to systematically regulate mentioned norms and clearly indicate the relevant legal consequences of them, which will outline the place of the force-majeure institution in the Georgian legislation. If the latter were accomplished, the difference between the two basic legal constructions mentioned above would soon become apparent, which would contribute to the civil stability and its security.

keywords: impossibility of contractual performance, force-majeure institution, Georgian legislation, german legal doctrine

## საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის როლი უძრავ ნივთზე საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენისას (შედარებით-სამართლებრივი კვლევა)

გიორგი ასლამაზიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა დემოკრატიული საზოგადოების არსებობის აუცილებელი წინაპირობაა. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა შეუფერხებლად განხორციელებასა და მათ სათანადოდ დაცვას სამოქალაქო ბრუნვის სიმყარისა და სტაბილურობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

თითოეული სანივთო უფლების არსებობა, ასევე ამ უფლების დანიშნულებისა და ფუნქციის სრულყოფილად განხორციელება რეგისტრაციის ინსტიტუტის გამართულ ფუნქციონირებაზე დამოკიდებული, რადგან, საჯარო რეესტრში ჩანაწერის არსებობა, რეგისტრაციის ფაქტი მესაკუთრისა და შესაბამისი სანივთო უფლების მფლობელისათვის წარმოადგენს იმის გარანტს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს მისი უფლებების ჯეროვან დაცვას, რისი მიღწევაც შესაძლებელია სრულყოფილი სარეგისტრაციო სისტემის შექმნით.

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საქართველოში მოქმედი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის სისტემა, ვერ უზრუნველყოფს რეგისტრაციას დაქვემდებარებული უფლებების სათანადო დაცვას. ამ უფლებათა დაცვის თვალსაზრისით პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რეგისტრაციის პროცესში რეგისტრაციის წარმოების კანონიერების პრინციპი არ არის რეალიზებული. რასაც ემატება ის გარემოებაც, რომ მოქმედი კანონმდებლობა შეუსაბამოდ ავიწროებს საჯარო რეესტრის წარმოებისას რეგისტრაციის მწარმოებელი პირის პასუხისმგებლობის ფარგლებს, რაც განაპირობებს ამ უფლებათა დაცვის ხარისხის დაკნინებას.

„საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას.“ არსებითად განსხვავებული გარემოებები არ უნდა ქმნიდეს განსხვავებულ მოპყრობებს და შესაბამისად საჯარო რეესტრში არსებული ჩანაწერი უნდა იყოს სანივთო უფლების მფლობელი პირის შესაბამისი უფლების დაცვის გარანტია.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საკუთრების უფლების, როგორც არააბსოლუტური უფლების ჭრილში განხილვა და მისი შეზღუდვის გამართლების განხილვა კეთილსინდისიერი შეძენის ინტიტუტთან მიმართებით, როცა „სამართალი დგება არჩევანის წინაშე მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შეძენის ორი თანაბარმნიშვნელოვანი ინტერესის არსებობისას, იპოვოს გზა მათი ინტერესების დაბალანსებისა.“ ძირითადი აქცენტი გაკეთებულია, კეთილსინდისიერი შეძენისას საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციის

როლის, როგორც მტკიცების პროცესის გამარტივებისა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის, სიმარტივის გარანტიის ფუნქციის წარმოჩენაზე.

საკითხის განხილვისას ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნება უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე-საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ასევე ხაზგასმულია უძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შეძენისას ინტერესთა დაბალანსების კუთხით სახელმწიფოს ჩართულობისა და მისი როლის გაზრდის საჭიროება. მსჯელობა და რეკომენდაციები ძირითადად განვითარებულია სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო ნაშრომების კვლევის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: საჯარო რეესტრი, კეთილსინდისიერი შეძენი, უძრავი ნივთი, მფლობელი.

## **Abstract**

Stability of civil turnover is a necessary precondition for the existence of a democratic society. The smooth exercise of real estate rights and their proper protection are crucial to the strength and stability of civil turnover.

The existence of each property right, as well as the full implementation of the purpose and function of this right, depends on the proper functioning of the registration institution, because the existence of an entry in the public register, the fact of registration guarantees that the state ensures due protection of its rights. By creating a registration system.

Based on the research, it was revealed that the real estate registration system operating in Georgia fails to ensure proper protection of the rights subject to registration. The problem with the protection of these rights is the fact that the principle of legality of registration is not realized in the registration process. Add to this the fact that the current legislation inappropriately narrows the scope of liability of the person producing the registration in the maintenance of the public register, which leads to a decline in the quality of protection of these rights.

""The exercise of property rights must not infringe on the rights and freedoms of others, while the enjoyment of property must at the same time serve the common good.""

The purpose of this paper is to consider property rights as non-absolute rights and to justify its limitation in relation to the institution of a bona fide purchaser. The role of the presumption of the authenticity and completeness of the register as a guarantee of simplicity as a simplification of the assertion process and the stability of civil turnover.

The focus of the issue will be on the case law of the Supreme Court and the decision of the Constitutional Court of October 17, 2017 - Nodar Dvali, a citizen of Georgia v. Parliament of Georgia, also emphasizes the need to involve the state and increase its role in balancing the purchase of real estate. Reasoning and recommendations are mainly developed on the basis of case law and research papers.

Keywords: public registry, bona fide purchaser, real estate, owner.



## ქირავნობის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რისკები გამქირავებლის პერსპექტივიდან

მარიამ ბოხუა,

ანა იმნაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ქირავნობის ხელშეკრულება ბოლო პერიოდში ქართულ საზოგადოებაში ერთ-ერთ განხილვად საკითხად იქცა, რაც გამოიწვია მისმა პოპულარობამ, რადგან იგი დამატებითი შემოსავლის წყაროსწარმოადგენს. ქირავნობის ხელშეკრულება გვევლინება როგორც საკუთრების უფლების თავისუფალი განკარგვის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მერვე მუხლის მეხამე ნაწილი განამტკიცებს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი. მიუხედავად, ამისა, კონტრაქტები არ არიან დაცულნი სამართალურთიერთობასთან დაკავშირებული რისკებისგან, ამიტომაც ხელშეკრულების დადებამდე მხარემ უნდა გაითვალისწინოს ის „საფრთხე“, რაც მეორე მხარის არაკეთილსინდისიერ მოქმედებას შესაძლოა თან ახლდეს. უძრავი ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების მაგალითზე გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი: მიუხედავად გამქირავებლის ხელშეკრულების მოშლის სურვილისა, იგი ვერ სარგებლობს საკუთრებით საუკეთესო შემთხვევაში მხოლოდ სამი თვით, ხოლო მოვალის მიერ წინააღმდეგობის გაწევისას სასამართლო პროცესის დასრულებამდე. 2016 წლამდე პირს პოლიციის დახმარებით შეეძლო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთა, თუმცა პოლიციის ინსტიტუტს სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობების პირობებში გამოსახლების უფლებამოსილება გამოაკლდა. გამომდინარე აქედან, გამქირავებელს საკუთარი უფლების დაცვა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის გზით შეუძლია. აღნიშნული კი სასამართლოთა გადატვირთულობის გამო დიდ დროსთან არის დაკავშირებული, რითაც გამქირავებლის კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლება ირღვევა.

საკვანძო სიტყვები: ქირავნობის ხელშეკრულება, გამქირავებელი, ხელშეკრულების მოშლა.

## Abstract

Nowadays in Georgia Rental agreement is one of the most discussed subject, as it is seen as an additional way of income. Rental agreement is expression of right to property, freedom of dispose of a person's lawfully acquired possessions.

Georgian civil code article 8.3 determinates the principle of good faith: "Participants in a legal relationship shall exercise their rights and duties in good faith." Despite that contrahent is not protected from the risks of legal relations. For this reason, before entering into a contract both parties must take into consideration "danger", that can be caused by the other party's action against good faith. For example, in rental agreement of immovable thing should pay attention to several factors: despite the will termination of the contract landlord can't use the property at best only for three months, but if obligator resists, until the court decision is made. Before 2016 a person could prevent the encroachment or otherwise obstruction of immovable property by the police force, but as for now police don't have the entitlement of eviction anymore. In conclusion, the landlord can protect his/her rights only in court. As the court is reloaded it takes a long time to make a decision on a case which causes the breach of constitutional right of private property

Key words: rental agreement, landlord, breach of contract.

## საარსებო მინიმუმისა და სოციალურ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ქონების ხელშეუხებლობა

ირაკლი ფერაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

ყადაღისაგან განთავისუფლდება ის შემოსავალი, ხოლო გადახდევინებისაგან განთავისუფლდება ის ქონება, რომელიც საარსებო მინიმუმზე ნაკლებია“

სააღსრულებო წარმოებაში, სადაც დღითიდღე იზრდება მოთხოვნა, კერძო თუ საჯარო სექტორიდან, ხშირია შემთხვევები, როდესაც წარმოების დაწყება უნდა მოხდეს სუბიექტზე რომლის შემოსავალიც უთანაბრდება ან ნაკლებია საარსებო მინიმუმზე. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც მოვალე მხარედ გვევლინდება პირი, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურ მონაცემთა ბაზაში.

მოცემული ნარკვევის მთავარი მიზანია, ვისაუბრო იმ აქტუალურ თემაზე, რომელიც სწორედ საარსებო მინიმუმისა და სოციალურ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ქონების

ხელშეუხებლობას შეეხება სააღსრულებო წარმოების პროცესში. ნაშრომის განმავლობაში მინდა ხაზი გავუსვა ისეთ გარემოებებს, როგორცაა სამართლებრივი საფუძვლები მსგავსი ტიპის გარემოებებზე.

სამართლებრივი საფუძვლების არსებობა/არარსებობის გარდა მნიშვნელოვანია ეს ყოველივე განვიხილოთ მორალური ასპექტებიდან გამომდინარე, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც, რეალურად არ არსებობს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც პირდაპირ მოაწესრიგებენ ამ კონკრეტულ შემთხვევებს.

მაშინ როდესაც ვსაუბრობთ, რომ არ გვაქვს კონკრეტული სიტუაციის მომწესრიგებელი ნორმები, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამხვილოთ და დეტალურად განვიხილოთ სასამართლოს პრაქტიკული მიდგომები ამ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც რეალურად განსაზღვრავს იმას თუ რა ბედი ეწევა, როგორც მოვალეს, ვის მიმართაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს გამოიყენებს თუ არა ყადაღას ქონებაზე, რაც არის ამ პიროვნების (მოვალე) არსებობისათვის უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი, ისე კრედიტორის, რომლის ინტერესსაც წარმოადგენს ვალის გადახდევინება იძულებითი აღსრულების წესით.

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ჩამოყალიბებულმა პრაქტიკამ, საარსებო მინიმუმსა და სოციალურ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ქონებაზე ყადაღის დადებასა და მის რეალიზაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი, გარდამტეხი როლი იქონია მსგავსი პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, რაც ძალიან კარგად ჩანს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში.

ნაშრომის დასკვნით ეტაპზე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის თუ რა მნიშვნელობის მატარებელი სასამართლოსა და სამართლის მეცნიერების მიდგომები ამ საკითხთან მიმართებაში, როგორია რეალური სურათი და რა გამოწვევების წინაშე დგას ამ პრობლემის მქონე ადამიანები.

საკვანძო სიტყვები: სააღსრულებო წარმოება, საარსებო მინიმუმი, სოციალურ მონაცემთა ბაზა, სასამართლო, სასამართლო პრაქტიკა, იძულებითი აღსრულება, აღსრულების დაუშვებლობა.

## Abstract

"Income will be released from seizure, and property that is less than the subsistence level will be released from payment"

In enforcement proceedings, where the demand is growing day by day, from the private or public sector, there are frequent cases when the proceedings must be initiated on an entity whose income is equal to or less than the subsistence level. There are also frequent cases when a debtor is a person registered in a social database.

The main purpose of this essay is to talk about the current topic, which is the inviolability of the subsistence minimum and the property registered in the social database in the process of enforcement

proceedings. Throughout the paper I would like to highlight circumstances such as the legal basis for similar types of circumstances.

In addition to the existence / absence of a legal basis, it is important to consider all of this from a moral point of view, especially when there are, in fact, no legal norms that directly regulate these specific cases.

When we say that we do not have norms to regulate a specific situation, it is important to pay attention and discuss in detail the practical approaches of the court in these matters, which actually determine what happens to the debtor, against whom the court must decide whether to seize property, which is the most important and necessary for the existence of this person (debtor) is the creditor, whose interest is to repay the debt through enforcement.

The practice established by the common courts of Georgia in seizing the subsistence minimum and property registered in the social database and its sale has played an important, turning role in resolving such problematic issues, which can be clearly seen in the information provided by the National Bureau of Enforcement.

At the final stage of the paper, we must mention the importance of court and legal science approaches to this issue, what is the real picture and what are the challenges faced by people with this problem.

keywords: Enforcement proceedings, subsistence minimum, social database, court, case law, enforcement, inadmissibility of enforcement.

## საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ზრდის დინამიკა საქართველოში: ტერიტორიული განაწილებისა და ასაკობრივი ჯგუფების შესწავლის მაგალითზე

ირაკლი ლეონიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობას და ნებაყოფლობას, რაც შესაძლოა უფლებრივ ფიქციად გადაიქცეს მაშინ, როდესაც მოქალაქეები ამ უფლების განხორციელების შედეგად მატერიალური სიდუხჭირის წინაშე აღმოჩნდებიან. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური ჩანაწერი ქორწინების უფლების, დედათა და ბავშვთა უფლებების შესახებ ვერ უზრუნველყოფს ოჯახების დაცვას მატერიალური სიდუხჭირისგან,

რადგან ამ ჩანაწერს სამართლიანი და სოციალური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი მწყობრი სისტემის მქონე დახმარების საფუძვლები არ გააჩნია.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია სოციალური დახმარების სისტემის ჩამოყალიბებით მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა, ხოლო სოციალური დახმარების ერთ-ერთ სახეს საარსებო შემწეობა წარმოადგენს, რომლის მოთხოვნის უფლება აქვს ოჯახს, თუმცა არსებული საკანონმდებლო რეგულირება ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნის უფლების მქონე ოჯახების მიმართვის შედეგად ჩამოყალიბებული დინამიკის შესწავლას და ორიენტირებულია მიმართვის შემდგომ პროცესზე. საქმისწარმოების ეს წესი ვერ აღმოფხვრის ოჯახების მატერიალურ სიდუხჭირეს საქართველოში.

საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მე-2 თავში ადგენს ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ნორმატიულ რეგულირებას, თუმცა თუ კონსტიტუციური უფლების მიმართ იარსებებს სულ მცირე, ეფექტურობისა და ქმედითობასთან დაკავშირებული კითხვის ნიშნები მაშინ, ბავშვის უფლებათა კოდექსის შედეგად დადგენილი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ასევე, მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური ჩანაწერი იქნება.

ნაშრომის კვლევის მიზანია თითოეული საკვლევი წლის (2020, 2021, 2022 წლის პირველი ნახევარი) მაჩვენებლის შესაბამისად დადგინდეს დინამიკის კონტროლის მოდელი, რათა ზრდის მაჩვენებლის გამომწვევი ფაქტორების დასადგენად უფლებამოსილი ორგანო ოჯახის მიმართვის ძირითად საფუძვლებში გაერკვიოს და არა მხოლოდ საფუძვლების შესაბამისობაში კანონმდებლობასთან. მონაცემების დაყოფა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა საკვლევი არეალით. მაგალითად, არჩევნებს შორის არსებული დროითი მონაკვეთებით და კრიტიკულად მნიშვნელოვანი მოვლენებით, რაც გავლენას ახდენს დინამიკის ცვლილებაზე: ზრდის ან კლების თვალსაზრისით.

2020 წელს საქართველოში გავრცელებული და დღემდე მიმდინარე კოვიდ-19 პანდემიით განპირობებულმა უარყოფითმა შედეგებმა გამოიწვია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების საერთო რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა. დინამიკის შესწავლისა და ეფექტური კონტროლის განუხორციელებლობის შემთხვევაში არსებობს საფრთხე რომ ზრდის მაჩვენებელი კრიტიკულად შეუქცევად ხასიათს მიიღებს. ამდენად, თითოეული სტატისტიკული მონაცემის უკან არის ოჯახი, რომელიც განიცდის უკიდურეს მატერიალურ სიდუხჭირეს და სჭირდება შემწეობა არსებობისთვის.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს კონსტიტუცია, ოჯახი, ბავშვი, საარსებო შემწეობა, პანდემია, სიღარიბე.

## Abstract

Due to the Constitution of Georgia, marriage is a union between a man and a woman for the purpose of founding a family based on the legal equality and free will of the spouses, which may turn into a formal

fiction when citizens face material hardship as a result of this right. Obvious that the constitutional article on the right to marriage, the rights of mothers and children does not guarantee the protection of families from material hardship, because this norm has no basis for assistance with an important system.

The purpose of the Law of Georgia on Social Assistance is to provide fair, targeted and effective assistance to people by developing a regulated system of social assistance. It's important to study the dynamics and focus on the post-appeal process. This rule of case management cannot eliminate the material poverty of families in Georgia.

Law of Georgia “Code of the Rights of the Child” regulates the basic rights of the child, but if there are at least questions about the effectiveness of the constitutional right, then the basic rights and freedoms established by of the child are only a formal definition.

The aim of the research is to determine the dynamics control model for each indicator for each study year (2020, 2021, 2022), so that the body authorized to determine the factors causing the growth rate understands the basic principles of family appeal and not just compliance with legislation. Data sharing can be done in different study areas. For example, with time intervals between elections and critically important events.

The negative consequences caused by the Covid-19 pandemic that spread in Georgia in 2020 and are still ongoing, led to an increase in the unified database of socially vulnerable families and an increase in the total number of families receiving subsistence benefits. If the dynamics are not studied and effective control is not exercised, there is a danger that the growth rate will become critically irreversible. Thus, behind each statistic is a family that is experiencing extreme material hardship and needs an allowance to survive.

Keywords: Constitution of Georgia, Family, Child, Subsistence Allowance, Pandemic, Poverty.

## სამართლიანობა, როგორც მრავალასპექტიანი მოვლენა და სამართლის ერთგვარი ფუნდამენტი

ნიკა ხორავა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

ადამიანთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სამართალი სამართლიანობის მისაღწევად შეიქმნა და სამართალი არაფერია, თუ არა თავად სამართლიანობა. სამართლის მეცნიერებას მუდამ აინტერესებდა სამართლიანობის პრობლემა, თავისი დროის ისეთი ცნობილი მოაზროვნე, როგორცაა ულპიანე აღნიშნავდა, რომ „ იურისპრუდენცია არის მეცნიერება სამართლიანისა

და უსამართლოს შესახებ“, ხოლო ცელსიუსი მიიჩნევდა, რომ „სამართალი არის სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნება“. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი სამართალი პირველ რიგში განსაზღვრავს ისეთ ფუძემდებლურ ღირებულებას, როგორც სამართლიანობაა. სამართლიანობის განსაზღვრა წარმოუდგენელია ისეთი სუბიექტის გარეშე, რომელიც შეაფასებს კონკრეტულ მოვლენასა თუ ქმედებას სამართლიანად ან უსამართლოდ. არ შეიძლება სივრცეში არსებული საგანი ( ქვა, ხე, მზე და ა.შ.) იყოს სამართლიანი, ან უსამართლო. სწორედ ამიტომ სამართლიანობის განსაზღვრისას არსებითია განვითარებული ინტელექტის მქონე ცოცხალი ორგანიზმის, ადამიანის, არსებობა. თუმცა , თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია და გააჩნია განსხვავებული შეხედულება ამა თუ იმ ქცევის მიმართ, კონტრეტული ქცევა ერთი ადამიანისთვის შეიძლება სამართლიანი იყოს, ხოლო მეორესთვის უსამართლო, რაც შესაბამისად განაპირობებს იმას, რომ სამართლიანობა წინააღმდეგობრივი და მრავალასპექტიანი მოვლენაა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სამართლიანობისა და სამართლის ურთიერთკავშირის განხილვა, იმის განსაზღვრა თუ რას წარმოადგენს და საიდან ყალიბდება სამართლიანობა, რამ განაპირობა სამართლის, როგორც ერთგვარი კონსტრუქციის შექმნა და იმ კრიტერიუმების გაანალიზება, რომელთა მეშვეობითაც ხდება სამართლიანობის შეფასება.

საკვანძო სიტყვები: სამართალი, სამართლიანობა, იურისპრუდენცია, მეცნიერება, სამართლიანობის ხელოვნება.

## Abstract

Most people believe that law was created to achieve justice and that law is nothing but justice itself. Jurisprudence has always been interested in the problem of justice, with prominent thinkers of his time such as Ulpiane saying that "jurisprudence is the science of justice and injustice," while Celsius believed that "law is the art of goodness and justice." Consequently, it can be said that the term law primarily defines such a fundamental value as justice. Determining justice is unthinkable without a subject who evaluates a particular event or action fairly or unfairly. An object in space (stone, tree, sun, etc.) can not be fair, or unfair. That is why the existence of a living organism, a human being with a developed intellect, is essential in determining justice. However, each person is an individual and has a different view of this or that behavior, a particular behavior may be fair to one person and unfair to another, which consequently implies that justice is a contradictory and multifaceted phenomenon.

The purpose of this paper is to discuss the relationship between justice and law, to define what constitutes and where justice is formed, what led to the creation of law as a kind of construction, and to analyze the criteria by which justice is assessed.

Keywords: Law justice, jurisprudence, science, art of justice.

## კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო სავალდებულო ვაქცინაციის ლეგიტიმურობა საერთაშორისო სამართლის მიხედვით

ანა ჩხეიძე,

ელისაბედ აფაქიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის პერიოდში, კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებთან დაკავშირებული მისინფორმაციისა და დეზინფორმაციის გავრცელება, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში ვაქცინაციასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი პოზიციების მიზეზი გახდა.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, განსაკუთრებით რეზონანსული აღმოჩნდა სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების საკითხი და ეს გარკვეულ წრეებში იმთავითვე ადამიანის უფლებათა დარღვევად შეფასდა. მაგალითად ასეთი იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პოზიცია, რომლის თანახმადაც, სავალდებულო ვაქცინაცია პაციენტის შესახებ უფლებების კანონს დაარღვევდა, რომლის მიხედვითაც, „სამედიცინო ინტერვენცია შეიძლება შესრულდეს მხოლოდ პაციენტის ნებართვით და გადაწყვეტილებით“, თუმცა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონის მე-5 მუხლი სწორედ რომ ამის საპირისპიროზე მიუთითებს.

მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2021 წლის გადაწყვეტილებით საქმეზე ვავრიჩკა და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ ბავშვთა სავალდებულო ვაქცინაციის პროგრამა დასაშვებად იქნა ცნობილი, მიუხედავად იმისა, ამით კოვიდ-19-ის ვაქცინასთან დაკავშირებით საკითხი არ არის გადაჭრილი, შეიძლება ითქვას, რომ ვავრიჩკას საქმე იქცა ერთგვარ პრიენტირად სავალდებულო ვაქცინაციის საკითხზე სამართლებრივი მსჯელობისთვის.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სავალდებულო ვაქცინაციის შეჩერებასთან დაკავშირებით საფრანგეთისა და საბერძნეთის წინააღმდეგ განაცხადებზე - *Abgrall and 671 Others v. France*, *Kakaletri and Others v. Greece* და *Theofanopoulou and Others v. Greece*, სადაც განმცხადებლები სახელწიფოს ედავებიან სიცოცხლის უფლების და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების თუ დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევაში, დროებითი ღონისძიების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს.

წინმდებარე ნაშრომის მიზანია, ევროსასამართლოს პრაქტიკასა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პოლიტიკის მიხედვით განსაზღვროს, რას არის სავალდებულო ვაქცინაცია და რა წინაპირობები აქვს მას. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის



ანალიზის საფუძველზე ვიმსჯელებთ კოვიდ-19-ის სავალდებულო ვაქცინაციის დაწესების სამართლებრივ შეფასებაზე და ხსენებული საქმეების მოსალოდნელ შედეგებზე.

ასევე ნაშრომში განხილულია საქართველოს კანონმდებლობის მიდგომა სავალდებულო ვაქცინაციასთან დაკავშირებით, საკანონმდებლო სივრცის მზაობა და ხარვეზები.

საკვანძო სიტყვები: სავალდებულო ვაქცინაცია, სამედიცინო ინტერვენცია, პაციენტის ჯანმრთელობა, სიცოცხლის უფლება, პირადი ცხოვრების დაცულობის უფლება, დისკრიმინაცია.

## **Abstract**

During the Covid-19 pandemic, the spread of misinformation and disinformation about Covid-19 vaccines has led to differing views on vaccination in different sections of society.

In many countries, including Georgia, the issue of mandatory vaccination was particularly resonant, and it was considered a human rights violation from the very beginning. For example, such was the position of the Ministry of Health of Georgia, according to which compulsory vaccination would violate the Law on Patients' Rights, according to which "medical intervention can be performed only with the patient's permission and decision", although Article 5 of the Public Health Law indicates the opposite.

Since the 2021 ruling of the Grand Chamber of the European Court of Human Rights on the case *Vavrička and Others v. the Czech Republic* declared compulsory vaccination of children admissible, although this does not resolve the issue of the Covid-19 vaccine, it can be said that *Vavrička's* case has become a kind of landmark for the legal discussion and reasoning of mandatory vaccination.

It should also be noted that the European Court of Human Rights in its applications for suspension of compulsory vaccination against France and Greece - *Abgrall and 671 Others v. France, Kakaletri and Others v. Greece and Theofanopoulou and Others v. Greece*, where applicants allege a violation of the right to life and privacy or the prohibition of discrimination by the State, does not meet the requirements of the interim measure.

The purpose of this paper is to follow the case law of the European Court of Human Rights and the policy of the World Health Organization to

define what is mandatory vaccination and what are the prerequisites for it.

Also, based on the analysis of the case law of the European Court of Human Rights, we will discuss the legal assessment of the establishment of compulsory vaccination of covid-19 and the expected outcomes of the mentioned cases.

The paper also discusses the approach of Georgian legislation regarding compulsory vaccination, the readiness of the legislation space and its shortcomings.

Keywords: Compulsory vaccination, medical intervention, patient health, right to life, right to privacy, discrimination.

## სამართლიანობა სამართლის ფილოსოფიაში

ეკა ვარდიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

სამართალმცოდნეობის კვლევის საგანია „სამართალი“. იმისათვის რომ სამართალმცოდნეობის არსი შევიმეცნოთ, პირველ რიგში საჭიროა მივხვდეთ იმას, თუ რა არის სამართალი, ღიაა თუ არა ის თითოეული ადამიანისათვის, არის თუ არა სამართალი „გონებით დაწერილი“, რომელიც მოწოდებულია, დაიცვას კაცობრიობის ფუნდამენტური ღირებულებები, თუ წარმოადგენს სათამაშო მოედანს, რომელზეც წარიმართება ბრძოლები წესების გარეშე და კონფლიქტური პოლიტიკური ინტერესები ინდივიდუალურ მისწრაფებებს უპირისპირდებიან.

სამართალი არ არის უნივერსალური, დროისა და სივრცის გარეშე არსებული ფენომენი. სამართალი არის სულიერი სინამდვილე, ამიტომაც სამართლის შესახებ არსებული მოსაზრებები დამოკიდებულია ადამიანის პიროვნულ წარმოდგენებზე სამყაროსა და ადამიანების შესახებ. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია გამოვყოთ იურისპრუდენციის ერთ-ერთი ახალი დისციპლინა „სამართლის ფილოსოფიის“ სახით. სამართლის ფილოსოფია ერთგვარი პასუხების ისტორიაა, იმ მნიშვნელოვან შეკითხვებზე, რომლებიც სამართლის გაგებისა და გამოყენების პროცესში წარმოიშობა. გასაოცარი და დასაფასებელია ის, რომ სამართლის ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის პროცესში ნათელი ხდება, თუ როგორ შეძლო კაცობრიობამ სამართლისა და სამართლიანობაზე წარმოდგენების განვითარების დონით გამოემუშავებინა და დაეფუძნებინა მთელი რიგი ზოგადი დებულებები, ერთგვარი სამართლებრივი უნივერსალები, რომლებიც ყველსათვის და ყოველთვის ზუსტია.

სამართლის ფილოსოფია მიისწრაფის სამართლიანი სამართლისაკენ. თუმცა საინტერესოა თუ რა იგულისხმება თავად ტერმინ „სამართლიანობაში“, ან არსებობს თუ არა უსამართლო სამართლის პრეცედენტები. ამდენად, წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილ მეცნიერთა თუ იურისტთა ხედვებზე დაყრდნობით შევეცდები, ჩამოვყალიბო საკუთარი პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: სამართლის ფილოსოფია; კანონიერი უსამართლობა; რადბრუხის ფორმულა; უტილიტარიზმი; სამართლიანობა; ჰერბერტ ჰარტი; მოსამართლე ჰერკულუსი; რთული შემთხვევის კონცეფცია.

## Abstract

The basics of legal research are "law". To understand the essence of jurisprudence, first, we need to find out what law is, whether it is open to every human being, whether the law is "written in mind", which is committed to upholding the fundamental values of humanity, if it is a playing field on which battles take place without rules and conflicting political interests oppose individual aspirations.

Law is not a universal phenomenon without time and space. Law is a spiritual reality, so existing opinions about law depend on a person's perceptions of the world and people. In this regard, it is important to highlight one of the new disciplines of jurisprudence in the form of the „Philosophy of Law“. The philosophy of law is a kind of history of answers to the important questions that arise in the process of understanding and applying the law. Surprisingly and appreciatively, in the process of studying the history of the philosophy of law, it becomes clear how humanity has been able to develop and establish a number of general provisions at the level of the development of the notion of law and justice, a kind of legal universal, that is always accurate.

The philosophy of law aspires to fair law. However, it is interesting to know what is meant by the term „justice“ itself or whether there are precedents of an unjust law. Thus, based on the views of the scholars or lawyers presented in this article, I will attempt to formulate my position on the issue under consideration.

Keywords: Philosophy of law, Unjust Laws, Radbruch's formula, utilitarianism, Justice, Herbert Hart, Judge Hercules, The concept of a “hard case”.

## გადაწყვეტილების გამოტანის ვადის პრობლემატიკა საკონსტიტუციო სასამართლოში

თამარ ლომიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

### აბსტრაქტი

მიზანი - ნაშრომის მთავარი იდეა მდგომარეობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისთვის მინიჭებული ვადის სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან რელევანტურობის განსაზღვრაში. აღნიშნული ხელს მისცემს რა იმ გამოწვევებისა და ხარვეზების გამოკვეთას, რომელიც რეალურად დგას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, სამართალწარმოების პროცესში. მთავარი მიზანია რომ წარმოჩინდეს თუ როდენ მნიშვნელოვანია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ჯეროვანება

სახელმწიფოსათვის და შეფასდეს, არის თუ არა დროული საქართველოში საკონსტიტუციო სამართალწარმოება.

სტრუქტურა/მეთოდოლოგია/მიდგომა - კვლევა სტრუქტურულად წარმოადგენს პრობლემათა სისტემას, რომელიც ფოკუსირდება საკონსტიტუციო სასამართლოში არსებულ დამკვიდრებულ მიდგომაზე საქმის განხილვის რიგითობისა თუ გადაწყვეტილების გამოტანისათვის განსაზღვრული ვადის ნაწილში.

კვლევის შეზღუდვები და გავლენა - თავდაპირველად ვიტყვი იმას რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი ფუნქციიდან გამომდინარე ქმნის სახელმწიფოში სამართლებრივ დღის წესრიგს. შესაბამისად, მის ფუნქციას, გადაწყვეტილებებს, საოქმო ჩანაწერებს, გადაწყვეტილებებსა და საოქმო ჩანაწერებში გაჟღერებულ განსხვავებულ აზრებს, აღნიშნულის საკანონმდებლო ორგანოში განხილვას ეცნობა საზოგადოების დიდი ნაწილი და საკითხის შესახებ ცნობიერება ისედაც დიდია, ვფიქრობ რომ ეს ნაშრომი ვერ იქნება საკმარისი საკითხის პრობლემატიკის შესაფასებლად. გარდა აღნიშნულისა, საკონსტიტუციო სასამართლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოა და მისი საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით ნამდვილად დიდი როლი ენიჭება მის ღიაობას, რაც სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ არ არის საკმარისად აქტუალური ზემოხსენებული ორგანოსთვის, ეს ნამდვილად აისახება კვლევის შინაარსობრივ მხარეში.

სიახლე და ღირებულება - კვლევაში წარმოადგენილი მასალები, რომელიც ცხადპყოფს ზემოხსენებულ საკითხთა პრობლემატიკას, წარმოადგენს ძირითად ღირებულებას აღნიშნული კვლევისა. საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებსა და საოქმო ჩანაწერებზე, რომელიც დღეს აქტიურად განსაზღვრავს ქართულ სამართლებრივ რეალობას. დაინტერესება ამ თემისადმი არის აქტიური როგორც შიდაეროვნულ, ისე საერთაშორისო პლატფორმაზე. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ ნაშრომი იძლევა ძირითადი მიზნის მიღწევის საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო სამართალწარმოება, ვადები, გამოწვევები.

## Abstract

Purpose - The main idea of the paper is to determine the relevance of the term given by the Constitutional Court of Georgia for a decision to the principle of a fair trial. This will help to identify the challenges and shortcomings that actually exist in the Constitutional Court of Georgia in the legal process. The main goal is to show how important the decision of the Constitutional Court is for the state and to assess whether the constitutional proceedings in Georgia are timely.

Structure / Methodology / Approach - Research is a structured system of problems that focuses on the established approach of the Constitutional Court within the timeframe for the order of a case or for a decision.

Limitations and Impact of Research - First of all, I would like to say that the Constitutional Court of Georgia, due to its function, creates a legal agenda in the state. Consequently, its function, decisions,

minutes, decisions and dissenting opinions in the minutes are discussed in the legislature by a large part of the public and the awareness of the issue is already great, I think this paper will not be enough to assess the issue. In addition to the above, the Constitutional Court is a state administrative body and in terms of evaluating its activities a really big role is given to its openness, which unfortunately or fortunately is not relevant enough for the above body, it really reflects on the content of the study.

Novelty and value - The materials presented in the study, which highlight the problems of the above issues, are the main value of this study. We are talking about the decisions made by the Constitutional Court and the minutes, which today actively determine the Georgian legal reality. Interest in this topic is active both on the domestic and international platform. In conclusion, we can say that the paper allows to achieve the main goal.

Keywords: Constitutional litigation, deadlines, challenges.

## სამართლიანობა, როგორც სამართლის ღირებულებითი მასშტაბი

ნინო მესხი,

ლიკა ფირცხალაიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

არსებობს მოსაზრება, რომ ნებისმიერ საზოგადოებას გააჩნია ღირებულებათა იერარქია, რომელშიც თითოეულ საფეხურზე „მდგომი“ ღირებულება სრული ჰარმონიის და „აბსოლუტური სიკეთის“ მიღწევას ემსახურება. არისტოტელე თვლიდა, რომ სამართალი სამართლიანობის ღირებულებითი მასშტაბია, ანუ სამართლიანობა ღირებულებათა იერარქიის უმაღლესი საფეხურია. პრობლემატური საკითხი სწორედ მაშინ იჭრება როდესაც რამდენიმე რელატიური, შეფასებითი კავშირის ურთიერთმმართველასთან გვაქვს საქმე. რა არის სამართლიანობა და ღირებულება? ეს კითხვა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე ცნებას ინდივიდები შინაგანი რწმენის საფუძველზე განსაზღვრავენ.

მოგეხსენებათ, რომ სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს. ულპიანეს მოსაზრებით, ეს არის სიქველე და მისწრაფება სამართლის განხორციელებისაკენ ( „Justitia est constans et perpetuum voluntas ius suum cuique tribuendi“), ავეუსტინეს აზრით კი სამართლიანობა სახელმწიფოს უმთავრესი კომპონენტია, ურომლისოდაც ის ყაჩაღთა ბანდას ემსგავსება („De Civitate Dei“). გამომდინარე იქიდან, რომ სამართლიანობა შეფასებითი კატეგორიაა, რთულია მისი ცნების განსაზღვრა. რაც შეეხება უშუალოდ ღირებულების დეფინიციას, ეს უკანასკნელი წარმოადგენს შეხედულებებს, რომელთა თანახმად, რაღაც (იქნება ეს იდეა, თუ მატერიალური საგანი) ფასდება როგორც კარგი ან ღირებული. ეს კი ხშირად სხვა

მოვლენებთან შედარებისას გამოიკვეთება და შეფასებათა იერარქიაში უპირატესობა ყოველთვის ღირებულს ენიჭება.

მოცემულ კვლევაში შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ შეკითხვას- რამდენად შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანობა სამართლის ღირებულებით მასშტაბად, რა ურთიერთმიმართება არსებობს ამ ორ ზოგად ცნებას შორის. საინტერესოა, რამდენად ექცევა კანონმდებელი ზეგავლენის ქვეშ და რას ენიჭება უპირატესობა სამართლიანობის ცნებისა და ღირებულების აღქმის კონკურენციის დროს. სამართალი იცვლება დროსთან ერთად, ასევე იცვლება ადამიანის ღირებულებები და მიდგომები. როდესაც ინდივიდისთვის ღირებული ამავდროულად ჭეშმარიტად სამართლიანია, საქმე გვაქვს ჰარმონიასთან და ზემოთხსენებულ „აბსოლუტური სიკეთის“ მიღწევის შესაძლებლობასთან.

საკვანძო სიტყვები: სამართლიანობა, ღირებულებათა იერარქია, ღირებულების მასშტაბი, ზეგავლენა, ცნებათა კონკურენცია

## Abstract

There is an opinion that any society has a value hierarchy in which the "standing" value at each level serves to achieve complete harmony and "absolute goodness". Aristotle believed that justice is a valuable scale of justice, that is, justice is the highest level of the hierarchy of value. The problematic issue is solved when we are dealing with the interconnectedness of several relatable, valuative connections. What is justice and value? This question leads to differences of opinion, due to the fact that individuals define both concepts on the basis of inner faith.

As you know, there is no universally recognized notion of justice. According to Ulpian, this is a whistleblower and aspiration to implement the law ("Justitia est constans et perpetua voluntas ius suum cuique tribuendi"), and according to Augustine, justice is a key component of the state, which it resembles a gang of robbers ("De Civitate Dei"). Due to the fact that justice is an assessment category, it is difficult to define its notion. Which concerns the definition of value directly, the latter represents views that say that something (whether it's an idea or a material subject) is valued as good or valuable. This is often manifested in comparison with other events, and preference in the hierarchy of assessments is always worthwhile.

In this study, we will try to answer the following question - how much justice can be considered the value of the law on a scale, what interrelations exist between these two general concepts. It is interesting to see how much the legislator is under pressure and what is given an advantage in competing with the notion of justice and value perception. Justice changes with time, and human values and approaches are also changing. When value for an individual at the same time is truly fair, we are dealing with harmony and the possibility of achieving the above "absolute good".

Keywords: Justice, Value Hierarchy, Scale of Value, Impact, Competition of Concepts

## სასამართლო პროცესის გაშუქების ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტი და მოსამართლის, როგორც ადამიანური ბუნების მატარებელი სუბიექტის, გამოხატვის თავისუფლების ფარგლები სოციალური მედიის გამოყენების ჭრილში

თამარ გობეჯიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

სახელმწიფოს, როგორც გარკვეულ ტერიტორიაზე ძალის გამოყენების ლეგიტიმური უფლებამოსილების მფლობელი ორგანიზაციის, იმანენტურ ელემენტს წარმოადგენს საზოგადოება, რომელიც მის მიერ განხორციელებული იურისდიქციის ადრესატად გვევლინება და არა მხოლოდ – აღნიშნული საზოგადოების თითოეული წევრის მიმართ მას წარმოექმნება პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების უზრუნველყოფის მთელი კასკადი, რომელთაგან უმნიშვნელოვანეს უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება ინფორმაციის თავისუფლებისა და საპროცესო უფლებების ჭრილში მოქცეული და კონსტანტირებული გარანტიები, გათვალისწინებული ქვეყნის უმაღლესი კანონით. სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა უმთავრეს სუბიექტად გვევლინება მოსამართლე – პირი, რომელიც წარმოადგენს მესამე სახელისუფლებო შტოს და განამტკიცებს ქვეყნის სუვერენიტეტის ფარგლებში მოაზრებულ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების ეფექტურობისა და ეფექტიანობის ერთიან სტანდარტს, თუმცა მიუხედავად სახელისუფლებო ძალაუფლების დაყოფის კლასიკური მოდელისა, თანამედროვე და განვითარებად დემოკრატიებში მმართველი რგოლის სტატუსის მორგებას საკუთარ თავზე არ ერიდება მასობრივი მედია, რომლის გავლენის მასშტაბსაც ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში დასაბამი ძნელად თუ მოეძებნება.

„ვინც ფლობს ინფორმაციას, ის ფლობს მსოფლიოს“ – როტშილდების დინასტიის ცნობილი გამონათქვამი ელექტრონიფიცირებული მსოფლიოს მთავარ დევიზადაც კი შესაძლოა განიხილებოდეს. ინფორმაციის გავრცელების სისწრაფისა და სიხშირის გათვალისწინებით, მით უფრო რთული ხდება ისეთი სამართლებრივი საკითხების დარეგულირება, როგორც სასამართლო პროცესების გაშუქება უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით, ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობითა და მოსამართლეთა მხრიდან გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობით. ერთი მხრივ, გასათვალისწინებელია მოსამართლის, როგორც პრივილეგირებული და, ამავდროულად, საპასუხისმგებლო სტატუსის მატარებელი პირის ადამიანური ბუნება და მისი ჩართულობა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ ასპექტებში, როგორც სოციალური მედიაა, მეორე მხრივ, თავად მასობრივი მედიის წარმომადგენელთა და საზოგადოების უფლება ინფორმაციის ფლობასა და მის თავისუფლად გავრცელებაზე, რაც, ზემოხსენებული პირველი საკითხის მსგავსად, რეგულირდება როგორც

საკანონმდებლო, ასევე არასაკანონმდებლო, ე.წ. „რბილი სამართლის“ ფარგლებში, რომელიც საკუთარ თავში მოიაზრებს ხსენებული პროფესიებისადმი მოქმედ ეთიკური ქცევის მოდელურ სტანდარტებს.

წინამდებარე ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენს, წარმოაჩინოს მეტ-ნაკლებად ამომწურავი შეხედულებები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სასამართლო პროცესის გაშუქების ეროვნული და საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კვალდაკვალ და მოსამართლის, როგორც ადამიანური ბუნების მატარებელი სუბიექტის გამოხატვის თავისუფლების ფარგლები სოციალური მედიის გამოყენების ჭრილში.

## Abstract

The immanent element of the state as an organization with legitimate authority to use force in a certain territory is the society, which is the addressee of its jurisdiction, and not only that - it has a whole cascade of positive and negative obligations to each member of the society. And procedural rights in the context of procedural rights, as provided by the supreme law of the country. The main body ensuring the right to a fair trial is a judge - a person who represents the third branch of government and strengthens the uniform standard of efficiency and effectiveness of justice within the sovereignty of the country. Mass media, the scale of which can hardly be traced back to the world of digital technology.

""Whoever owns the information owns the world"" - the famous saying of the Rothschild dynasty - may even be considered the main motto of the electronic world. Given the speed and frequency with which information is disseminated, it becomes increasingly difficult to regulate legal issues such as litigation, the presumption of innocence, the inviolability of a person's privacy, and the exercise of freedom of expression by judges. On the one hand, the human nature of a judge as a privileged and at the same time responsible person and his / her involvement in aspects of public life, such as social media, should be taken into account, on the other hand, Like the first issue, it is regulated by both legislative and non-legislative, so-called Within the framework of ""soft law"", which considers the model standards of ethical behavior towards the mentioned professions.

The main purpose of this paper is to present more or less comprehensive views on issues such as the national and international standard of trial coverage in the wake of human rights and fundamental freedoms and the scope of freedom of expression of the judge as a human being in the use of social media.



## საერთაშორისო ურთიერთდახმარება- ექსტრადიციის ინსტიტუტი

ნუცა აბრამაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

საერთაშორისო სამართალი მოიცავს ყველა იმ ურთიერთობას, რომელსაც სახელმწიფოები ამყარებენ ერთმანეთთან სხვადასხვა ხელშეკრულებისა თუ შეთანხმების საფუძველზე. სახელმწიფოთა თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება მნიშვნელოვანია, რადგან როგორც სახელმწიფოები ასევე საზოგადოებაც იღებს სარგებელს ამ ყოველივედან. სახელმწიფოები კრიზისული, გადაუდებელი ან სხვა სახის სიტუაციების დროს ერთმანეთს ხშირად ეხმარებიან. სახელმწიფოთა ურთიერთდახმარების ერთ-ერთი გამოვლინება ექსტრადიციაა.

ექსტრადიცია არის პროცედურა, რომლის დროსაც ერთი სახელმწიფო საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულისთვის ძებნილი პირის გადაცემის შუამდგომლობით მიმართავს მეორე სახელმწიფოს. თუმცა მიმართვა არ ნიშნავს, რომ ექსტრადიცია აუცილებლად განხორციელდება, რადგან არსებობს მთელი რიგი სამართლებრივი მიზეზები, რომელთა გამოც სახელმწიფოს შეუძლია უარი განაცხადოს საკუთარი ტერიტორიიდან პირის ექსტრადიციაზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ექსტრადიციის, მისი სუბიექტებისა და საგამონაკლისო შემთხვევების განხილვა, მათ შორის განხილული იქნება თავშესაფრის ინსტიტუტიც, როგორც ექსტრადიციასთან დაკავშირებული საკითხი.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო სამართალი, იურისდიქცია, ექსტრადიცია, თავშესაფრის უფლება, ლოკერბის საქმე, ევროპის კონვენცია ექსტრადიციის შესახებ (1957).

### Abstract

International law covers all the relations that states establish with each other on the basis of various treaties or agreements. Cooperation and mutual assistance between states are important because, both, states as well as society benefit from all of this. States often help each other in times of crisis, emergency or other kinds of situations. One of the manifestation of mutual assistance between states is extradition.

Extradition is a procedure in which one state applies to another state to extradite a wanted person for a crime committed under its jurisdiction. However, the appeal doesn't mean that extradition will necessarily take place, as there are number of reasons why a state may refuse to extradite a person from its territory.

The purpose of this paper is to discuss extradition, its subjects and exceptional cases, including the institution of asylum, as an issue related to extradition.

Keywords: international law, jurisdiction, extradition, the right to asylum, lockertie case, European convention on extradition (1957).

## მომხმარებლის უფლებების დაცვის ახლებური საკანონმდებლო მოწესრიგების ხარვეზები და გზა ევროინტეგრაციისკენ

მარიამ ეფრემიძე,

ალექსანდრე შუბლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებული სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სავალდებულო კონსტიტუციური ნორმის მნიშვნელობისაა. სახელმწიფო არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა, ხელი შეუწყოს ნორმატიულჩარჩოიანი ძირითადი უფლების შინაარსის გამართვას და, ამავდროულად, უფლების დარღვევის პრევენციას. როდესაც თვითრეგულირებადი მექანიზმები ვერ უზრუნველყოფენ თანასწორუფლებიანი ლანდშაფტის შექმნას, სახელმწიფომ უნდა დანერგოს ხელოვნური კონტრუქციები საბაზრო თავისუფლების სფეროში ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

2022 წელს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღეს. აღნიშნული საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამ კანონმა მიზნად დაისახა საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო ჩარჩოსთან ჰარმონიზაცია და რამაც განაპირობა სხვადასხვა სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ სამართლებრივ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აქტი მიზნად ისახავს საქართველოს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციას, მასში შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც მომავალში პრაქტიკულ პრობლემებს წარმოშობს. ზოგადად, სამომხმარებლო ბაზარი ძალიან ფართო შინაარსისაა, რომლის ფარგლებშიც შედის არა მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტის მიმოქცევა, არამედ სადაზღვევო თუ საბანკო სფეროები, რომელთა მიმართ მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესია.

უმთავრესი საკითხი გახლავთ, თუ ვინ არის მომხმარებელი და რა შემთხვევაში ვრცელდება სამართალსუბიექტზე ამ კანონით დადგენილი დაცვის გარანტიები. ზოგადად, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მომხმარებელი არის ფიზიკური პირი. ზემოხსენებული აქტი არ ახსენებს იურიდიულ პირს, როგორც მომხმარებელს. მართალია, ევროკავშირის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით წევრ სახელმწიფოებს აქვთ დისკრეცია,

გაავრცელონ მომხმარებლის დაცვის სტანდარტი იურიდიულ პირზე, თუმცა, ვფიქრობთ, ქართველი კანონმდებლის მიდგომა ამ ჭრილში არასისტემურია. განსაკუთრებით, სადაზღვევო სფეროში, რომელიც მზღვეველს ავალდებულებს სახელშეკრულებო სამართლიანობის დაცვას როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში. პრობლემა კი ისაა, რამდენად შეიძლება ამ კანონის მორგება იურიდიული პირების ინტერესებზე, როდესაც იგი უმთავრეს საზომად საშუალო მომხმარებლის კონცეპციას ადგენს და, ამ მხრივ, ბუნდოვანება წარმოიშობა.

კანონის ნოვაციაა ადმინისტრირების განმახორციელებელი ორგანოს ამოქმედება, რომელიც ახორციელებს საჯარო მმართველობას სამომხმარებლო ბაზრის სფეროში. სამართალსუბიექტი აღიჭურვა განცხადებით მიმართვის უფლებით, თუმცა საინტერესო ისაა, თუ ვის ენიჭება განმცხადებლის სტატუსი. ახალი კანონის მიხედვით, განმცხადებელი ფლობს ე.წ. პოპულარული მიმართვის უფლებას, რაც ლოგიკურ საფუძველსაა მოკლებული, ვინაიდან აღნიშნული უფლებებელყოფს იურიდიული ინტერესის არსებობას და სათავეს უდებს იურიდიულ ქაოსს, რაც ამავე კანონის სულისკვეთების საწინააღმდეგოა. საბოლოოდ, ამ იურიდიულმა დეფექტებმა შეიძლება შეაფერხოს საქართველოს მთავარი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგია.

საკვანძო სიტყვები: სახეკმეკრულებო სამართლიანობა, მომხმარებელთა უფლებები, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, სამომხმარებლო ბაზარი, პოპულარული მიმართვა.

## Abstract

The principle of the social state declared by the Constitution of Georgia has an importance of a binding constitutional statute. The state isn't only entitled, but also obliged to promote the content of a fundamental rights and also to prevent the violation of these interests. When self-regulatory mechanisms can't create an equitable landscape, state should introduce artificial constructions to eliminate actual inequalities in the area of market freedom.

In 2022, the Law of Georgia on Protection of Consumer Rights was adopted. This is a part of the obligations under the Georgia-EU Association Agreement. The purpose of this law was to harmonize the legislation of Georgia with the legal framework of the European Union, which triggered changes and additions to other legal acts. Although this act has significant disadvantages.

The main issue: in what cases the protection guarantees established by this law apply to the legal entity. The above act doesn't mention a legal entity as a consumer. Under EU law member states have the discretion to extend the consumer protection to a legal entity, but we think the Georgian legislator's approach is unsystematic, especially when the insurer has to protect the fairness in relation to both individuals and legal entities. The problem is how to adjust protection to the interests of legal entities, when it mainly defines the concept of the average consumer.

The innovation of the law is the enactment of an administrative body that exercises public administration upon the consumer market. Every person is provided with the right to apply, although who is granted the status of applicant? Under the new law, the applicant owns "actio popularis" right,

---

which lacks a logical basis, as it ignores the existence of a legal interest and gives rise to legal havoc. Finally, these legal flaws may hinder Georgia's main foreign priorities

Fairness of contracts, Rights of consumers, Principle of social state. Consumer market, “actio popularis”.

# მედიცინა

## Nanotechnology shaping stem cell therapy

Sujit Kumar Yadav,

Rashmi Bharti

Georgian National University SEU

### აბსტრაქტი

ნანომეცნიერებისა და ნანოტექნოლოგიის ევოლუცია არის გარღვევის ტექნოლოგიის ფორმა, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს და აყალიბოს მასალები ატომურ და მოლეკულურ დონეზე, რაც ხელს უწყობს ქიმიკოსების, ინჟინრების, ფარმაცოლოგების და ბიოლოგების შემდგომ გამოგონებებს. ნანოტექნოლოგიის გამოყენების ფართო სპექტრი მრავალგანზომილებიანია. უკვე დადასტურებულია, რომ მის მნიშვნელობას შეუძლია გრძელვადიანი გავლენა მოახდინოს ადამიანის სიცოცხლეზე. დღეს ღეროვანი უჯრედების ნანოტექნოლოგია ერთ-ერთი ახალი და საინტერესო სფეროა. ღეროვანი უჯრედების ნანოსტრუქტურებთან ან მასალებთან ურთიერთქმედების სპეციფიკურმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა დიდი პროგრესი მიაღწია. ნანოტექნოლოგია ღეროვანი უჯრედების ბიოლოგიაში აპლიკაციებით, მათ შორის ღეროვანი უჯრედების ადჰეზია, ზრდა, დიფერენციაცია, თვალყურის დევნება და გამოსახულების რეგულირება. ბოლო აღმოჩენებმა აჩვენა, რომ ნანოტექნოლოგიას შეუძლია შექმნას ნანომასშტაბიანი უჯრედგარე გარემოს სპეციფიკური ფორმა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ღეროვანი უჯრედების ადჰეზიას და პროლიფერაციას და ხელი შეუწყოს ღეროვანი უჯრედების დიფერენციაციას კონტროლირებადი გზით ქსოვილის ინჟინერიაში. კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სფეროა ღეროვანი უჯრედების როლის მოწინავე ბიომასალის მიწოდების შეთავაზება დეგენერაციული დაავადებების მკურნალობაში. გულ-სისხლძარღვთა დაავადება მსოფლიოში სიკვდილის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ნანოტექნოლოგიით გაძლიერებული ღეროვანი უჯრედების თერაპია შეიძლება გამოყენებულ იქნას გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობის გამოწვევების გადასაჭრელად. მექანოტრანსდუქცია და ქსოვილის ინჟინერიის ანალიზი მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენენ ღეროვანი უჯრედების მთელ ნიშაზე და შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ნანო-ღეროვანი უჯრედების ინტერფეისის გაჩენა, სასარგებლო ინსტრუმენტი გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ. მას შეუძლია შესთავაზოს სიცოცხლის შემცვლელი მკურნალობა გაფანტული სკლეროზის, ტიპი 1 დიაბეტის, პარკინსონის დაავადების, მაკულარული დეგენერაციისა და ა.შ. ამ სფეროში ბოლო მნიშვნელოვანი მიღწევები იკვლევს აპლიკაციების პერსპექტივებს და განიხილავს საკითხებს, მიდგომებსა და გამოწვევებს ღეროვანი უჯრედების კვლევასა და განვითარებაში ნანოტექნოლოგიის აპლიკაციების გაუმჯობესების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ნანოტექნოლოგია, ღეროვანი უჯრედების თერაპია, ნანოსტრუქტურები, ღეროვანი უჯრედების ადჰეზია, დიფერენციაცია, გულ-სისხლძარღვთა დაავადება, დეგენერაციული დაავადებები.

## **Abstract**

The evolution of nanoscience and nanotechnology is a form of breakthrough technology that can combine and shape materials at the atomic and molecular levels, stimulating further inventions by chemists, engineers, pharmacologists, and biologists. The wide range of applications of nanotechnology is multidimensional. It has already been proven that its meaning can have a lasting impact on human life. Today, stem cell nanotechnology is one the novel and exciting areas. Specific experimental studies of the interaction of stem cells with nanostructures or materials have made great strides. Nanotechnology with applications in stem cell biology, including stem cell adhesion, growth, differentiation, tracking, and regulation of imaging. Recent discoveries have revealed that nanotechnology can create a specific form of nanoscale extracellular environment that can promote stem cell adhesion and proliferation and promote stem cell differentiation in a controlled manner in tissue engineering. Suggests providing advanced biomaterials with the role of stem cells in the treatment of degenerative diseases is another important area of research. Cardiovascular disease is one of the major leading causes of death worldwide. Nanotechnology-enhanced stem cell therapy can be used to address the challenges of cardiovascular disease treatment. Mechanotransduction and tissue engineering analysis are important factors affecting the entire stem cell niche and can be seen as the emergence of the nano-stem cell interface, a useful tool for treating cardiovascular illness. It may offer life-changing treatments for multiple sclerosis, type 1 diabetes, Parkinson's disease, macular degeneration, etc. Stem cells can provide knowledge that can be applied to cell and scaffold combinations in tissue engineering and regenerative medicine. Recent major advances in this area explore application perspectives and discuss issues, approaches, and challenges for improving nanotechnology applications in stem cell research and development.

Keywords: nanotechnology, stem cell therapy, nanostructures, stem cell adhesion, differentiation, Cardiovascular disease, degenerative diseases.

## Euthanasia and assisted suicide: a comprehensive approach

Tina Hemal Shah

Georgian National University SEU

### აბსტრაქტი

მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მიუხედავად, ზოგჯერ თანამედროვე მედიცინა ჯანმრთელობის პოზიტიურ შედეგს ვერ უზრუნველყოფს; თუმცა, სამედიცინო დახმარება უზრუნველყოფილია, ტკივილისა და ტანჯვის რეაბილიტაციის სახით. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტერმინალურად დაავადებული ადამიანების ავტონომიას, და მათ სურვილს დარჩენენ იმავე პირობებში ან აირჩიონ სიკვდილი. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მთავრობა ტერმინალურ პაციენტებს სთავაზობს ევთანაზიას, როგორც ალტერნატივას. თუმცა, დიდია ინტერესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს კონსტიტუციური სიცოცხლის უფლების ინტერპრეტაცია ევთანაზიასთან მიმართებაში, ასევე განხილვის საკითხია ევთანაზიის გავლენა ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაზე, რომელიც არსებითად ემყარება ნდობას, ურთიერთპატივისცემას და პრინციპს „პირველ რიგში, არ ავნო“ (Frontalis A., et al. 2018). ამ საკითხზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სოციალურ, კულტურულ და ეთიკურ მოსაზრებებს. რელიგია სიკვდილს ხშირად განიხილავს, როგორც მზადებას მარადიული სიცოცხლისა და სულიერი სიმშვიდისთვის. ევთანაზიის ცნება მნიშვნელოვნად განვითარდა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საჭიროა მკურნალობის ეფექტის შეზღუდვა და პაციენტის ავტონომიის პატივისცემა, მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება, არ მიიღონ მკურნალობა, რაც განსხვავდება არსებული პრაქტიკისგან და მიზანად ისახავს ექიმის დახმარებას სიკვდილში. მნიშვნელოვანია, რომ ექიმებს ჰქონდეთ წარმოდგენა განუკურნებელ პაციენტზე, რაც მოიცავს შემდეგ ასპექტებს: დეგენერაციული დაავადების დროს დაავადება პროგრესირებს, ფატალურია და არ არსებობს ეფექტური მკურნალობა არსებული დიაგნოზის ფონზე. ზოგიერთ შემთხვევაში დილემაა, სურს თუ არა პაციენტს სიცოცხლე ან/და სიკვდილი და თუ ასეა, რა პირობებში. ამ ლიტერატურის მიმოხილვის მიზანია ევთანაზიის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ჰოლისტიკური მიდგომის ჩვენება ამ საკითხის შესახებ. ევთანაზიისკენ მიმავალი მიზეზების დადგენა და მათი შესწავლა მნიშვნელოვანია, რაც დაგეხმარება ტერმინალური პაციენტების მოვლის გეგმის შექმნაში.

საკვანძო სიტყვები: ევთანაზია, თვითმკვლელობაში დახმარება, ჯანმრთელობა, ავტონომია.

### Abstract

Despite modern advances, medicine is sometimes entrusted with a responsibility that does not ensure great health outcomes; however, medical care appears to be provided, particularly pain and distress rehabilitation. In this area, supporting the autonomy of the terminally ill person, as well as their desire to remain in the same conditions or to accept death, is crucial. Therefore, several governments are



offering euthanasia and assisted suicide as alternatives. However, concerns have been raised about how the Constitutional Right to Life should be interpreted in light of the premise of euthanasia, as well as the impact of euthanasia on the doctor-patient relationship, which is essentially based on trust and mutual respect and the principle of "first do no harm" (Frontalis A., et al. 2018). Social, cultural, and ethical considerations affect it. According to religions, death is often viewed as a time to gain profound spiritual insight and prepare for the eternity that awaits us, doomed. The notion of euthanasia has evolved greatly, suggesting that there is a need to limit the effect of treatment or to respect the patient's autonomy not to receive treatment, thereby deviating from the practice whose goal is death caused by a physician. It is important for physicians to have an idea of an incurable patient that includes these aspects: In degenerative disease, the disease is advanced and fatal, and there is no treatment amid all diagnoses. In some situations, the dilemma is whether the patient wishes to live or die and if so, under what circumstances. The goal of this literature review is to examine and provide a holistic approach to euthanasia and assisted suicide. Identifying the reasons leading to euthanasia calls is important to help us create an end-of-life care plan.

Keywords: Euthanasia, assisted suicide, health, autonomy.

## Emotion Regulation

Shruit Bajpai,

Shane Christain

Georgian National University SEU

### Abstract

INTRODUCTION-“Emotional regulation refers to the process by which individuals influence which emotions they have, when they have them, and how they experience and express their feelings. Emotional regulation can be automatic or controlled, conscious or unconscious, and may have effects at one or more points in the emotion producing process.”

The presentation consists of- cognitive regulatory strategies, emotional regulation difficulties, processes based on ER, modalities, strategies, ER Questionnaire eg- Questionnaire in women with cancer, skills that can cultivate ER.

RESEARCH SIGNIFICANCE- 1. Self-regulation is all about pausing between feeling and reactions – it encourages us to slow down for a bit and act after objectively evaluating a situation.

2. Another huge aspect of emotional regulation is value engagement. When we react impulsively without paying much attention to what is going on inside, we might often deviate from our core values

and act in a way that is opposite to them. With proper regulation and self-control, we gain the power to stay calm under pressure and prevent ourselves from acting against our core values and ethics.

**METHODOLOGY-** Many processes, modalities, strategies and research papers have been used to explain the importance of ER and how to regulate it. We focus on cognitive and emotional mechanisms in order to allow comparability with the majority of current preventive interventions. A range of basic research strategies and studies are then suggested that could be employed to help the development and refinement of prevention strategies. These include the need for prospective longitudinal studies to identify causal risk and protective factors, an integration of research approaches and methods, and a focus on understanding potential aetiological heterogeneity between childhood and adolescent depression. In addition to that we did our own research on ER in which students were asked about their coping up mechanisms from their life.

**RESULT-** Well, happy people are successful in multiple domains and for that to achieve that, emotional regulation is exceedingly important. Furthermore, so as to attain inner stability which after attaining is a perk in my / our life. I tried positive coping up mechanisms and it's dynamic engagement made me look life with a different aspect.

**CONCLUSION-**In this selective review, we have examined the role of cognitive processes in childhood and adolescent depression. There is good evidence that a range of cognitive factors (e.g., dysfunctional attitudes, emotional regulation strategies) are associated with the onset and maintenance of depression in young people. However, the precise role of different cognitive factors—be they risk factors, causal risk factors, or correlates of depression is not always clear. Basic research that can more clearly elucidate these types of associations will be informative for preventive interventions. We particularly focused on components, difficulty, processes, modalities, strategies, fmri studies on ER, questionnaires and its examples etc. We also notably focused on the skills that can cultivate ER.